

კონტროლის პალატამ რეგიონებს "მიხედა"

A4



გულახდილი საუბარი ლუიშ ფიგუსთან

B4



კვირის TV პროგრამა

B7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 28 იანვარი, 2005 წელი. №19 (879)

ფასი 50 თეთრი

## საზოგადოება



### რა სარგებლობა მოაქვს შენობის მორყეულ საძირკველს?

მერიის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის წლევანდელ ბიუჯეტში 228 ათასი ლარია გამოყოფილი. თუმცა, ეს მხოლოდ საწყისი თანხაა.

A6

## სამართალი



### შინაგან საქმეთა სამინისტროში დამნაშავე პოლიციელების გამოვლენა გრძელდება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს კვირაში ერთხელ დამრღვევ და დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენის შესახებ პრესკონფერენციების გამართვა უწევს.

A7

## პოლიტიკა

### "კონსერვატორები" ირიბი არჩევნების წინააღმდეგ

როგორც კონსერვატორები აცხადებენ, მათი კაკანონმდებლო ინიციატივა ევროსაბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებითაა მომზადებული.

A2

### დავით ბერძენიშვილი ხელისუფლებას ტაშს უკრავს და... აკრიტიკებს

"რესპუბლიკელები" მთლიანად იზიარებენ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლის დროს ჩამოაყალიბა.

A3

## ამინდი

| | 28/1 | 29/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 12 | 9 |
| ქუთაისი | 16 | 13 |
| ბათუმი | 17 | 15 |
| სოხუმი | 14 | 12 |
| ფოთი | 17 | 14 |
| თელავი | 11 | 8 |
| ზუგდიდი | 16 | 14 |
| გორი | 10 | 6 |
| ახმეტა | 11 | 8 |
| ჭიათურა | 12 | 9 |
| გაგრა | 13 | 9 |
| სამტრედია | 16 | 13 |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8275 |
| ევრო | 2.3900 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4430 |
| რუბლი | 0.0653 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| რეკლამა | A5 | სპორტი | B4 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | ავტომობილი | B6 |
| სამართალი | A7 | TV პროგრამა | B7 |
| თვალსაზრისი | A8 | სხვადასხვა | B8 |




ჯანი ბუკიკიო: "ყოველთვის მწამდა, რომ ეს ქვეყანა აქ არსებული კონფლიქტების მოგვარებას შეძლებს".

# ვენეციის კომისია თბილისში

**"10 წელზე მეტია, რაც საქართველოს ხელისუფლებასთან ვთანამშრომლობ და ყოველთვის მწამდა, რომ ეს ქვეყანა აქ არსებული კონფლიქტების მოგვარებას შეძლებს,"** – აღნიშნა საქართველოში ვიზიტით მყოფმა, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯანი ბუკიკიომ.

კომისიის დელეგაცია გუშინ იუსტიციის მინისტრს გიორგი პაპუაშვილს დახურულ კარს მიღმა შეხვდა და საქართველოში სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით სამართლებრივი ბაზის შექმნაში დახმარების მზადყოფნა გამოთქვა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო სამხრეთ ოსეთის ავტონომიასთან დაკავშირებულ იმ ძირითად პრინციპებს და პრიორიტეტებს, რომლითაც საქართველომ მომავალში უნდა ისარგებლოს. ამ მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და უცხოელი ექსპერტებიც არიან გაწევრიანებული. ჯგუფს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ავტორიტარული მოდერნიზაცია თუ ლაით დემოკრატიული ინსტიტუტები?

### ახალი ხელისუფლების პირველი წლის შეფასება

*ახალი ხელისუფლების პირველი წლის შეფასებათა სეზონი დასასრულს უახლოვდება. აი, გავიდა უკანასკნელი წლისთავიც - ახლა უკვე პრეზიდენტ სააკაშვილის ინაუგურაციისა, რითაც ოფიციალურად დაიწყო სააკაშვილის ერა ქართულ პოლიტიკაში. ეს შეფასებები ჩვეულებრივ ხდებოდა სქემით, რომელიც სამი შეკითხვით განისაზღვრებოდა: რა მოხდა კარგი? რა მოხდა ცუდი? და რომელი იყო ამ ორიდან მეტი? თქვენმა მონა-მორჩილმაც არაერთხელ შეასრულა ეს სავარჯიშო სხვადასხვა ფორმით. ასე რომ, ბოლოს უკვე სხაპასხუპით ჩამოყრიდა ხოლმე: პირველი კარგი, მეორე კარგი, პირველი ცუდი, მეორე ცუდი, და ა. შ., მაგრამ თავში იტყოდა ან ბოლოს დააყოლებდა, რომ საბოლოო ჯამში კარგმა ცუდი გადაწონა.*

*კარგის და ცუდის სვეტებად ჩამოწერა სასარგებლოცაა და თავშესაქცევიც. მაგრამ, ამ დროს შეიძლება მთავარი დაგვეკარგოს. ამ ერთი წლის გამოცდილებით, რა ტიპის მთავრობა გვყავს, რა ტიპის პოლიტიკურ სისტემას აყალიბებს ის? რა პრობლემების გადაწყვეტა ძალუძს და რა ახალ პრობლემებს ქმნის? ერთი, ხუთი, თხუთმეტი თუ ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ კიდევ ერთი რევოლუცია ("პუტჩი", "სახალხო აჯანყება" - სასურველი ამოირჩიეთ) დაგვჭირდება მთავრობის შესაცვლელად, თუ ძალაუფლების წყნარი კონსტიტუციური გადაცემის მოწმენი გავხდებით?*

გია ნოდია

**ძველი მთავრობები**

ასე თუ მივუდგებით, ვერ ავცდებით ახალი მთავრობის შედარებას წინა ორთან. რა იყო საქართველოს თითოეული ხელისუფლების ამოცანა (ანუ მის მიმართ საზოგადოების დაკვეთა)? რამდენად შეასრულა მან ის? რატომ მოხდა, რომ ორივე ხელისუფლებამ ცუდად დაამთავრა?

ზვიად გამსახურდიას წინაშე იდგა ამოცანა, მოეპოვებინა დამოუკიდებლობა, ანუ დაეფუძნებინა ახალი ქართული სახელმწიფო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში და მისი საერთაშორისო აღიარებისთვის მიეღწია. ამ ამოცანის პირველი ნაწილი მან ფორმალურად შეასრულა, მაგრამ ისიცაა, რომ გორბაჩოვის და ელცინის დამსახურება (თუნდაც უნებლიე) საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში გაცილებით დიდია, ვიდრე ქართველებისა. მეტიც, საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ ყირგიზეთმა და თურქმენეთმა იგივე შედეგი გაცილებით მარტივად მიიღეს, ყოველგვარი ძალისხმევის, სამოქალაქო ომის და ტერიტორიის დაკარგვის გარეშე.

გაგრძელება A8 გვერდზე

# სანდენსი ახალ მაიკლ მურს შობს

20 იანვარი. ვაშინგტონი. პრეზიდენტ ბუშის ინაუგურაციის დღე – პოლიტკორექტულობის ზეიმი.

20 იანვარი. პარკ სიტი, იუტას შტატი. სანდენსის ფესტივალის გახსნის დღე – ალტერნატივის, ანტი-ისტებლიშმენტის ზეიმი.

თუ დავამტკიცებთ, რომ დამთხვევები არ არსებობს, მაშინ არც ის ყოფილა შემთხვევითი, რომ ეს ორი ღონისძიება ერთსა და იმავე დღეს ჩატარდა:

ერთგან მეორე ვადით, დიდი ზარ-ზეიმით ილებდნენ ბუშს, მეორეგან კი იწყებოდა ფესტივალი, რომელზეც ამერიკული პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ მიმართულ ფილმებს უჩვენებდნენ, ანუ, იქვე, პარკ სიტიში გაჩენილი ტერმინი რომ გამოვიყენოთ – ახალ "ფარენჰეიტებს".

გაგრძელება B3 გვერდზე



რობერტ რედფორდი.

# რუსეთმა საქართველოს პოზიცია დაბლოკა

### გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ დაუშვეს რეზო ადამია

სოფო ბუკია

*როგორც "24 საათის" მკითხველმა უკვე იცის, ორიოდე დღის წინ, ნიუ-იორკში, გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, მოისმინეს გენერალური მდივნის კოფი ანანის მოხსენება აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ და გაეროს-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელის ჰაიდი ტალიავინის ანგარიში აღნიშნული მისიის მუშაობაზე. სხდომაზე დასწრების უფლება არ მიეცა გაერო-ში საქართველოს სრულუფლებიან და საგანგებო წარმომადგენელს რეზო ადამიას. ქართველმა დიპლომატმა 26 იანვარს გაავრცელა წერილი (აღნიშნული წერილი გუშინ "24 საათში" დაიბეჭდა), სადაც აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს ოფიციალური პოზიციაა გაცხადებული. რა მიზეზით ვერ მოხვდა ქართველი დიპლომატი გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, ამის შესახებ გვესაუბრება გაერო-სთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის უფროსი მრჩეველი გიორგი კალაძე, რომელსაც "24 საათი" ნიუ-იორკში დაუკავშირდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# გაგრძელება იქნება...

### "კონსერვატორები" ანაბრებთან დაკავშირებული მორიგი ხმაურიანი კამპანიის აგორებას აპირებენ

გიორგი ასანიშვილი

*კობა დავითაშვილი გაუფასურებულ-გაუჩინარებული ანაბრების თემას კიდევ ერთხელ უბრუნდება. იგი აპირებს, მოსახლეობაში დაიწყოს ხელმოწერების შეგროვების კამპანია იმ კანონპროექტის მხარდასაჭერად, რომელიც ანაბრების ეტაპობრივ დაბრუნებას ითვალისწინებს. "კონსერვატორებმა" ხალხში გასვლა მას შემდეგ გადაწყვიტეს, როდესაც კანონპროექტის ინიცირებისთვის საჭირო რაოდენობის ხელმოწერები პარლამენტში ვერ მოაგროვეს.*

კობა დავითაშვილი დარწმუნებულია, რომ 30 ათასი ხელმოწერის მოგროვება არ გაუჭირდება. მისი თქმით, "კონსერვატორების" ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს უკვე მიეცათ მითითება, რომ დაიწყონ შესაბამისი პლაკატების გამოკვრა და მუშაობა მოსახლეობის გააქტიურებისთვის. მეტიც: ოპოზიციონერ პარლამენტარს უკვე ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორი იქნება ამ კამპანიის ბოლო ეტაპი.

**"როდესაც ხელმოწერების შეგროვებას დავასრულებთ და კანონპროექტს პარლამენტში შევიტანთ, თბილისსა და რეგიონებში ერთდროულ აქციებს მოვაწყობთ, ხოლო პლენარულ სხდომაზე განხილვის დროს საპროტესტო აქცია პარლამენტის წინ გაიმართება,"** - აცხადებს დავითაშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ **"ხელისუფლება ხალხის მხრიდან ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლებს და ანაბრების მიღება ისეთივე რეალური გახდება, როგორც, თავის დროზე, გაყინული პენსიების დაბრუნება."**

გაგრძელება A3 გვერდზე

## ნინოობა ბოდბეში

**"უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც ამ გზას დაინახავს და მკვიდრი გახდება მარადიული ცხოვრებისა. და, აი, სწორედ წმინდა ნინო გვიჩვენებს ჩვენ ამ გზას თავისი ლოცვით, თავისი კურთხევით, თავისი ვაზის ჯვრით, თავისი სასწაულებით. ჩვენ უნდა ვიაროთ იმ გზით, რომლითაც უვლიათ ჩვენს წინაპრებს და საქართველო გადარჩება,"** - ეს გახლავთ ნაწყვეტი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის გუშინდელი ქადაგებიდან.

ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს ხსენების დღესთან დაკავშირებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საზეიმო წირვა-ლოცვა აღავლინა ბოდბის დედათა მონასტრის ტაძარში, სადაც წმინდა ნინოს საფლავია. ამას წინ უძღოდა 26 იანვრის სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ღამისთევით.

ცნობილი სახეებიდან გუშინ სიღნაღში მოსალოცად (ბოდბის ტაძარი ქალაქ სიღნაღის ტერიტორიას განეკუთვნება) იმყოფებოდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, ექსპრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ქვრივი მანანა არჩვაძე-გამსახურდია და სხვები.

წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ მონასტერში არსებულ, ახლადრესტავრირებულ "წმინდა ნიკოლოზის დარბაზში" პირველი სადღესასწაულო ტრაპეზი გაიმართა, რომელსაც, სხვა სტუმრებთან ერთად, კათოლიკოს-პატრიარქი და წმინდა სინოდის წევრები ესწრებოდნენ.

*24 საათი*

## საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტები - ნობელის პრემიის კანდიდატები

საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტების - მიხეილ სააკაშვილისა და ვიქტორ იუშენკოს კანდიდატურები ამერიკელმა სენატორებმა, რესპუბლიკელმა ჯონ მაკკეინმა და დემოკრატმა ჰილარი კლინტონმა, ნორვეგიის ნობელის კომიტეტში "მშვიდობის" პრემიაზე წარადგინეს.

ნობელის ინსტიტუტისთვის გაგზავნილ წერილში სენატორები აცხადებენ, რომ აღნიშნული პრემია პრეზიდენტებმა დემოკრატიის, თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების დასაცავად მშვიდობიანი ბრძოლისთვის დაიმსახურეს.

მათთვის ნობელის პრემიის მინიჭება არა მარტო საქართველოსა და უკრაინის ისტორიულ როლს გაუსვამს ხაზს, არამედ მაგალითი იქნება იმ ადამიანებისათვის, ვინც სხვა ქვეყნებში თავისუფლებისათვის იბრძვიან, - ნათქვამია წერილში.

*პრაიმ-ნიუსი*

## ჯარში 4.500 წვევამდელს გაიწვევენ

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიარაღებულ ძალებში 2005-2006 წლების საგაზაფხულო გაწვევის მოსამზადებელი პერიოდი პირველი თებერვლიდან, წვევამდელთა უშუალოდ სამხედრო ქვედანაყოფებში გაწვევა კი 10 თებერვლიდან დაიწყება.

გეგმის მიხედვით, გასაწვევთა რაოდენობა 4.500-ს შეადგენს, საიდანაც 200 - თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ შინაგან ჯარში, დანარჩენი კი სხვა შენაერთებში გადანაწილდება.

ძალაში რჩება სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების 200-ლარიანი და საერთოდ გათავისუფლების 2.000-ლარიანი მოსაკრებელი, რომელთა გადახდაც წვევამდელებს გაწვევის უწყების მიღებიდან 10 დღის ვადაში შეეძლებათ.

2005-2006 წლების საგაზაფხულო გაწვევა მაისის ბოლომდე გაგრძელდება.

*მედია-ნიუსი*

## მოსკოვი დატკბა

"შეუძლებელია, არ დაეთანხმო საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, რომელიც თავისი ქვეყნის გამთლიანებისთვის პირველ ნაბიჯად მის ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას მიიჩნევს," - ნათქვამია რუსეთის საგარეო უწყების ინფორმაციის დეპარტამენტის ოფიციალურ კომენტარში, რომელიც პრეზიდენტ სააკაშვილის სტრასბურგში გამოსვლასთან დაკავშირებით გაკეთდა.

დეპარტამენტის აზრით, მისასალმებელია სააკაშვილის პოზიციაც, რომ დაცული უნდა იყოს იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც სისხლისმღვრელი კონფლიქტების დროს დაზარალდნენ.

"პრინციპული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მის მიერ ძალის გამოყენებით კონფლიქტების მოგვარების მცდელობის გაკრიტიკებას," - აღნიშნულია კომენტარში.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მკაცრ განცხადებებს აკეთებს აფხაზური მხარის მიერ მოლაპარაკებათა პროცესიდან გასვლის გამო.

"ქართულ მხარეს კარგად უნდა ესმოდეს ამის მიზეზი და ისიც, რომ აფხაზები საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით მოლაპარაკებათა პროცესის განახლებისთვის მზად არიან," - აცხადებენ რუსეთის საგარეო უწყების ინფორმაციის დეპარტამენტში.

*მედია-ნიუსი*

# გაგრძელება იქნება...



*ეს იქნება ყველაზე ხმაურიანი დოკუმენტი, იმედი აქვთ "კონსერვატორებს".*

პირველი გვერდიდან

"კონსერვატორების" ლიდერს კარგად ესმის, რომ ანაბრების დაბრუნება ერთ-ორ წელიწადში ვერ მოხერხდება და ეს პროცესი, შესაძლოა, ათწლეულების მანძილზე გაიწელოს, მაგრამ, როგორც დავითაშვილი აცხადებს, **"მთავარია, მოსახლეობას ჰქონდეს განცდა, რომ თავის ფულს აუცილებლად მიიღებს".**

პარლამენტარის თქმით, ანაბრების დაბრუნების დროს, პირველ რიგში, უნდა დაკმაყოფილდნენ სოციალურად ყველაზე გაჭირვებული ფენები - ინვალიდები, მარტოხელები, ღრმად მოხუცებულები და ა.შ. თუ ვინმე არ მოისურვებს, რომ თავის რიგს დაელოდოს, მათ უნდა დაურიგდეთ საპრივატიზაციო ბარათები. თუმცა "კონსერვატორები" ეჭვობენ, რომ შესაძლოა, ამ ბარათებს იგივე ბედი ეწიოს, რაც თავის დროზე - საპრივატიზაციო ვაუჩერებს. ამის თავიდან ასაცილებლად, კანონპროექტში ჩაწერილია, რომ საპრივატიზაციო ნუსხა დაამტკიცოს პარლამენტმა, პრივატიზება განხორციელდეს საფონდო ბირჟაზე, ობიექტების გაყიდვა მოხდეს საჯაროდ და მიღებული სახსრები ანაბრების დაფარვას მოხმარდეს.

მეორე გზა, რომლითაც ანაბრების გასტუმრება მოხდება, სახელმწიფო ბიუჯეტზე "გადის". კობა დავითაშვილი ითხოვს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა ჩაიდოს გარკვეული თანხა ანაბრების დასაფარად, ამ თანხის ოდენობა კი პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსების მიხედვით განისაზღვროს - მასზე ნაკლები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს. კობა დავითაშვილს უკვე დაანგარიშებული აქვს, ყოველწლიურად დაახლოებით რა ოდენობის თანხა მოხვდება მეანაბრეთა "ყულაბაში".

**"2005 წლის ბიუჯეტში პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 10 მილიონი ლარი, დამატებით 25 მილიონი კი სხვადასხვა პროგრამებისთვის არის გათვალისწინებული,"** - ანგარიშობს დავითაშვილი.

რანგით მეორე "კონსერვატორი" ზვიად ძიძიგური წინასწარ ტკბება იმ ეფექტით, რომელსაც მათი კანონპროექტი მოახდენს. **"ეს იქნება ყველაზე ხმაურიანი დოკუმენტი, რომელიც ამ მოწვევის პარლამენტში განხილულა. ჟვანიას, ბენდუქიძეს და მთავრობის სხვა წევრებს კიდევ ერთხელ მოვუშლით ნერვებს,"** - აცხადებს ძიძიგური.

"კონსერვატორები" აპირებენ, რომ ანაბრების დაბრუნებასთან დაკავშირებული კანონპროექტი ჯერ არასამთავრობო ორგანიზაციებს გააცნონ და მხოლოდ მათი შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ დაიწყონ მოსახლეობაში ხელმოწერების შეგროვების კამპანია.

# "კონსერვატორები" ირიბი არჩევნების წინააღმდეგ

*სულ მალე თვითმმართველობის შესახებ კანონი პარლამენტში საკმაოდ ხმაურიანი განხილვის საგნად იქცევა. მართალია, საქართველოს ხელისუფლებამ არაერთგზის განაცხადა, რომ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის ახალ მოდელზე მსჯელობა, სავარაუდოდ, საგაზაფხულო სესიაზე დაიწყებოდა, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა - საქართველოს ტერიტორიული მოწყობის თემა ღიად რჩება.*

თამარ მჭედლიშვილი

საგაზაფხულო სესიის დაწყებისთანავე საქართველოს პარლამენტს რამდენიმე კანონპროექტის განხილვა მოუწევს, რომლებიც სწორედ თვითმმართველობას უკავშირდება.

ცენტრსა და რეგიონებს შორის საბიუჯეტო და ქონებრივი უფლებამოსილებების გამიჯვნის საკითხებზე მსჯელობის გარდა, პარლამენტმა მერებისა და გამგებლების არჩევითობის პრობლემაც უნდა გადაჭრას.

მართალია, დღევანდელი ხელისუფლება მერებისა და გამგებლების არჩევითობის მომხრეა, მაგრამ, მმართველი პარტიის აზრით, ადგილებზე პირველი პირები არა პირდაპირი, არამედ ირიბი გზით, ანუ, საკრებულოს შემადგენლობიდან უნდა აირჩეს.

და რაც მთავარია, არჩევითი არ იქნება თბილისისა და ფოთის მერების თანამდებობები, რაც ოპოზიციონერებს ხმაურის ატეხვის შესანიშნავ საბაბს აძლევს. მით უფრო, რომ "მემარჯვენე ოპოზიციაც" და "კონსერვატიული პარტიაც" უკვე დიდი ხანია, კანონის გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობენ. მალე პარლამეტში "კონსერვატორების" კანონპროექტი შევა. მასში, სხვა საკითხებთან ერთად, მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევითობაა ჩადებული.

როგორც კონსერვატორები აცხადებენ, მათი საკანონმდებლო ინიციატივა ევროსაბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებითაა მომზადებული. ეს რეკომენდაცია კი საქართველოს ქალაქების მერების და ზოგადად გამგებლების პირდაპირი წესით არჩევას ითვალისწინებს.

კონსერვატორ კახა კუკავას განცხადებით, ეს საკანონმდებლო ინიციატივა განსხვავდება "მემარჯვენე ოპოზიციის" მიერ პარლამენტში წარდგენილისგან. კერძოდ, მისი თქმით, "მემარჯვენეებმა" პარლამენტს "თბილისის შესახებ" კანონში ცვლილებები შესთავაზეს, რომელიც მხოლოდ თბილისის მერის არჩევითობის დაკანონებას ეხება, "კონსერვატორები" კი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მერებისა და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევის დაკანონებას მოითხოვენ. თუმცა ისიც ცხადია, რომ ორივე პოლიტიკური ძალა საერთო ენის გამონახვას შეძლებენ და მმართველ პარტიას ერთიანი ძალებით შეუტევენ.

გარდა ამისა, "კონსერვატორები" პარლამენტს საბიუჯეტო უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ საკუთარ კანონპროექტსაც შესთავაზებენ. ასე რომ, "კონსერვატორების" წინადადებებს საკანონმდებლო პაკეტის ფორმა ექნება.

პარალელურად, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტი განსახილველად საკუთარ წინადადებებს ამზადებს. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ეს წინადადებები არ ეხება მერებისა და გამგებლების არჩევითობის პრინციპებს და მხოლოდ საბიუჯეტო და ქონებრივ საკითხებს მოიცავს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დღეს პარლამენტში ამ კომიტეტის წევრები შეკრებას გეგმავენ, რათა ეს წინადადებები დახვეწონ და კანონპროექტის სახე მისცენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დადებითად აფასებს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანას ითვალისწინებს. ნინო ბურჯანაძის თქმით, იგი, როგორც ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი, აღფრთოვანებულია ამ გადაწყვეტილებით. "ეს კიდევ ერთი დამადასტურებელი ნაბიჯია იმისა, რომ ხელისუფლება ზრუნავს არა მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ნაწილების განვითარებაზე, არამედ რეგიონებზე. ვფიქრობ, ეს ნაბიჯი ჩვენ ქუთაისის ძველი დიდების აღდგენისაკენ წაგვიყვანს," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ჰაიკი ტალვიტიე საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გეგმის დეტალურად შესწავლისკენ მოუწოდებს და აცხადებს: "ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხზე დიალოგი დაიწყო." გუშინ ჰაიკი ტალვიტიე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს დახურულ კარს მიღმა შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ ევროკავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების საკითხში აუცილებელია ყველა დეტალის შესწავლა და ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ვენეციის კომისიის მონაწილეობა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჭუბურხინჯის მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ ქართულს პრეტენზიები წაუყენა ენგურის პირობით საზღვართან ქართველი შეიარაღებული პირების განლაგებასთან დაკავშირებით. როგორც გალის აფხაზური ადმინისტრაციის მერმა ვალერი ლომიამ განაცხადა, ეს საკითხი შესწავლას საჭიროებს, რის შემდეგაც აფხაზური მხარე თავის პრეტენზიებს უმაღლეს დონეზეც დააფიქსირებს.

როგორც შეხვედრაზე ქართული მხარის წარმომადგენლებმა განაცხადეს, აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულია შინაგანი ჯარისა და პოლიციის ნაწილები. თუმცა, აფხაზური მხარე აცხადებს, რომ საქართველოში ძალოვანი სტრუქტურების "ფრიად საინტერესო შერწყმა მიმდინარეობს" და მას ეჭვი აქვს, რომ ენგურის ზოლზე არა პოლიციელები, არამედ თავდაცვის სამინისტროს ძალები არიან განლაგებული, რაც არღვევს 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებას ძალთა დაშორიშორების შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფმა კვიპროსის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გეორგ იაკოვუმ გუშინ თბილისში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის განათლების, მეცნიერების და კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსურმა პოლიციამ მეტრო "ისანთან" მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე არარეგისტრირებული სამორინე "ელდორადო" დალუქა. ფინანსური პოლიციის ცნობით, აღნიშნული სამორინე, დოკუმენტაციის მიხედვით, უკვე ოთხი თვეა, მუშაობს და ამ ხნის განმავლობაში საბიუჯეტო გადასახადებს არ იხდიდა. მათივე ინფორმაციით, სამორინეს, სადაც ოთხი მაგიდა ფუნქციონირებს, ბიუჯეტში თვეში 28 ათასი ლარი უნდა გადაეხადა. სისხლის სამართლის საქმე გადასახადების დამალვის მუხლით აღიძრა. **პრაიმ-ნიუსი**

## უცხოეთი

**სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.** გუშინ ინდოეთის ოკეანეში ორი ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ინდოეთის კუთვნილ ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე მიწისძვრის სიმძლავრემ რიხტერის სკალით 5-6 ბალი შეადგინა. მეორე მიწისძვრა, რომლის სიმძლავრეც რიხტერის სკალით 6.1 ბალი იყო, სააგენტო "ფრანს პრეს"-ის მიხედვით, კუნძულ სუმატრას ჩრდილოეთში დაფიქსირდა. ინდოელ ექსპერტთა განცხადებით, აღნიშნული ბიძგები გასული წლის 26 დეკემბერს უდიდესი მიწისძვრის შედეგია. მათი პროგნოზით, მიწისქვეშა ბიძგები კიდევ 2 წელზე მეტ ხანს გაგრძელდება. **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ევროსაბჭო.** გენერალური მდივანი ტერი დევისი არ იზიარებს რუსული მხარის კრიტიკას, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა "ზედმეტად არის გატაცებული" რუსეთში ადამიანის უფლებების მონიტორინგით. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე რუსი პარლამენტარები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და ეუთოს კრიტიკით გამოვიდნენ იმის გამო, რომ, მათი აზრით, ეს ორგანიზაცია ზედმეტად არის გატაცებული რუსეთში ადამიანის უფლებების მონიტორინგით. რუსეთის მხარემ შეშფოთება გამოხატა ამ "ცალმხრივობით" და გამოთქვა იმედი, რომ ეს ორი ევროპული ორგანიზაცია მეტ ყურადღებას დაუთმობს თანამშრომლობის ჰუმანიტარულ ასპექტებს, ასევე მის ეკონომიკურ შემადგენელს. "ევროსაბჭოს საქმეც სწორედ ადამიანის უფლებების დაცვაა. ჩვენ ეკონომიკური საქმიანობით არ ვართ დაკავებული", - განუცხადა "რია ნოვოსტის" ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა. მან აღნიშნა, რომ "ადამიანის უფლებათა მდგომარეობის მონიტორინგი ტარდება ევროსაბჭოს ყველა წევრ ქვეყანაში". "თქვენ შეგიძლიათ დიდ ბრიტანეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგის ნახვა და ეს ნორმალურია," - ამბობს დევისი. **რია-ნოვოსტი**

ბრძელდება ხელმოწერების კამპანია გაზეთ "24 საათზე"

ხელმოწერის ფასები:

1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!

თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს შემდეგ შეღავათებს:

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად, 70.20 ლარი;
ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად, 124.80 ლარი.

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ვენეციის კომისია თბილისში

პირველი გვერდიდან

გიორგი პაპუაშვილის თქმით, მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიის დახმარება, განსაკუთრებით - ევროპული ქვეყნების გამოცდილების გაზიარების კუთხით.

**"ვენეციის კომისიის წარმომადგენლები არიან იურისტები და არა პოლიტიკოსები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, ქართულ მხარეს გამოცდილება გავუზიაროთ. ჩვენ ვაფასებთ იუსტიციის მინისტრის თანამშრომლობის სურვილს ვენეციის კომისიასთან, რათა შემუშავდეს ევროპული სტანდარტების შესაბამისი დოკუმენტები,"** – განაცხადა ბუკიკიომ.

შეხვედრა გაიმართა ასევე კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავასთან, სადაც აღინიშნა, რომ ვენეციის კომისია სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის ინაციატივას **"საკმაოდ მისაღებ ვარიანტად"** მიიჩნევს.

ბუკიკიოს თქმით, ვენეციის კომისია, რომელსაც ავტონომიებთან ურთიერთობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, მზადაა, **"უფრო ღრმად შეისწავლოს"** სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის მიერ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოთქმული სამშვიდობო წინადადებები.

**"ჩვენ შევძლებთ სამხრეთ ოსეთის სტატუსთან დაკავშირებით საუკეთესო ვარიანტის შემუშავებას, რომელიც ყველა მხარეს დააკმაყოფილებს,"** - აღნიშნა მან.

ვენეციის კომისიის წევრებმა მსჯელობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესთან, ჯონი ხეცურიანთან გააგრძელეს.

როგორც შეხვედრის დასასრულს აღინიშნა, შესაბამისი კანონპროექტი ვენეციის ექსპერტების დახმარებით და უშუალო მონაწილეობით მომზადდება, მისი საბოლოო ვარიანტი კი ვენეციაში გაიგზავნება.

გუშინ მხარეები სამუშაო პროცესზე შეთანხმდნენ. განისაზღვრა მუშაობის ვადები და ფორმები.

ჯონი ხეცურიანის ვარაუდით, კანონპროექტი მარტის თვისთვის იქნება მზად.

რაც შეეხება საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს, ბუკიკიოს განცხადებით, ვენეციის კომისია აღნიშნულ ცვლილებებზე შესაბამის დასკვნას საქართველოში უახლოეს დღეებში გამოაგზავნის. როგორც ვენეციის კომისიის მდივანმა აღნიშნა, ევროპული რეკომენდაციის თანახმად, საკონსტიტუციო სასამართლოს დაკომპლექტებისას სასურველია, დაცული იყოს პლურალიზმის პრინციპი. კერძოდ, სასურველია, საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნა ხდებოდეს როგორც პრეზიდენტის, ასევე პარლამენტისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან.

ვენეციის კომისია 1990 წელს ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ დაფუძნდა და უდიდესი როლი ითამაშა აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში დემოკრატიის სტანდარტების კონსტიტუციათა მიღებაში. დღეისათვის კომისია მუშაობს, როგორც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საექსპერტო კვლევითი სტრუქტურა, საკონსტიტუციო კანონმდებლობის განვითარების სფეროში.

ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის დელეგაცია საქართველოს 29 იანვარს დატოვებს.

*24 საათი*

# ფუნდამენტური პრინციპები და საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანა

თავისუფლების ინსტიტუტი აპროტესტებს საკონსტიტუციო სასამართლოს თბილისიდან ქუთაისში გადატანის მცდელობას და მიაჩნია, რომ ამით კიდევ უფრო დასუსტდება კონსტიტუციური კონტროლის მექანიზმი და საფრთხე შეექმნება ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

თავისუფლების ინსტიტუტის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანის თაობაზე ხელისუფლების მიერ დახურულ კარს მიღმა იქნა მიღებული, მაშინ როცა ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიების საფუძველზე იღებენ.

თავისუფლების ინსტიტუტს აშფოთებს ის ფონი, რომელიც ხელისუფლებამ ამ გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენა. კერძოდ, როგორც ცნობილია, ხელისუფლების მიერ არის ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, რომელიც მოქმედი საკონსტიტუციო მოსამართლეების დათხოვნას ითვალისწინებს. "ასეთ შემთხვევაში საუბარი საკონსტიტუციო სასამართლოს ქუთაისში გადატანის თაობაზე ჰგავს არჩევანს არჩევანის გარეშე, ანუ მოსამართლეებს თანამდებობის შენარჩუნების სანაცვლოდ ქუთაისში გადასვლას სთავაზობენ," - ნათქვამია თავისუფლების ინსტიტუტის განცხადებაში.

არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადების თანახმად, შარშან მიღებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვადაგასულმა პარლამენტმა უყარა კენჭი. იგივე მდგომარეობაა დღესაც - სასამართლოს იმ წევრების ფორმალური თანხმობა, რომელთა თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნის საკითხი განიხილება, არაფრისმთქმელია. თუ სასამართლოს ქუთაისში გადატანის საკითხი განიხილება, უმჯობესია, ამ საკითხებზე დისკუსია საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი შემადგენლობის არჩევის შემდეგ გაიმართოს.

თავისუფლების ინსტიტუტი მხარს უჭერს საკონსტიტუციო რეფორმას, რომელიც გააძლიერებდა სასამართლოს დამოუკიდებლობასა და კონსტიტუციური კონტროლის არსებულ მექანიზმებს, მაგრამ ხელისუფლების მიერ ამჟამად ინიცირებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა შესაძლოა, საპირისპირო ეფექტი გამოიწვიოს.

*24 საათი*

ფოტო-რეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ელჩი „მწვანე ტალღის" მსმენელთან
ყოველ ხუთშაბათს გადაცემა „ამბადასორი" 11-იდან 12 საათამდე




დიდი ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკ ლარენი

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

ტარიფი ყველგან ერთნაირია, აირჩიე ხარისხი
საქართველოს ტელეკომი
8-10

წამობრივი დამრგვალება
უსწრაფესი კავშირი
საუკეთესო სმენადობა

ევროპა - 70 თეთრი
აშშ - 50 თეთრი
რუსეთი - 50 თეთრი

თბილისი, რუსთაველის 31
ტელ. 99 91 97
www.telecom.ge

# რუსეთმა საქართველოს პოზიცია დაბლოკა

პირველი გვერდიდან

- რამდენადაც ჩვენ კულუარებიდან გავიგეთ, ძირითადად - დასავლელი მეგობრებისგან, გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ჩვენი გამოსვლის წინააღმდეგი რუსეთი იყო. რუსეთის წარმომადგენლებმა შემდეგი არგუმენტი მოიტანეს: მოლაპარაკებათა პროცესი დელიკატურ ფაზაშია შესული, მდგომარეობა გაურკვეველია და ქართული მხარის გამოსვლა მიზანშეწონილი არ იქნებაო. რუსეთს არასოდეს მოსწონს ჩვენი გამოსვლები. ისინი ჩვენს გამოსვლას ყოველთვის ეწინააღმდეგებიან და იმასაც ამბობენ, რომ, თუ ქართველები გამოდიან, მაშინ აფხაზებსაც მივცეთ სიტყვაო. საქართველო რომ, აფხაზეთისაგან განსხვავებით, გაერო-ს წევრი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, ეს რუსეთისთვის, ალბათ, ვერაფერი არგუმენტია.

**- მოჰყვა თუ არა რაიმე გამოხმაურება, რეაქცია ბატონ რეზო ადამიას წერილს გაერო-ს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარისადმი?**

- ბატონმა რეზომ პრესკონფერენცია ჩაატარა, ჟურნალისტებსაც გააცნო ჩვენი პოზიცია.

რაც შეეხება ოფიციალურ გამოხმაურებას, მეგობრები ჯერ კიდევ მუშაობენ ჩვენი რეზოლუციის პროექტზე, ამდენად, ოფიციალურ გამოხმაურებას არც ველით.

ჩვენი წერილი ოფიციალურ დოკუმენტად გავრცელდა. ეს ჩვეული პრაქტიკაა. როცა გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლის საშუალებას არ გვაძლევენ, ჩვენ ვამზადებთ წერილს და ვითხოვთ, რომ იგი ოფიციალურ დოკუმენტად იქნეს მიჩნეული. პროცედურულად ამაზე უარის თქმის უფლება არა აქვთ.

**- გარდა აღნიშნული წერილისა, არსებობს თუ არა კიდევ სხვა მექანიზმები საერთაშორისო საზოგადოებისთვის ჩვენი პოზიციის გასაცნობად?**

- გაერო-ს მექანიზმები სხვა საშუალებას არ ითვალისწინებს. სხვა პროცედურები უშიშროების საბჭოს წევრების მიერ კონტროლდება. სხდომებზე დასწრებაც კი უშიშროების საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით ხდება და რადგან რუსეთი ამ საბჭოს წევრია, მას ვეტოს უფლება აქვს. შესაბამისად, უშიშროების საბჭოში ჩვენ შეზღუდულები ვართ.

არსებობს კიდევ გენერალური ასამბლეა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ყველა გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის, უფრო სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. ასამბლეის ტრიბუნიდან შეიძლება, ვისაუბროთ და მსოფლიო საზოგადოებას ჩვენი პრობლემატიკა გავაცნოთ, მაგრამ მოლაპარაკებათა პროცესზე ეს გავლენას არ იქონიებს.

ერთადერთი, ისევ კულუარული დიპლომატია და დასავლელ მეგობრებთან ურთიერთობა რჩება. ჩვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს მეგობრებთან. აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რეზოლუციის მიღება წელიწადში ორჯერ ხდება და ჩვენ ყოველთვის გვაქვს საშუალება, ჩვენი მოსაზრებები დასავლელ მეგობრებს გავუზიაროთ. მაგალითად, აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით... ჩვენ მოვითხოვეთ, რომ საერთაშორისო საზოგადოებას აფხაზეთის არჩევნები უკანონოდ ელიარებინა. რუსეთს, ცხადია, ამის ხსენებაც კი არ უნდოდა. მართალია, რეზოლუციის საბოლოო ვარიანტი ჯერ არ არსებობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა რაღაც ფორმით მაინც მოახერხეს იმის ხსენება, რომ აფხაზეთში უკანონო არჩევნები ჩატარდა.

# დავით ბერძენიშვილი ხელისუფლებას ტაშს უკრავს და... აკრიტიკებს

გიორგი ასანიშვილი

"რესპუბლიკელები" მთლიანად იზიარებენ საქართველოს ხელისუფლების პოზიციას სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ სტატუსთან დაკავშირებით, რომელიც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლის დროს ჩამოაყალიბა. დავით ბერძენიშვილის განცხადებით, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ოფიციალურმა თბილისმა ღიად თქვა, რომ სამხრეთ ოსეთს პოლიტიკური ავტონომიის სტატუსს აძლევს. "რესპუბლიკელების" ლიდერი აქვე იმასაც იხსენებს, რომ, თავის დროზე, ზვიად გამსახურდიას დროინდელ უზენაეს საბჭოში, ის იყო ერთადერთი დეპუტატი, ვინც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას მხარი არ დაუჭირა.

**"სააკაშვილმა დაგვიანებული, მაგრამ სწორი ნაბიჯი გადადგა. შარშან ზაფხულში ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც ძალის დემონსტრირება მოინდომა და კარგია, რომ ეს კატასტროფაში არ გადაიზარდა,"** - აღნიშნავს ბერძენიშვილი. მას მიზანშეწონილად მიაჩნია კონფლიქტის მოსაგვარებლად სამწლიანი გარდამავალი პერიოდის დაწესებაც, რომელმაც რეინტეგრაციის პროცესის დაჩქარება უნდა უზრუნველყოს.

სამაგიეროდ, "რესპუბლიკელების" ლიდერი მძაფრად აკრიტიკებს ხელისუფლების საპრივატიზაციო პოლიტიკას, განსაკუთრებით - საოკეანო სანაოსნოს გაყიდვის საკითხში. დავით ბერძენიშვილის თქმით, მთავრობის თავდაპირველი განზრახვა, რომ სანაოსნო აუცილებლად ნილსენის "გრინიუქი გრუპ"-ისთვის მიეყიდა, არასწორი იყო. პარლამენტარის მტკიცებით, საზოგადოებაში ატეხილმა ხმაურმა აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელი იმის მცდელობაზეც აალებინა, რომ საოკეანო სანაოსნო გენერალოვის "პრომინვესტორებს" გადასცემოდა.

**"ბოლო დროს რუსებმა საქართველოში ისედაც უამრავი ობიექტი შეისყიდეს, კიდევ ერთი რუსული ბიზნეს-ჯგუფის მიერ სანაოსნოს დაპატრონება უკვე დაუშვებელი იქნებოდა,"** - ასე ხსნის ბერძენიშვილი იმას, რომ გამარჯვება ავსტრალიურ-ბრიტანულ "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორასიონს" დარჩა.

თუმცა, "რესპუბლიკელების" თავკაცი მიიჩნევს, რომ საოკეანო სანაოსნოს საკითხში წერტილის დასმა ჯერ ნაადრევია.

**"ეს არ არის აუქციონი, სადაც ჩაქუჩი საბოლოოდ დაარტყეს. ეს არის საპრივატიზაციო ობიექტის წინასწარი გაყიდვისთვის მოსამზადებელი პროცესი, რომელშიც იმან უნდა გაიმარჯვოს, ვინც უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებს,"** - აცხადებს ბერძენიშვილი, რომელიც დარწმუნებულია, რომ "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორასიონზე" უკეთეს პირობებს საქართველოს მთავრობას ბრიტანული "მერინ კაპიტალი" სთავაზობს. ყოველ შემთხვევაში, დეპუტატის მტკიცებით, "მერინ კაპიტალი" მზად არის, რომ 90 მილიონი დოლარი გადაიხადოს ("არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორასიონი", როგორც ცნობილია, 89 მილიონს იხდის).

**"89 მილიონი კარგი ფასია, მაგრამ 90 მილიონი სჯობია. თანაც, "მერინ კაპიტალი" ამ თანხას ერთბაშად გაიღებს, მაშინ, როდესაც ავსტრალიურ-ბრიტანული კომპანია 89 მილიონს ერთი წლის განმავლობაში გადაიხდის. გარდა ამისა, "მერინ კაპიტალის" კარტის გათამაშებით, "არმსტრონგ ჰოლდინგ კორპორასიონმა", შეიძლება, კიდევ უფრო აწიოს ფასი,"** - ვარაუდობს დავით ბერძენიშვილი.

# აშშ ადმინისტრაცია სააკაშვილის ინიციატივას მხარს უჭერს

"ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია მხარს უჭერს სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში კონფლიქტის მოგვარების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის წინადადებებს და ყურადღებით დააკვირდება მათი შემდგომი რეალიზაციის პროცესს," - განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ბაუჩერმა.

მანვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ყველა რეგიონში პრობლემები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

**მედია-ნიუსი**

# საქართველოში ლობიზმის ინსტიტუტი ინერგება

*საქართველოში, შესაძლოა, ლობირება ოფიციალურად დაკანონდეს. გუშინ საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა ლობირების დაკანონების ინიციატივით გამოვიდნენ და მთავრობის, პარლამენტის და ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან ერთად დისკუსია გამართეს.*

დიანა ჩაჩუა

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია და ამერიკის სავაჭრო პალატა ლობირების კანონის რეალური ამოქმედების ინიციატივით გამოდიან. როგორც საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, ბიზნესმენებთან კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ ლობირების სრული ლეგალიზაციისთვის და გარკვეულ საკანონმდებლო ჭრილში მოქცევისთვის აუცილებელი იყო შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

**"ლობიზმი საკმაოდ მნიშვნელოვანი სერვისია, რომელიც პრაქტიკაში რეალურად უნდა დაინერგოს. დღევანდელი დღე, გარკვეულწილად, უპრეცედენტო შემთხვევაა, რადგან ლობიზმთან დაკავშირებით ამ დონეზე აქამდე არავის უმუშავია,"** - განაცხადა ისაკაძემ.

რეალურად, ლობირების შესახებ კანონი პარლამენტმა 1998 წელს მიიღო, თუმცა, როგორც საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნინო კალანდაძემ აღნიშნა, მან პრაქტიკაში გავრცელება ვერ ჰპოვა. **"მნიშვნელოვანი პრობლემა ის იყო, რომ კანონის რეალური განხორციელების პოლიტიკური ნება არ არსებობდა. ვფიქრობ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ პრობლემას აცნობიერებს და ლობირების დაკანონებას ხელს შეუწყობს,"** - განაცხადა ნინო კალანდაძემ.

გუშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შეკრებილი კერძო სექტორის, ბიზნესასოციაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სამოქალაქო ინტერესების დაცვისა და ლობირების მნიშვნელობაზე, საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ინტერესების დაცვის სტრატეგიის, ლობირების ეფექტური მექანიზმისა და ტექნიკის შემუშავებისთვის საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებაზე და ხელისუფლების ბიზნესთან ურთიერთობაზე ისაუბრეს.

შეხვედრაზე დამსწრეთა შორის ამერიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ფადი ასლიც იყო, რომელიც საქართველოს ხელისუფლებასთან მიმართებაში საკმაოდ კრიტიკული აღმოჩნდა. მისი შეფასებით, რევოლუციის შემდეგ საქართველოში საინვესტიციო გარემო გაუარესდა. მეტიც, მისი თქმით: **"მთავრობას არ სურს საუბარი ბიზნესთან. საქართველოს ხელისუფლება ისე იქცევა, თითქოს ყველაფერი იცის. დიალოგის არარსებობის გამო საქართველოს ამჟამინდელმა მთავრობამ ბევრი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა, ხოლო დონორ ორგანიზაციებს საკმაოდ მოკლე მეხსიერება აღმოაჩნდათ - მათ აღარ ახსოვთ, რა მივიღეთ მსგავსი დამოკიდებულებით 90-იან წლებში."**

თუმცა, როგორც ფადი ასლიმ დაამატა, პრობლემები მარტო ხელისუფლებისგან არ მომდინარეობს, ისინი საქმიან წრეებშიც არსებობს.

ფადი ასლის გუშინდელ კომენტარს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა დამენია გამოეხმაურა, რომელიც ლობიზმის ინსტიტუტის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. მისი თქმით, ქვეყანაში საინვესტიციო და ბიზნესგარემო ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში მკვეთრად გაუმჯობესდა. ამის საილუსტრაციოდ დამენიამ პრივატიზაციის შედეგები მოიტანა. **"მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ მთავრობას ბევრი პრობლემა აქვს, ქვეყანაში საინვესტიციო გარემო არ გაუარესებულა. ამაზე პრივატიზაციის პროცესიც მოწმობს. იმ ობიექტებში, რომელიც დღეს ასეულობით მილიონ დოლარად გაიყიდა, წელიწადნახევრის წინ 40-ჯერ ნაკლებ ფასსაც კი არავინ იხდიდა,"** - განაცხადა დამენიამ.

გუშინვე შეხვედრაზე ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული სახელმძღვანელოს "ურთიერთობები საქართველოს ხელისუფლებასთან: სახელმძღვანელო ბიზნესასოციაციებისათვის" პრეზენტაცია მოეწყო, რომელშიც საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ინტერესების დაცვისა და ლობირების ტექნიკაა ასახული.

# კონტროლის პალატამ რეგიონებს "მიხედა"

**ფოთსა და თელავში ჩატარებული რევიზიის მასალები გენერალურ პროკურატურაში გადასაგზავნად მზადდება**

თამარ ივანიძე

*კონტროლის პალატა, უკვე რამდენიმე თვეა, "რესტრუქტურიზაციის" რეჟიმშია. მართალია, ატესტაცია ჯერ კიდევ წინაა, ხელფასებიც ნაწილობრივ გაიზარდა და მთავარი სახელფასო რეფორმა წელს გველის, ძველი ტრადიციებისგან გათავისუფლებასაც საკმაოდ ბევრი დრო სჭირდება, თუმცა 2004 წლის შედეგების შეჯამებისას სათქმელი კონტროლის პალატაშიც დაუგროვდათ. "24 საათის" დღევანდელი რესპონდენტი კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ხელაიაა, რომელმაც ჩვენთან საუბრისას რამდენიმე ძირითადი აქცენტი გამოყო:*



*უკლებლივ ყველა შემოწმებულ რაიონში აშკარად იგრძნობა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.*

## რეფორმები

2004 წელს უკვე გაუქმდა პალატის ბიუროები საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიულ ერთეულებში, ყოფილი აღმოსავლეთის და დასავლეთის დეპარტამენტების გაერთიანების შედეგად შეიქმნა ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტი, რომლის ძირითად ფუნქციას წარმოადგენდა რაიონული დონის ბიუჯეტების შედგენა-შესრულების მდგომარეობის შესწავლა. მოხდა უკვე კადრების ოპტიმიზაციაც. კონტროლის პალატის დეპარტამენტებისა და სამსახურების ფუნქციები მკვეთრად გაიმიჯნა, რის შედეგადაც გამოირიცხა პალატის სხვადასხვა სამსახურების მიერ ერთი და იგივე ობიექტების, რაიონების ან სფეროს პარალელური შემოწმებები. უახლოეს პერიოდში პალატაში განხორციელდება ტესტირების პროცედურა, რაც საშუალებას მოგვცემს, კონკურსის წესით მოვახდინოთ თანამშრომლების შერჩევა. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით აქტიურად მიმდინარეობს კონტროლის პალატის თანამშრომლებისათვის სასწავლო ცენტრის ორგანიზება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს პალატის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

## რეგიონული შემოწმებები

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ წლების მანძილზე საქართველოს უმეტეს რაიონებში საბიუჯეტო პროცესი თვითდინებაზე იყო მიშვებული. ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების გეგმის პერმანენტული შეუსრულებლობა და ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერტების სრულად მიუღებლობის პირობებში, რაიონების გამგეობებისა და საფინანსო განყოფილებების მიერ არავითარი ყურადღება არ ექცეოდა არსებული საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეფექტიან ხარჯვას.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს კონტროლის პალატა ამოწმებს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისათვის დელეგირებული პროგრამებისა და ღონისძიებების (განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, მმართველობის შენახვის და სხვა) დაფინანსების მიზნით გაწეულ ხარჯებს (და არა თვითმმართველობის განმგებლობაში მყოფ თანხებს, რომელთა შემოწმება მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით არის შესაძლებელი). თუმცა, იმ ფარგლებშიც, რა ფარგლებშიც ხორციელდება კონტროლი, საკმაოდ მძიმე სურათი იხატება.

## ფაქტები და ტენდენციები

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ადგილობრივი ბიუჯეტების დეპარტამენტის მიერ გასული წლის ბოლო ოთხ თვეში ჩატარებული 15 თემატური და 16 კომპლექსური რევიზიის შედეგები, რომელიც, ძირითადად, 2002-2004 წლის პირველ ნახევარს მოიცავდა. საგულისხმოა, რომ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს 13 რაიონული ბიუჯეტის შედგენა-შესრულების კომპლექსური რევიზიის შედეგები, რომელთაგანაც 9 რაიონის მმართველობის ორგანოების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა შემოწმებულ რაიონში სისტემატურად ირღვეოდა "ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, "საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ", "საქართველოს საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ", საქართველოს 2002 -2004 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების შესახებ, ასევე სახელმწიფო შესყიდვებისა და საქართველოს ნორმატული აქტების შესახებ საქართველოს კანონების მოთხოვნები. კანონდარღვევები ფიქსირდებოდა საბიუჯეტო პროცესის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

რაიონული ბიუჯეტის პროექტების ფორმირება ხორციელდებოდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის და ცალკეული დარგების მიხედვით საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის მიმდინარე და მოსალოდნელი მაჩვენებლების ანალიზის გარეშე.

რაიონული ბიუჯეტების დაგვიანებით დამტკიცების გამო, მმართველობისა და თვითმმართველობის ერთეულების ბიუჯეტებს შორის საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლების გამიჯვნა განხორციელებულია წინა წლებში დამტკიცებული ეკონომიკური ნორმატივებით იმგვარად, რომ მათი ვადის გაგრძელებაზე რაიონების საკრებულოებს გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

გეგმიური და ფაქტობრივი ხარჯების განაწილებისას რაიონების გამგეობების ოფისისა და კომუნალური ხარჯები მნიშვნელოვნად აღემატება განათლებისა და კულტურის სფეროს ანალოგიურ ხარჯებს.

წლების მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონების დარღვევით არის დაგეგმილი და დაფინანსებული მინიმალური სოციალური პაკეტი და ჯამრთელობის დაცვის პროგრამები. შედეგად, გაზრდილია სხვა დარგების დაფინანსების გეგმები. სახელფასო დავალიანებების არსებობის პირობებში 100 პროცენტით და ზოგჯერ მეტად იყო დაფინანსებული სხვა ხარჯები.

უფლებამოსილებათა დელეგირების შესახებ მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები არასრულყოფილია ან საერთოდ არ იდებოდა.

ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მობილიზაციის საკითხებს, რის შედეგად ადგილობრივი მოსაკრებლების ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში ძალზე მცირეა.

უმეტეს რაიონებში მოუწესრიგებელია საბუღალტრო დოკუმენტაცია და სალაროს მეურნეობა.

რაიონების ხელმძღვანელობის მიერ არავითარი ყურადღება არ ეთმობოდა საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ და ეფექტურ ხარჯვას, ასევე რაიონული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამებისა და ღონისძიებების სრულყოფილად დაფინანსებას, რის გამოც მნიშვნელოვნად დამძიმდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა და შეფერხდა რაიონების ინფრასტრუქტურის განვითარება.

## რეაგირება

კონტროლის პალატის შემოწმების მასალები და პალატის პრეზიდიუმის დადგენილებები დაეგზავნა შემოწმებული რაიონების ხელმძღვანელობას, რათა მათ მიერ გაანალიზდეს გამოვლენილი კანონდარღვევები და გათვალისწინებული იქნეს ჩვენი რეკომენდაციები და შენიშვნები. უკლებლივ ყველა შემოწმებულ რაიონში აშკარად იგრძნობა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რის გამოც, ვფიქრობ, საკმაოდ გართულდება საბიუჯეტო პროცესის მოქმედი კანონმდებლობის ჩარჩოებში სრულად მოქცევა.

გარდა ამისა, საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებები ცნობისათვის ეგზავნება საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ადგილობრივი მმართველობის და რეგიონული პოლიტიკის საკოორდინაციო სამსახურს, საქართველოს მთავრობის კანცელარიას და საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს შესაბამის მხარეებში.

სახელმწიფო ფულადი და მატერიალური ქონების დანაკლისის გამოვლენის შემთხვევაში, დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების შესახებ მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო ცალკეული რაიონების კომპლექსური რევიზიის აქტები მთლიანად ეგზავნება გენერალურ ან რაიონულ პროკურატურას შემდგომი რეაგირებისათვის. 2004 წელს საქართველოს პროკურატურას და სხვა სამართალდამცავ ორგანოებს გადაეგზავნათ 9 შემოწმების მასალა, მათ შორის - ახალქალაქის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ლენტეხის რაიონული ბიუჯეტების, ასევე დუშეთისა და ბაღდათის საფინანსო განყოფილებებში გამოვლენილი, ბიუჯეტის კუთვნილი თანხების მითვისების ფაქტების შესახებ და სხვა. ამჟამად საქართველოს გენერალურ პროკურატურაში გადასაგზავნად მზადდება ქ. ფოთსა და ქ. თელავში ჩატარებული რევიზიის მასალები.

"24 საათი" და "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია"
იწყებენ ახალ პროექტს:

**"საგადასახადო კოდექსის განმარტებები".**

**ყოველ ორშაბათს -** ახალი საგადასახადო კოდექსის ექსპერტული განმარტება.
**ყოველ ოთხშაბათს -** ექსპერტთა პასუხები თქვენს კითხვებზე.

კითხვები შეგიძლიათ ჩააწერინოთ ტელეფონებზე:
20 24 24 ("24 საათი") ან 93 64 75 ("ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" ცხელი ხაზი) ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა - 12 საათიდან 15 საათამდე.
ასევე გამოაგზავნოთ ინტერნეტით:
e-mail: economics@24hours.ge ან
office@economists.ge
გამოაგზავნოთ ფოსტით ან დატოვოთ "24 საათის" საფოსტო ყუთში. მისამართი: თბილისი. ვაჟა-ფშაველას 45

# რუსი ბიზნესმენები ამნისტიას ითხოვენ

*რუსი ჩინოვნიკების ცვალებადი ხასიათის და ქვეყნის მმართველის ცენტრალიზებული პოლიტიკით შეწუხებულ რუს ბიზნესმენებს ცხოვრების ახალი ფურცლიდან დაწყება სურთ. საქართველოს დიდი მეზობლის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში საგადასახადო ამნისტიის შემოღების და პრივატიზაციის პროცესის საბოლოოდ დასრულების შესახებ უკვე შევიდა წინადადებები. ვალუტის კურსის პრობლემები, პრივატიზაცია, ფინანსური ამნისტია - ყველაფერი ისეა, როგორც საქართველოში. ოღონდ - რევოლუციის გარეშე.*

დიანა ჩაჩუა

რუსი ჩინოვნიკები თანამოძმე ბიზნესმენების ინიციატივას კრიტიკულად შეხვდნენ. კონკურენციის სახელმწიფო საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ბიზნესმენებმა საგადასახადო ორგანოების ქმედებები გააკრიტიკეს. თავად რუსეთის საგადასახადო უწყების მონაცემებით, 2004 წლის ცხრა თვის მიხედვით, რუსული კომპანიების მისამართით 470 მილიარდი რუბლი საგადასახადო დავალიანება იყო დარიცხული. იმავე 2004 წელს "იუკოსის" მრავალმილიარდიანმა დავალიანებებმა ნავთობგიგანტი გაკოტრებამდე მიიყვანა.

ბიზნესი აბსოლუტურად არ ენდობა ხელისუფლებას, - აცხადებს "რაო ეესის" თავმჯდომარე ანატოლი ჩუბაისი. მისი ვარაუდით, გადამხდელებიდან თანხების ამოღების "განსაკუთრებული" მეთოდების გამო, რუსული კომპანიების დაახლოებით მესამედი დაზარალდა.

პრემიერმა მიხეილ ფრადკოვმა ფინანსთა მინისტრს ალექსეი კუდრინს საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირების ჯგუფის შექმნა დაავალა, რომელშიც ბიზნესის წარმომადგენლებიც შევლენ. ეკონომიკის მინისტრმა გერმან გრეფმა კი საბჭოს წევრებს რაც შეიძლება მოკლე დროში გადასახადებთან დაკავშირებული წინადადებების გამოგზავნა სთხოვა. ბიზნესმენებმა დიდხანს არ ალოდინეს გრეფი. სამინისტროებში უკვე გააგზავნა საკუთარი წინადადებები "სიბმაშხოლდინგის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ იური კარაპაჩინსკიმ. მას ორი წინადადება აქვს: საგადასახადო ამნისტიის შემოღება და საშუალო ბიზნესზე საგადასახადო წნეხის მკვეთრად შემცირება. **"საგადასახადო ამნისტია განიხილება არა როგორც შეღავათი, არამედ როგორც იძულების ზომა, რომელსაც გადასახადების ამოღების მაჩვენებლის გაზრდა შეუძლია,"** - განაცხადა რუსეთის მრეწველების და მწარმოებლების კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ სერგეი ბელაკოვმა. მისი თქმით, მათი გაერთიანება კარაპაჩინსკის იდეას მხარს უჭერს. კიდევ ერთმა მსხვილმა მეწარმემ, რომელმაც რუსულ საინფორმაციო გამოცემა "ვედომოსტისთან" საუბრისას ანონიმად დარჩენა ისურვა, კუდრინის და გრეფის უწყებებს პრივატიზაციაში მონაწილეთა ამნისტიაზე ფიქრისკენ მოუწოდა.

ინიციატორ ბიზნესმენებს თავისი კოლეგებიც უჭერენ მხარს. როგორც კომპანია "ვიმმ-ბილ-დანის" დირექტორთა საბჭოს ქართველმა თავმჯდომარემ დავით იაკობაშვილმა განაცხადა, **"წერტილი უნდა დავუსვათ ყველაფერს, რაც აქამდე ხდებოდა, ახალი ცხოვრების შენება უნდა დავიწყოთ და შევეცადოთ, ბოლო არ მოვუღოთ ბიზნესს."**

თუმცა, რუსი ჩინოვნიკები გამოთქმული იდეებით აღფრთოვანებული არ არიან. რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგადასახადო განყოფილების ხელმძღვანელი ვიტალი პროკაევი საყოველთაო ამნისტიის გატარების ფაქტს მართებულად არ მიიჩნევს. მისი თქმით, 90-იან წლებში კომპანიები პატიოსნად იხდიდნენ გადასახადებს **"თუნდაც "არ შემიძლიათი." ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო,"** - განმარტა პროკაევმა.

# ეროვნული ბანკის თბილისიდან ქუთაისში გადატანას ცნობილი ბანკირი უარყოფითად აფასებს

საქართველოს ეროვნული ბაკის გადატანას დედაქალაქიდან ქუთაისში ცნობილი ბანკირი ვლადიმერ პატეიშვილი უარყოფითად აფასებს.

როგორც მან პრაიმ-ნიუსთან საუბრისას აღნიშნა, ბანკის გადატანა მის საქმიანობაზე და საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარებაზე უარყოფითად იმოქმედებს, ვინაიდან აღნიშნული პროცესი გამოიწვევს ბანკიდან მაღალკვალიფიციური საბანკო კადრების გადინებას და გაართულებს ურთიერთობებს კომერციულ ბანკებსა და ეროვნული ბანკის საზედამხედველო სამსახურს შორის.

"დღეს ეროვნულ ბანკი მაღალკვალიფიციური საბანკო კადრებით არის დაკომპლექტებული და მოსალოდნელია, რომ ბანკის გადატანის შემთხვევაში ისინი ეროვნული ბანკიდან კომერციულ ბანკებში გადავლენ სამუშაოდ. გარდა ამისა, ეროვნული ბანკს გაუჭირდება კომერციულ ბანკებზე საზედამხედველო ფუნქციის განხორციელება, ვინაიდან ეროვნული ბანკი ზედამხედველობას სწორედ კომერციული ბანკების დედაქალაქში არსებულ სათავო ოფისებზე ახორციელებს. აღნიშნული უარყოფითად აისახება სექტორის განვითარებაზე, ვინაიდან სწორედ ზედამხედველობის სისტემის არქონის მიზეზი იყო 90-იან წლებში არსებული ქაოსი საბანკო სფეროში", -განაცხადა ვლადიმერ პატეიშვილმა.

მისივე თქმით, ქვეყნის ცენტრალური ბანკი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დედაქალაქშია განთავსებული და საქართველო ეროვნული ბანკის თბილისიდან ქუთაისში გადატანით დამატებით და ხელოვნურ პრობლემებს შეუქმნის საბანკო სექტორს.

პატეიშვილს მიაჩნია, რომ უფრო მართებული იქნებოდა, თუ მთავრობა ქუთაისის სამრეწველო პოტენციალის გამოყენებაზე იზრუნებდა, რაც ქალაქში და მთლიანად რეგიონში დასაქმების პრობლემებს მოაგვარებდა.

**პრაიმ-ნიუსი**

საბიუჯეტო მონიტორინგი

EPRC
Economic Policy and Research Center
ტელ/ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# ბიუჯეტი 2004 - ხარჯები

**ხელისუფლებისთვის პრიორიტეტული აღმოჩნდა ძალოვნები, ნაკლებპრიორიტეტული - შემწეობები, ჯანდაცვა, მიწისძვრით დაზარალებულები...**

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევით ცენტრს ისევ 2004 წლის 31 დეკემბრით დათარიღებული მონაცემი აქვს ხელთ. ხაზინის ზეპირი ინფორმაციის თანახმად, ამ ციფრების კორექტირება კიდევ შეიძლება მოხდეს, რაც მეტყველებს, რომ დეკემბერი ხაზინას საკმაოდ რთული ჰქონდა, განსაკუთრებით - ბოლო დღეები. ამაზე ისიც მოწმობს, რომ დეკემბერში დახარჯულია წლის სარეკორდო თანხა - 320 მილიონი ლარი. საბოლოოდ კი, 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ასეთი სურათი გვაქვს: 31 დეკემბრის მონაცემებით, მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები დაფინანსებულია 1 887 მილიონი ლარით. თუ გავითვალისწინებთ, რომ კორექტირებული სახელმწიფო ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში არის 1926,4 მილიონი ლარი, მაშინ გამოდის, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულებას 31 დეკემბერს აკლდა 39,5 მილიონი ლარი.

აქ ერთი გარემოების აღნიშვნაა აუცილებელი - მიუხედავად ბიუჯეტის კორექტირებისა და შემოსავლების გაზრდისა, რომელზეც გასულ მონიტორინგში მოგახსენეთ, ხარჯვით ნაწილში ბიუჯეტი არ გაზრდილა. საბოლოო ჯამში, დეფიციტი შემცირდა 87 მილიონი ლარით. ანუ დეფიციტი იყო 270 მილიონი ლარი, კორექტირების შემდეგ კი 184 მილიონი ლარი გახდა.

თუ ამ ცვლილებას არა არითმეტიკული თვალსაზრისით გადავხედავთ და ვნახავთ, რაშია სხვაობა, აღმოჩნდება, რომ: საშინაო წყაროებიდან დაფინანსება გაიზარდა 12,7 მილიონი ლარით, რაც, ძირითადად, მოხდა ეროვნული ბანკის სესხით. რაც შეხება საგარეო წყაროებს - დაფინანსება შემცირდა 100 მილიონი ლარით. ეს ნიშნავდა საინვესტიციო კრედიტების მიუღებლობას და, შედეგად, საინვესტიციო პროექტების დაუფინანსებლობას. რადგან გაზრდილი შემოსავლებით საინვესტიციო პროექტების დაფინანსება აღარ მომხდარა.

საინტერესოა კორექტირებული ბიუჯეტის პრიორიტეტები:

საქართველოს 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების მაჩვენებლები

| ხარჯები | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 203,204.5 | 201,377.8 | 199,928.0 | 98% |
| [illegible] | 33,206.3 | 32,814.4 | 32,311.5 | 97% |
| [illegible] | 10,299.8 | 9,879.0 | 9,643.2 | 94% |
| [illegible]******* | 117,061.3 | 262,363.4 | 258,668.6 | 221% |
| [illegible]: | | | | |
| [illegible] | | 18,123.3 | 17,614.6 | |
| [illegible] | | 39,297.2 | 38,535.3 | |
| [illegible] | 17,986.5 | 17,726.9 | 17,292.5 | 96% |
| [illegible] | | 537.2 | 516.6 | |
| [illegible] | | 8,843.4 | 8,713.4 | |
| [illegible] | | 29,186.5 | 28,460.9 | |
| [illegible] | | 4,753.1 | 4,745.8 | |
| [illegible] | | 143,895.8 | 142,589.6 | |
| [illegible] | 148,409.0 | 143,889.5 | 139,087.6 | 94% |
| [illegible] | 633,643.8 | 521,412.5 | 519,103.4 | 82% |
| [illegible] | 101,612.0 | 100,971.5 | 97,247.4 | 96% |
| [illegible] | 272,924.3 | 217,923.0 | 217,923.0 | 80% |
| [illegible] * | 1,520,440.9 | 1,490,631.1 | 1,473,912.7 | 97% |
| [illegible] ** | 332,550.0 | | 347,393.5 | 104% |
| [illegible] | 66,650.0 | | 65,633.5 | 98% |
| [illegible] | 1,926,355.0 | 1,490,631.1 | 1,886,939.7 | 98% |

სახელმწიფო ბიუჯეტის მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება არის დაფინანსებული 99 პროცენტით, მივლინებები - 94 პროცენტით, სხვა საქონელი და მომსახურება - 221 პროცენტით.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ კორექტირებულ ბიუჯეტში "სხვა საქონლისა და პროდუქციის" და "კაპიტალური ხარჯების" განსაკუთრებულად დიდი ოდენობით ზრდის ტენდენცია შეინიშნება: მაგალითად, იმ ორგანიზაციებს, რომელთაც გაეზარდათ დაფინანსება, როგორიც არის უშიშროების საბჭო, სახელმწიფო კანცელარია, თავდაცვის საინისტრო, შს სამინისტრო, ძირითადად, გაეზარდათ "სხვა საქონლისა და მომსახურების" და კაპიტალური ხარჯების მუხლები. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ, როცა ძალოვანი უწყებების დაფინანსება გაიზარდა, დაუფინანსებელი დარჩა მთელი რიგი სოციალური და საინვესტიციო პროექტები.

მაგალითად, ბიუჯეტის კორექტირების შედეგად, საერთო სასამართლოების დაფინანსება შემცირებულია 1,5 მილიონით, მიწისძვრით დაზარალებულთ პროგრამა არის შემცირებული 1,7 მილიონი ლარით, ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსება (მათ შორის, გზების და სხვა შეღავათიანი საინვესტიციო პროექტების) შემცირდა 14 მილიონით, იუსტიციის სამინისტრიოს - 1,8 მილიონით, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები - 1 მილიონით, განათლება - 5,7 მილიონი ლარით, ჯანდაცვა - 28 მილიონი ლარით, ენერგეტიკა - 35 მილიონი ლარით.

## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის

# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

## საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ 2004 წლის შედეგების მიხედვით

2004 წლის 13 აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები განისაზღვრა 65150 ათასი ლარის ოდენობით, რასაც ემატება გარდამავალი ნაშთი 1500 ათ. ლარი და ჯამში შეადგენს 66550 ათას ლარს.

2004 წლის საგზაო ფონდის ფაქტიურმა შემოსავლებმა შეადგინა 74882,5 ათასი ლარი, ანუ იგი გადაჭარბებით არის შესრულებული 9732,5 ათ.ლარით, რაც ასახულია ცხრილში N1.

ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის 2004 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია და ანალიზი, კონკრეტულ ციფრობრივ გამოხატულებებში მოცემულია ცხრილში N2.

მთლიანად წლის განმავლობაში ფაქტიური ხარჯები შეადგენს 65410,0 ათას ლარს, საიდანაც გზების მოვლა-შენახვაზე (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება, გზების ზამთრის პერიოდში შენახვა, გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები), საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოებზე, სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდებისა და გვირაბების დაცვაზე და სხვა ამასთან დაკავშირებულ თანმდევ სამუშაოებზე გახარჯულია 34962,5 ათასი ლარი, მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები შეადგენს 3551,7 ათას ლარს, უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადახდა მოხდა 8337,8 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარიმართა ცენტრალურ ბიუჯეტში, წინა წლებში შესრულებული საგზაო-სამშენებლო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდამ შეადგინა 5560,9 ათასი ლარი.

სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებულ სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 12849,9 ათასი ლარი, ხოლო საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატების შენახვის ხარჯებმა შეადგინა 1518,6 ათასი ლარი.

2004 წელს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ საგზაო ფონდის სახსრებით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სულ 4300 კმ გზაზე ჩატარდა მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) სამუშაოები, რითაც საგრძნობლად გაუმჯობესდა საქართველოს საავტომობილო გზების მდგომარეობა. საგზაო ფონდის სახსრებით ასევე რეაბილიტაცია და პერიოდული შეკეთება გაუკეთდა საავტომობილო გზას საერთო სიგრძით 49 კმ და სავალ ნაწილზე აღდგენილი იქნა ასფალტობეტონის საფარი.

18 ხიდზე დაწყებული იქნა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რომელთაგან 10 სახიდე გადასასვლელზე ისინი 2004 წელს დამთავრდა, ხოლო 8 ხიდზე მათი დასრულება დაგეგმილია 2005 წელს (იხილეთ ცხრილი N3).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთებისა და აღდგენა-რეაბილიტაციის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტების საფუძველზე განხორციელებულმა ღონისძიებებმა. ამ მხრივ გასული წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პროდუქტიული წელი აღმოჩნდა.

მსოფლიო ბანკის კრედიტით გათვალისწინებული საგზაო-სამშენებლო სამუშაოებიდან, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა საავტომობილო გზის მონაკვეთებზე, დიდი ნაწილი უკვე დასრულებულია და ნაწილზე მიმდინარეობს სამუშაოები. მსოფლიო ბანკის კრედიტით 2004 წელს 183,8 კმ გზაზე ჩატარდა 27662,5 ათ. ლარის მოცულობის პერიოდული შეკეთებისა და რეაბილიტაციის სამუშაოები (იხილეთ ცხრილი N4). ასევე სენაკთან, მდინარე ცივზე აშენდა ხიდი (86 გრძ.მ.) და ასევე დასრულების სტადიაშია საქართველოს სამხედრო გზაზე ფასანაურთან, სონდისხევის ხიდის მშენებლობა 60 გრძ. მეტრით. იგი დასრულდება 2005 წლის პირველ ნახევარში.

2005 წელს დარჩენილი გზების მონაკვეთებზე და სონდის ხევის ხიდზე განხორციელდება 3909,6 ათ. ლარის მოცულობის სამუშაოები, რითაც დასრულდება მსოფლიო ბანკის კრედიტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო.

რაც შეეხება არაბთა ეკონომიკური განვითარების კუვეიტის ფონდის კრედიტით გათვალისწინებულ პროექტს, 2004 წელს დასრულდა 4526,3 ათ. ლარის სარეაბილიტაციო სამუშაოები სულ 43,8 კმ გზის მონაკვეთზე, ხოლო სენაკი-ფოთი-სარფის გზის ურეკი-ჩოლოქის 7 კმ-იან და სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის 3 კმ-იან მონაკვეთებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2005 წლის პირველ ნახევარში (იხილეთ ცხრილი N4). ამ სამუშაოებით ასევე დასრულდება კუვეიტის ფონდის კრედიტის რეალიზაცია.

აღსანიშნავია, რომ 2004 წელი განსაკუთრებული გამოდგა სტიქიური მოვლენების სიმრავლის მიხედვით. წყალდიდობებისა და მეწყერული მოვლენების შედეგად დაზიანდა მდინარეების გასწვრივ გამავალი საავტომობილო გზები, დაინგრა და მწყობრიდან გამოვიდა მრავალი დიდი თუ პატარა სახიდე გადასასვლელი და გზებზე არსებული სხვა ხელოვნური თუ საინჟინრო ნაგებობა, შესაბამისად აღნიშნული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებულ სამუშაოებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 12,6 მლნ ლარი.

სულ დაფინანსების ყველა წყაროს ( სპეციალური სახელმწიფო საგზაო ფონდი, მათ შორის სტიქიის სალიკვიდაციოდ განკუთვნილი სახსრები, მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტები) საფუძველზე 2004 წელს პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია გზის სავალი ნაწილის სრული აღდგენით ჩაუტარდა 276,6 კმ. გზას, 24 ერთეულ ხიდზე დაწყებული მშენებლობიდან, დამთავრებულია 18 ხიდის მშენებლობა, ხოლო 46 ერთეულ ხიდზე დაწყებული სარეაბილიტაციო სამუშაოებიდან იგი უკვე დასრულებულია 20 ხიდზე.

### 2004 წლის სახელმწიფო საგზაო ფონდის შემოსავლები

/ოპერატ. მონაც./ ათ. ლარი

ცხრილი N1

| N | შემოსავლის სახეები | 2004წ ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლები | | ფაქტიურად ჩარიცხული საგზაო ფონდში | | საგზაო ფონდის შემოსავლების პროცენტული შესრულება |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | წლის განმავლობაში | მ.შ. დეკემბრის თვის | წლის განმავლობაში | მ.შ. დეკემბრის თვის | % |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 2 | აქციზი (იმპორტირებული ბენზინის აქციზიდან შემოსავლის 30%) | 18200,0 | 1000,0 | 17568,1 | 1745,0 | 96,5 |
| 3 | საავტომობილო გზებით სარგებლობის გადასახადი | 28500,0 | - | 33384,2 | 1467,2 | 117,1 |
| 4 | ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრის გადასახადი | 2750,0 | 182,0 | 2020,5 | 10,7 | 73,4 |
| 5 | გადასახადი საქართველოს ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების შემოსვლისათვის | 13900,0 | 1080,0 | 19662,4 | 5614,8 | 141,4 |
| 6 | გადასახ. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისათვის | 614,0 | 63,6 | 942,3 | 40,7 | 153,4 |
| 7 | საწვავ-საცხები მასალების რეალიზაციის გადასახადი | 286,0 | - | 286,3 | - | 100,1 |
| 8 | რიკოთის გვირაბით სარგებლობის საფასური | 900,0 | 81,0 | 1018,7 | 34,5 | 113,1 |
| 9 | გარდამავალი ნაშთი | 1500,0 | - | 1677,5 | _ | |
| | სულ საგზაო ფონდის შემოსავალი | 66650,0 | 2406,6 | 76560,0 | 8913,5 | 114,8 |

### ინფორმაცია

საქართველოს ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2004 წლის ხარჯების შესახებ

/ოპერატ. მონაცემები/ ათასი ლარი

ცხრილი №2

| № | ხარჯების დასახელება | 2004წ. ბიუჯეტით გათვალისწინებული | საკასო ხარჯი |
|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 |
| 1 | გზების მოვლა-შენახვის ხარჯები (მიმდინარე და პერიოდული შეკეთება და ზამთრის პერიოდში შენახვა) | 35091.3 | 34962.5 |
| | მათ შორის: | | |
| ა | გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია | 15622.3 | 15591.2 |
| ბ | გზების მიმდინარე შეკეთება | 12067.0 | 12026.9 |
| გ | გზების შენახვა ზამთრის პერიოდში | 2996.0 | 2986.9 |
| დ | სხვა ხარჯები: | 4406.0 | 4357.5 |
| | აქედან: | | |
| | საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო და ექსპერტიზის სამუშაოები | 3015.0 | 2975.3 |
| | საზედამხედველო დირექციების ხარჯები | 649.0 | 648.1 |
| | კომპიუტერიზაციისა და ინფორმაციის ხარჯები | 180.0 | 180.0 |
| | სტრატეგიული მნიშვნელობის ხიდებისა და გვირაბების დაცვის ხარჯები | 280.0 | 272.1 |
| | დანარჩენი ხარჯები (რიკოთის საუღელტეხილო საავტომობილო გვირაბის ელექტროენერგიით მომარაგებისა და სხვა ხარჯები) | 282.0 | 282.0 |
| 2 | მსოფლიო ბანკისა და კუვეიტის ფონდის კრედიტებით შესასრულებელ სამუშაოებში თანამონაწილეობის ხარჯები | 3552.7 | 3551.7 |
| | მათ შორის: | | |
| ა | მსოფლიო ბანკის კრედიტი (3357 GE) | 2976.7 | 2976.6 |
| ბ | კუვეიტის ფონდის კრედიტი (589 kf) | 576.0 | 575.1 |
| 3 | უცხოური კრედიტების ძირითადი თანხებისა და მომსახურების პროცენტების გადახდა ცენტრალურ ბიუჯეტში | 8465.3 | 8337.8 |
| | მათ შორის: | | |
| ა | მსოფლიო ბანკის კრედიტის (2809 GE) ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების გადახდა | 4452.5 | 4325.0 |
| ბ | მსოფლიო ბანკის კრედიტის (3357 GE) ათვისებულ ნაწილზე მომსახურების პროცენტების გადახდა | 585.5 | 585.5 |
| გ | კუვეიტის ფონდის კრედიტის ძირითადი თანხისა და მომსახურების პროცენტების გადახდა | 3427.3 | 3427.3 |
| 4 | წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადახდა | 5561.0 | 5560.9 |
| 5 | საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საქვეუწყებო დაწესებულებების აპარატების შენახვის ხარჯები | 1752.9 | 1518.6 |
| 6 | სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები | 409.4 | 409.4 |
| 7 | მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები | 12862.0 | 12849.9 |
| 8 | კრედიტებისა და გრანტების მომსახურების ხარჯები | 150.0 | 146.6 |
| | ს უ ლ : | 67844.6 | 66928.6 |

ცხრილი №3

### 2004 წელს ჩატარებული რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოები

| გზის სახეობა | სამუშაოს სახეობა | სიმძლავრე | მოცულობა |
|---|---|---|---|
| რეაბილიტაცია | | | |
| საერთაშორისო | გზის სავალი ნაწილის აღდგენა | 21 კმ | 7108 |
| საერთაშორისო | ხიდების რეაბილიტაცია | 6 ცალი | 224.6 |
| შიდასახელმწიფოებრივი | გზის სავალი ნაწილის აღდგენა | 5 კმ | 1481.1 |
| შიდასახელმწიფოებრივი | ხიდების რეაბილიტაცია | 8 ცალი | 452.2 |
| შიდასახელმწიფოებრივი | ნაპირსამაგრი სამუშაოები | 26 კმ | 698.9 |
| შიდასახელმწიფოებრივი | სხვადასხვა სამუშაოები | | 134.8 |
| ადგილობრივი | გზის სავალი ნაწილის აღდგენა | 5 კმ | 287.9 |
| ადგილობრივი | ხიდების რეაბილიტაცია | 1 ცალი | 11.5 |
| ადგილობრივი | სხვადასხვა სამუშაოები | | 51.1 |
| | ჯამი | | 10450.6 |
| პერიოდული შეკეთება | | | |
| საერთაშორისო | გზის სავალი ნაწილის აღდგენა | 13 კმ | 2007.5 |
| საერთაშორისო | გზების მონიშვნა | 108 კმ | 286.9 |
| საერთაშორისო | ხიდების შეკეთება | 2 ცალი | 60.4 |
| საერთაშორისო | ხურათობრივი შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები | | 296.9 |
| შიდასახელმწიფოებრივი | გზის სავალი ნაწილის აღდგენა | 5 კმ | 258 |
| შიდასახელმწიფოებრივი | ხურათობრივი შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები | | 886.5 |
| ადგილობრივი | ხიდების შეკეთება | 1 ცალი | 17 |
| ადგილობრივი | ხურათობრივი შეკეთება და სხვადასხვა სამუშაოები | | 1611.9 |
| | ჯამი | | 5739.9 |
| | საერთო ჯამი | | 16190.50 |

ცხრილი №4

| № | საავტომობილო გზის დასახელება | 2004 წელში შესრულებული მოცულობა ოპერატიული მონაცემით, ათ. ლარებში | 2004 წელში დასრულებული საავტომობილო გზის სიმძლავრე | 2005 წელში შესასრულებელი სამუშაოები | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | სიმძლავრე | მოცულობა ათ. ლარებში |
| | I. მსოფლიო ბანკის კრედიტით გათვალისწინებული სამუშაოები | | | | |
| 1. | თბილისი-სენაკი-ლესელიძე | 1,510.7 | 81 კმ | | |
| 1.1. | ხიდი მდ. ცივზე | 180.0 | 86 გრძ.მ. | | |
| 2. | სენაკი-ფოთი-სარფი | 1,481.2 | 5 კმ | | |
| 3. | სამხედრო გზა | 5,757.2 | 15.3 კმ | 82-ე კმ-ზე ხიდის მისასვლელის მოწყობა | 18.5 |
| 3.1. | ხიდი სონდის ხევზე | 1,928.6 | - | 60 გრძ.მ. | 972.3 |
| 4. | თბილისი-წითელი ხიდი | 2,080.1 | 16 კმ | | |
| 5. | თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი | 2,017.1 | 24 კმ | 5 კმ | 979.6 |
| 6. | თბილისი-მარნეული | 1,073.8 | 6 კმ | | |
| 7. | მარნეული-სადახლო | 9,409.8 | 20.5 კმ | | |
| 8. | ხაშური-ახალციხე-ვალე | 1,544.9 | 16 კმ | [illegible] | 597.2 |
| 9. | ზესტაფონი-ბაღდათი | 679.1 | - | 10 კმ | 1342.0 |
| | ჯ ა მ ი : | 27,662.5 | 183,8 კმ | 15 კმ | 3909.6 |
| | II. კუვეიტის ფონდის კრედიტით გათვალისწინებული სამუშაოები | | | | |
| 1 | ფოთის შემოსავლელი გზა | 829.9 | 4,8 კმ | | |
| 2 | სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთი | 3,249.4 | 39 კმ | 3 კმ | 1296.0 |
| 3 | სენაკი-ფოთი-სარფი | 447.0 | - | 7 კმ | 2646.0 |
| | ჯ ა მ ი : | 4,526.3 | 43.8 კმ | 10 კმ | 3942.0 |

შენიშვნა: - 2005 წელში მსოფლიო ბანკის და კუვეიტის ფონდის კრედიტით გათვალისწინებული საგზაო სამუშაოები სრულად მთავრდება.

# რა სარგებლობა მოაქვს შენობის მორყეულ საძირკველს?

ნანა ქადაგიშვილი

*რამდენიმე თვეში თბილისის მერიის თანამშრომლებს ბულდოზერების მუშაობის პარალელურად მოუწევთ საქმიანობა. შენობის საძირკველში - ბულდოზერები და მუშები, ზევით კი ქალაქის ხელმძღვანელობა, თავისი აპარატით, შეხმატკბილებულად იმუშავებენ. მერიის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის წლევანდელ ბიუჯეტში 228 ათასი ლარია გამოყოფილი. თუმცა, ეს მხოლოდ საწყისი თანხაა. შენობის საფუძვლიანად გამაგრებას ბევრად მეტი დასჭირდება.*



თბილისის საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრისთვის 2005 წლის ბიუჯეტში 10 მილიონი ლარია გამოყოფილი. როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა აცხადებდა, ეს თანხა ავარიული მრავალსართულიანი სახლების აღდგენას უნდა მოხმარდეს. თუმცა, ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ აღმოჩნდა, რომ ამ 10 მილიონიდან გარკვეული წილი პრეზიდენტის რეზიდენციის მიდამოებში მცხოვრებთა კომპენსაციებსა (2 200 ათასი ლარი) და მერიის შენობის რეკონსტრუქციაზეც წავა. მერიის შენობის აღსადგენად ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში 28 ათასი ლარი იჯდა, ბიუჯეტის დამტკიცების წინა დღეს კი ეს თანხა 200 ათასი ლარით გაიზარდა. როგორც საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ცენტრის ხელმძღვანელი ზურაბ ახმეტელი აცხადებს, 228 ათასი ლარიც ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მუნიციპალიტეტის შენობის გამაგრებას სჭირდება.

მერიის შენობა მეცხრამეტე საუკუნის დროინდელი ინსტორიული ძეგლია. როგორც მერიაში აცხადებენ, აშენებიდან დღემდე, ამ შენობისთვის თითიც არავის დაუკარებია, 60-იანი წლების შემდეგ კი არც მიწისქვეშ ჩასულა ვინმე, წყალგაყვანილობის მილები, შეკეთებას ვინ ჩივის, არც კი შემოწმებულა. **"ეს შენობა გამაგრებასაც კი არ ექვემდებარება, დასანგრევი და თავიდან ასაშენებელია,"** – აცხადებს მერიის აპარატის უფროსი გივი ორდენიძე.

შენობის მდგომარეობა გასულ წელს საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშემწყობი ფონდის ავარიულობის დამდგენმა კომისიამ შეამოწმა. კომისიის დასკვნით, მერიის შენობა მართლაც მწვავე ავარიულია. **"აღდგენას კი ექვემდებარება, მაგრამ მის საფუძვლიანად გამაგრებას დიდი თანხა სჭირდება. 228 ათასი ლარით მხოლოდ აღდგენით სამუშაოებს დავიწყებთ. მერიის ფოიე კია მობრჭყვიალებული, მაგრამ ერთი ვიცე-პრემიერების კაბინეტებში შეიხედეთ, იატაკები გადახრილია, დადიანის ქუჩის მხრიდან მდებარე ოთახები ხომ სულ ავარიულია,"** – აცხადებს ახმეტელი.

შენობის საძირკვლის გასამაგრებლად საბინაო მეურნეობის ფონდს საინტერესო იდეა აქვს – შენობის ქვეშ ავტოსადგომის გაკეთებას აპირებს. ამით მუნიციპალიტეტი ორ კურდღელს დაიჭერს – საძირკველიც გაუმაგრდება და თანამშრომელთა ავტოსადგომისთვის განკუთვნილი მიწისზედა ფართიც გამოუთავისუფლდება. სხვათა შორის, როგორც ქალაქის მერი აცხადებს, ევროპაში ავტოსადგომები, ძირითადად, მიწისქვეშ არის განთავსებული. ასე რომ, მერიის თანამშრომელთა განახლებულ ავტოპარკს (მერიის ხელმძღვანელობა კოლეგებისთვის "ფოლკსვაგენების" შეძენას აპირებს, რადგან მოძველებული ავტომანქანების შენახვა უფრო ძვირი უჯდება) ცივილური ავტოსადგომები დაამშვენებს.

მერიის შენობის რეკონსტრუქციის სამუშაობის განხორციელებაზე ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება, გამაგრებითი სამუშაოები კი, დაახლოებით, ოთხ-ხუთ თვეში დაიწყება. საბინაო მეურნეობის რეაბილიატციისა და განვითრების ხელმშემწყობი ცენტრის ხელმძღვანელობა გვპირდება, რომ მშენებლობის პროცესი მუნიციპალიტეტის საქმიანობას არ შეაფერხებს.

# "საპენსიო ფონდის" ანგარიში

ნონა მაისურაძე

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში 27 იანვარს 2005 წლის პირველი სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა გაიმართა. სხდომა გახსნა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის 2004 წლის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შესრულების, მათი შედეგების შესახებ ისაუბრა გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ.

2004 წელს ფონდის მუშაობა წარმატებულად შეფასდა, რამდენადაც ფონდმა დაკისრებული ვალდებულებების 100 პროცენტით შესრულების გარდა, სახელმწიფოს მიერ არსებული ძველი დავალიანებების დიდი ნაწილის დაფარვაც შეძლო. 2004 წლის სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სახაზინო სამსახურში გახსნილ ანგარიშზე სულ მობილიზებულ იქნა 456900.6 ათასი ლარი, ანუ 2004 წლის გეგმაზე 8773.6 ათასი ლარით მეტი. აღინიშნა, რომ 2004 წლის განმავლობაში ფონდის ხარჯვითი პოლიტიკის ძირითადი პრინციპები იყო მიღებული შემოსავლების სამართლიანი და პროპორციული განაწილება.

საპენსიო ხარჯისთვის 2004 წელს გადარიცხულია 303748.3 ათასი ლარი ანუ, 2003 წელთან შედარებით, 67,5 პროცენტით მეტი თანხა. დაიფარა წინა პერიოდის საპენსიო დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი. 2004 წლის მონაცემებით, გასტუმრებულია 87989.3 ათასი ლარი - ანუ დავალიანებების 69.0 პროცენტი.

სხდომაზე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია პენსიონერთა საკონტროლო რეგისტრაციის შესახებ. 2005 წლის 20 იანვრის მდგომარეობით, რეგისტრაციაზე გამოცხადდა 823 875 პენსიონერი, მათგან რეგისტრაციაში გატარებულად ჩაითვალა 805 796, რაც საერთო რაოდენობის 95,7 პროცენტს შეადგენს.

დაიგეგმა მომდევნო სხდომების რეგიონებში ჩატარება.

# ნახვამდის, საქართველო...

*"საქართველოს რესპუბლიკის იმიგრაციის კანონის დანიშნულებაა საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა ინტერესების შეულახავად განსაზღვროს უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირთა ("უცხოელების") საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივად საცხოვრებლად ჩამოსვლის, ანუ იმიგრაციის წესი და პირობები, აგრეთვე მოაწესრიგოს ამ საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი სხვა ურთიერთობანი. იმიგრანტის უფლებები, თავისუფლებები და მოვალეობები საქართველოს რესპუბლიკაში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონით უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით," – ვკითხულობთ კანონში იმიგრაციის შესახებ.*

თამარ მაისურაძე

იმავე კანონით საქართველოდან დეპორტირებული პირისთვის "განაჩენი" იუსტიციის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო სამინისტროებს გამოაქვთ, თუმცა რამდენიმე ცვლილების შესვლის მიუხედავად არაფერი წერია იმაზე, თუ რომელმა სახელმწიფო უწყებამ უნდა უზრუნველყოს საქართველოში არალეგალურად მყოფი პიროვნების სამშობლოში დაბრუნება.

იუსტიციის სამინისტროში საქართველოდან უცხოელი მოქალაქეების დეპორტირების 57 ფაქტია დაფიქსირებული. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებით - მხოლოდ 22. მართალია, საქართველოდან დეპორტირებულების რიცხვი, სამშობლოში გამოგზავნილ ქართველების რაოდენობასთან შედარებით, ზღვაში წვეთია, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნები კანონდამრღვევი მოქალაქეების სამშობლოში უსაფრთხოდ დაბრუნებას ყველანაირად უზრუნველყოფენ. საქართველოში მხოლოდ დეპორტირებულის სტატუსს გაძლევენ, თუ ფული გაქვს სამშობლოში წახვალ, თუ არადა...

მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა ეთიოპიელი ქალბატონიც, რომელიც, ალბათ, გამონაკლისი არ არის. ოჯახური კონფლიქტის "მსხვერპლი", საქართველოში ლეგალურად ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ, მეორე, უფრო დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. დედამთილმა გადაწყვიტა, ეთიოპიელი რძალი სამშობლოში გაემგზავრებინა, შვილი და შვილიშვილები კი საქართველოში, თავისთან დაეტოვებინა. გაწევ-გამოწევაში, ორი შვილის დედამ პასპორტიც დაკარგა და საქართველოში ლეგალურად ყოფნის ვადაც გუვიდა. დეპორტირებულის სტატუსი უპრობლემოდ "მიიღო", რის შემდეგაც მისი თვითმფრინავში ჩასმით და სამშობლოში დაბრუნებით არც ერთი სახელმწიფო უწყება არ შეწუხებულა.

რა ბედი ეწეოდა უცხოეთის მოქალაქეს შემთხვევით "ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" თავშესაფარში რომ არ აღმოჩენილიყო, ადვილი მისახვედრია. ეთიოპიელის მდგომარეობას ის გარემოებაც ართულებდა, რომ იგი მხოლოდ მშობლიურ ენას ფლობდა. **"ჩვენი ორგანიზაციის ხარჯებით ავუღეთ ბილეთი და სამშობლოში გავამგზავრეთ,"** – გვითხრა "ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის" კოორდინატორმა ელისო ამირეჯიბმა.

ორგანიზაციის წევრები ყველა იმ სახელმწიფო უწყებას დაუკავშირდნენ, ვინც კანონით ვალდებულია, დეპორტირებული პიროვნება სამგზავრო ბილეთით უზრუნველყოს. **"საბუთები ჩვენ მოვიპოვეთ, სახელმწიფომ მხოლოდ ბეჭედი დასვა,"** – ამბობს ელისო ამირეჯიბი, რომელიც იმ სირთულეებს იხსენებს, რაც საქართველოდან დეპორტირებულ ადამიანს შეიძლება, შეხვდეს და რომელიც ერთმანეთზე ჯაჭვივითაა გადაბმული.

**"უცხოელი მოქალაქეების დეპორტირება ჩვენი საქმე არ არის, უბრალოდ, ეთიოპიის მოქალაქე ვერ გავწირეთ. ჩვენი ხელისუფლების მიერ დეპორტირებული პიროვნება არ არსებობს. ვინც მიდის თავისი სახსრებით ახერხებს სამშობლოში დაბრუნებას,"** – ამბობს ელისო ამირეჯიბი და ამ გაუგებრობის მიზეზად წინა ხელისუფლების დროს მიღებულ კანონს ასახელებს, რომელიც, როგორც თავში მოგახსენეთ, მრავალ სახელმწიფო უწყებას ავალდებულებს დეპორტირებულთა გამგზავრების უზრუნველყოფას.


სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა ____________ თარიღი ________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?
გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?
არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?
დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონდომებულ კონკურსანტებს.
გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

# შინაგან საქმეთა სამინისტროში დამნაშავე პოლიციელების გამოვლენა გრძელდება

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს კვირაში ერთხელ დამრღვევ და დამნაშავე პოლიციელთა გამოვლენის შესახებ პრესკონფერენციების გამართვა უწევს. ერთი შეხედვით, ხელმძღვანელისთვის არასასიამოვნო ფაქტი, მინისტრს იმედს აძლევს, რომ ძალიან მალე შინაგან საქმეთა სამინისტრო მექრთამეობისგან გათავისუფლდება.

შინაგანი საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა, ქრთამის სახით, 700 აშშ დოლარის აღების ფაქტზე ქუთაისის პოლიციის სამმართველოს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის უფროსი კობა ნიკოლაძე ამხილეს. მისი ოთახის ჩხრეკისას ნაპოვნია 2.700 აშშ დოლარი. არსებობს ეჭვი, რომ ეს თანხა მას ერთ-ერთი მაღალჩინოსნისთვის უნდა გადაეცა. ნიკოლაძე ამჟამად ძებნილად არის გამოცხადებული.

დაკავებულია, აგრეთვე, თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომელი შოთა მინელიძე, რომელმაც აიძულა ეჭვმიტანილი, მისთვის 500-ლარიანი მობილური ტელეფონი შეეძინა.

უშიშროების სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის



ბესო გულაშვილის ფოტო

დეპარტამენტის თანამშრომლებმა კი ქრთამის აღების ფაქტზე ბორჯომში დააკავეს საბაჟო "აღმოსავლეთის" გაფორმების სამსახურის უფროსი დავით ნეფარიშვილი.

ამასთან, როგორც მერაბიშვილმა განაცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელს ოპერაციის დროს გამოჩენილი უხეშობისთვის სასტიკი საყვედური გამოეცხადათ.

მინისტრი აცხადებს, რომ კვლავ ძალაში რჩება ბრძანება, რომლის მიხედვითაც, იმ დეპარტამენტებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებს, სადაც დამნაშავე პირები მუშაობდნენ, საყვედური გამოეცხადებათ. ასეთი ფაქტების გამეორების შემთხვევაში კი სამსახურიდან იქნებიან დათხოვნილი.

შესაბამისად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს საშემსრულებლო დისციპლინის უხეში დარღვევისათვის და ხელქვეითებისადმი კონტროლის შესუსტების გამო დისციპლინალური სასჯელი დაედო პოლიციის რიგ თანამშრომლებს. კერძოდ, სასტიკი საყვედური გამოეცხადა მეორე განყოფილების უფროსს ლაშა არველაძეს, მის მოადგილეს რევაზ მიხანაშვილს. საყვედური გამოეცხადა მეორე განყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომელს თემურ რევაზიშვილს, მესამე განყოფილების უფროს ოპერატიულ თანამშრომელს გიორგი ხუხიას, მეორე განყოფილების ოპერატიულ თანამშრომელს კახაბერ მირუაშვილს. შენიშვნა გამოეცხადა სამმართველოს უფროსს გიორგი მელიქიძეს და მის მოადგილეს ლევან გვენცაძეს. მკაცრად იქნა გაფრთხილებული შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე კახა მისირელი.

**24 საათი**

# ევროსაბჭო პოზიციებს არბილებს

*რა სიტუაციაა საქართველოში ფულის გათეთრების კუთხით და რამდენად ასრულებს ქვეყანა ევროსაბჭოს წინაშე აღებულ ვალდებულებებს? როგორ შეფასებას აძლევდა სტრასბურგი ამ მიმართულებით ჩვენი ქვეყნის მუშაობას და რა დასკვნამდე მივიდა საბოლოოდ? ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის უფროსს ვაჟა ჯანყარაშვილს, რომელიც ცოტა ხნის წინ სტრასბურგიდან დაბრუნდა.*

თამარ კაციტაძე

**- ბატონო ვაჟა, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ცოტა ხნის წინ ევროპის საბჭომ საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით იმსჯელა და შესაბამისი დასკვნაც მოამზადა...**

- საქართველომ ევროსაბჭოში გაწევრიანების შემდეგ აიღო რამდენიმე ვალდებულება, რომლებიც სხვადასხვა ვადაში უნდა შესრულდეს. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება არის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა. ევროპის საბჭოში არსებობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შეფასების რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (შემოკლებით "მანიბალ"), რომელმაც 17-დან 21 იანვრამდე მე-16-ე გენერალური სხდომა ჩაატარა, სადაც მიწვეული იყო საქართველოს რვაკაციანი დელეგაციაც. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომელიც ამ კომიტეტმა განიხილა, იყო "სახელმწიფოს მიერ თავის თავზე ფულის გათეთრების წინააღმდეგ გაწეული ბრძოლის შესახებ აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის საკითხი." აღნიშნულ სხდომამდე ჩვენს ქვეყანას გამოეგზავნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით არცთუ სასიამოვნო დასკვნა, რომელსაც სფუძვლად დაედო 2003 წლის მაისში თბილისში ჩამოსულ ექსპერტთა შეფასებები. დასკვნაში, პირველ რიგში, საუბარი იყო საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც უნდა განახორციელოს საქართველომ, რათა ჩვენს ქვეყანაში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამებოდეს.

ევროსაბჭოს მოთხოვნების თანახმად, სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში მნიშვნელოვანი ცვლილებები უნდა შესულიყო. კომიტეტი ითხოვდა, რომ საქართველოს დაეწესებინა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მონიტორინგის განმხორციელებელი პირების მიერ ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობაზე. რაც შეეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს, ეს, ძირითადად, მოიცავდა ქონებაზე ყადაღის დადების კუთხით კანონში არსებული გარკვეული ნორმების სტანდარტიზაციას და ქონების კონფისკაციასთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფას. აღნიშნულ კოდექსებთან ერთად სავალდებულო იყო ფასიანი ქაღალდების და კომერციული ბანკების კანონმდებლობების დახვეწაც და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნე, ეს დასკვნა დაიწერა 2003 წლის მონაცემების მიხედვით. მას შემდეგ წელიწადნახევარზე მეტი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში საქართველოში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მოგეხსენებათ, საქართველოში უკვე არსებობს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური სამსახური, 2003 წლის 6 ივნისს პარლამენტმა მიიღო კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. შემუშავდა კანონმდებლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ, რომელიც შემდეგში კიდევ უფრო დაიხვეწა. გარკვეული ცვლილებები განიცადა სისხლის სამართლის კოდექსმა, დაიხვეწა ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებული საკითხებიც. სერიოზული მუშაობა ჩატარდა იმ მიმართულებითაც, რომ ძირეული ცვლილებები შესულიყო საკანონმდებლო აქტებში, რომლებიც უკვე მომზადებულია და საქართველოს მთავრობის სხდომაზეც მოიწონეს. აღნიშნული ცვლილებები გადაგზავნილია პარლამენტში განსახილველად. თუმცა, ევროსაბჭოს კომიტეტს პრეტენზიები ჰქონდა იმასთან დაკავშირებით, რომ ცვლილებების მიღება გაჭიანურდა. ჩვენ ავუხსენით, რომ მას პარლამენტი უახლოეს მომავალში დაჩქარებული ტემპით მიიღებს, რითაც საქართველოს ევროსაბჭოს წინაშე აღებული ყველა საკანონმდებლო ვალდებულება შესრულებული ექნება.

**- როგორც ცნობილია, ფულის გათეთრების ფაქტებზე საქართველოში უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები, ჰქონდა თუ არა ამასთან დაკავშირებით კომიტეტს ინფორმაცია?**

- გენპროკურატურის წარმომადგენლის კონფერენციაში მონაწილეობა მნიშვნელოვანი ამიტომაც იყო, რადგან ევროსაბჭოს არ ჰქონდა ინფორმაცია, რომ საქართველოში ფულის გათეთრებასთან დაკავშირებით არსებობდა სისხლის სამართლის საქმეები. მეტიც, პირველ დასკვნაში დაფიქსირებული იყო, რომ საქართველოში საერთოდ არ იციან, როგორ უნდა იბრძოლონ ფულის გათეთრების წინააღმდეგ. როდესაც გაიგეს, რომ ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე ასეული მილიონი დოლარის გათეთრებაზე სისხლის სამართლის ორი საქმის გამოძიება მიმდინარეობს და პასუხისგებაში მიცემულია ათამდე პირი, ამან კონფერენციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საერთოდ, კომიტეტის სხდომაზე ქართული მხრიდან წარმომადგენლობითი დელეგეციის მივლინება საჭირო იყო იმისთვის, რომ ყველა საკითხს, რომელიც კონფერენციაზე დაისმებოდა, ადგილზევე გასცემოდა პასუხი, ანუ ანგარიში მაღალ დონეზე ჩაბარებულიყო. დელეგაციამ, მართლაც, სერიოზულად იმუშავა. სტრასბურგში მუშაობის პერიოდში მომზადდა ახალი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებული იყო ჩვენი შენიშვნებიც და, საბოლოოდ, ევროსაბჭოს დამოკიდებულება საქართველოსადმი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით აშკარად შეიცვალა.

**- საბოლოოდ, ევროსაბჭო როგორ აფასებს საქართველოში ფულის გათათრების წინააღმდეგ ბრძოლას?**

- შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პოზიტიური დასკვნა. თუმცა, გარკვეული რეკომენდაციები კვლავ დარჩა. მაგრამ ეს არ არის ის, რაც საქართველოს პოლიტიკას ამ მიმართულებით შავ ფონზე გამოსახავს.

**- როგორც ცნობილია, საქართველო ფულის გათეთრების კუთხით ნოყიერ ნიადაგად მოიაზრებოდა...**

- ერთი წლის წინ და ცოტა უფრო ადრე, ფულის გათეთრების კუთხით, საქართველოში მართლაც იყო ნოყიერი ნიადაგი. მაგრამ შესაბამისი კანონმდებლობის ამოქმედებამ აღნიშნულ დანაშაულს ძალიან შეუშალა ხელი. ყველა ფინანსური, საკრედიტო თუ სხვა სტრუქტურები ვალდებული არიან, ფინანსურ გარიგებასთან დაკავშირებით, თუ თანხა 30 ათას ლარს აღემატება, ან ადგილი აქვს საეჭვო გარიგებას, ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდონ ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. სხვა საკითხია, რამდენად დროულად და სრულყოფილად დამუშავდება იგი. ამიტომ, დღეისათვის საქართველოში ფულის გათეთრება ძალიან დიდ რისკფაქტორთან არის დაკავშირებული.

**- რა მექანიზმით თეთრდება საქრთველოში ფული და რომელი ქვეყნები იჩენენ ამ მხრივ დაინტერესებას?**

- ფულის გათეთრება ტრანსნაციონალურ-ორგანიზებული დანაშაულია და იგი, ძირითადად, საბანკო ოპერაციებით ხორციელდება. შეიძლება ფული გათეთრდეს კაზინოებშიც, სათამაშო ბიზნესში, მაგრამ როდესაც სერიოზული ფინანსური რგოლები ერთვებიან საქმეში, იგი ობობის ქსელის სახეს იღებს. მაგალითად, "გამა" ბანკის საქმეში ისეთი ქვეყნები და ისეთი ზონებია ჩართული, რომ თავიდან წარმოდგენაც არ შეიძლებოდა გვქონოდა: ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაწყებული, პაკისტანით დამთავრებული, იქვეა ოფშორული ზონები და ევროპული ქვეყნებიც.

ჩვენ, თავისთავად ცხადია, გვაქვს კონტაქტები იმ ქვეყნების სამართალდამცველებთან, რომლებიც დანაშაულში ფიგურირებენ და ისინი დიდ დახმარებას გვიწევენ.

**- თქვენ, როგორც საქართველოში ფულის გათეთრების წინააღმდეგ ერთ-ერთი მთავარი მებრძოლი, როგორ შეაფასებდით, ქვეყანაში აღნიშნულ დანაშაულთან ბრძოლას?**

- თუ სამ კატეგორიას ავიღებთ - მაღალი, დაბალი და საშუალო - ჩვენ, ალბათ, საშუალო პლუსით ვიმსახურებთ.

# კონტრაბანდა - საჩუქრად ჯარისკაცებს

*ფინანსური პოლიცია ქველმოქმედებას იჩენს და კახეთში ამოღებულ კონტრაბანდულ საწვავს რეგიონში განლაგებულ საჯარისო ნაწილებს ჩუქნის. ერთ-ერთი ასეთი აქცია გუშინაც განხორციელდა, თელავში მდგარ კომანდოს ბატალიონში კონტრაბანდული სამი ტონა საწვავის გადაცემას თავად ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი დაესწრო.*

ზვიად რუაძე
*კახეთი*

კახეთის რეგიონში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კონტრაბანდული ტვირთის გადმოტანის არაერთი ფაქტი გამოვლინდა. შემოტანის ძირითადი ადგილი აზერბაიჯანი-საქართველოს სასაზღვრო ზოლებია. კონტრაბანდის ფაქტებზე რეგიონის ფინანსურ პოლიციას უკვე სისხლის სამართლის 350 საქმე აქვს აღძრული და კონტრაბანდისტთა უმრავლესობა პასუხისგებაშია მიცემული, ხოლო მათ, რომელთა მიმართაც საქმე არ აღძრულა, ადმინისტრაციული სასჯელი შეეფარდათ და ტვირთის კონფისკაცია მოხდა.

კახეთის რეგიონში, ძირითადად, დიზელის საწვავის კონტრაბანდა ხდება, ტვირთი აზერბაიჯანიდან შემოდის. თუმცა, როგორც კახეთის გუბერნატორი პეტრე ცისკარიშვილი აცხადებს, განუბაჟებელი და უაქციზო ტვირთის შემოტანა კახეთში სხვადასხვა რეგიონებიდანაც ხდება. ფინანსური პოლიციის უფროსი დავით კეზერაშვილი მისი უწყების რეგიონული სამსახურების მუშაობით კმაყოფილია. **"ფაქტია, წინა წლებთან შედარებით კახეთის რეგიონში აღნიშნული პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა, თუმცა მე ჩემი თანამშრომლებისგან იმაზე მეტს მოვითხოვ, ვიდრე აკეთებენ,"** - აცხადებს კეზერაშვილი.

**"როცა მიწის დამუშავების დრო მოდის, სახელმწიფო საწვავს გვიძვირებს, ჩვენ კი იძულებული ვართ, კარგია თუ ცუდია, მთელი რიგი კანონდარღვევებით ვიმოქმედოთ და აზერბაიჯანიდან ასე გადმოვიტანოთ საწვავი. განბაჟება კი იმდენი ჯდება, რომ იმ თანხაში ადგილზე ვიყიდით საწვავს. გარდა ამისა, ამ დროს შუამავალიც არის საჭირო და ჩვენ რაღა გვრჩება?"** - აცხადებენ ლაგოდეხელი გლეხები.

მოკლედ

## ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კვლავ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს

უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გახმაურებული ფინანსური ამნისტიის შესახებ კანონის განხილვის პროცედურა 2004 წლის 24 დეკემბერს "ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით დასრულდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია თვლის, რომ აღნიშნული კანონი უსამართლოა და არღვევს საქართველოს კონსტიტუციას.

როგორც ცნობილია, ზემოთ აღნიშნული კანონი პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს იმ გადამხდელებს, რომელთაც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებში კანონმდებლობით დადგენილი წესით დეკლარირებული, დარიცხული და აღრიცხული, მაგრამ გადაუხდელი საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები აქვთ. ფინანსური ამნისტია ამოქმედდა მხოლოდ იმ გადამხდელების მიმართ, რომელთაც 2004 წლის 1 იანვრამდე "გაურკვეველი გზებით მოახერხეს" სახელმწიფოს წინაშე საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებისგან თავის არიდება. შესაბამისად, აღნიშნული კანონი გადამხდელებს უთანასწორო პირობებში აქცევს და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 21-ე, 30-ე და 38-ე მუხლებს.

შექმნილ ვითარებაში, კანონით დადგენილი უთანასწორობის აღმოფხვრის ერთადერთი, ჩვენს ხელთ არსებული მექანიზმი საკონსტიტუციო სასამართლოა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, უახლოეს მომავალში საკონსტიტუციო სარჩელით მიმართავს მას და შესაბამისი ნორმების გაუქმებას მოითხოვს.

**24 საათი**

## აფხაზებმა სამი ქართველი მძევალი გაათავისუფლეს

გუშინ ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე დადასტურდა ინფორმაცია, რომ 24-26 იანვარს აფხაზმა კრიმინალებმა 2004 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გალის რაიონის სოფლებიდან - წარჩედან, მზიურიდან და პირველი გალიდან გატაცებული სამი ქართველი - ზაურ გორდიაშვილი, ნოდარ არონია და მიხეილ თამაზ-ოღლი გაათავისუფლეს.

ქართული მხარის ინფორმაციით, გატაცებულები ოჩამჩირის რაიონში ჰყავდათ დატყვევებული. ამასთან, მხარეები მათი გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდის გადახდის შესახებ ინფორმაციას არც უარყოფენ და არც ადასტურებენ.

გარდა ამისა, გუშინდელ შეხვედრაზე აფხაზურმა მხარემ ქართულს პრეტენზიები წაუყენა ენგურის პირობით საზღვართან ქართველი შეიარაღებული პირების განლაგებასთან დაკავშირებით. ქართული მხარის განმარტებით კი, აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგებულია შინაგანი ჯარისა და პოლიციის ნაწილები, რომელსაც უფლება აქვს, იქ იდგეს და დაიცვას ქართველი მოსახლეობის უსაფრთხოება.

ჭუბურხინჯის შეხვედრაზე საუბარი არ ყოფილა 25 იანვარს გალის რაიონის სოფლებში სამგზავრო ავტობუსების დაყაჩაღების ფაქტზე. როგორც ქართული მხარე აცხადებს, ასეთი ფაქტები გალის რაიონში თითქმის ყოველდღიური მოვლენაა და, ამ მხრივ, ვითარება სრულიად უკონტროლოა.

როგორც ცნობილია, გუშინწინ ნიღბიანი, შეიარაღებული ბოროტმოქმედები გალის რაიონში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებში 11 სამგზავრო ავტობუსს დაესხნენ თავს. იარაღის მუქარით ყაჩაღებმა მგზავრებს ფული, ძვირფასი ნივთები, თბილი ტანსაცმელი წაართვეს, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის პროდუქტი - გოჭები და ქათმებიც, რომლებიც გლეხებს ზუგდიდის ბაზარში მიჰქონდათ გასაყიდად. ასევე ბოროტმოქმედებმა სასტიკად სცემეს რამდენიმე ავტობუსის მძღოლი, რომლებმაც წინააღმდეგობის გაწევა სცადეს.

**24 საათი**


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ანკეტა

სახელი, გვარი.......................................................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი.......................................................

საკონტაქტო ტელეფონი.......................................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ავტორიტარული მოდერნიზაცია თუ ლაით დემოკრატიული ინსტიტუტები?

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება საერთაშორისო აღიარებას, 1992 წლის 6 იანვრამდე (სანამ გამსახურდია პრეზიდენტი იყო), ფორმალური აღიარების მიღწევა შეუძლებელი იყო, მაგრამ გამსახურდიამ იმას კი მიაღწია, რომ საქართველოსთვის უკიდურესად ნეგატიური საერთაშორისო იმიჯი დაემკვიდრებინა. პირველი პრეზიდენტი შეეწირა უპირველეს ყოვლისა იმას, რომ სახელმწიფოს მართვის უნარი არ გააჩნდა, და, ამასთანავე, საქართველოს დასავლეთის მხარდაჭერის შანსი დაუკარგა. თუმცა ძირითადი (და არსებითად სამართლიანი) ბრალდება, რითაც იგი გადააყენეს, დიქტატურის დამყარება იყო.

საზოგადოების დაკვეთა ედუარდ შევარდნაძის მიმართ იყო ერთი მხრივ "სტაბილიზაცია", ანუ შეიარაღებული პოლიტიკური ბანდების თარეშის აღკვეთა და ქვეყანაში ელემენტარული წესრიგის დამყარება, მეორე მხრივ კი - საერთაშორისო აღიარების მოპოვება. შევარდნაძემ, პირველ ეტაპზე, საკმაოდ წარმატებით გაართვა თავი ამ ამოცანებს: საქართველო სუსტ, მაგრამ მაინც სახელმწიფოდ აქცია (თუმცა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის "ფრჩხილებს გარეთ გატანის" ხარჯზე), და მას არა მხოლოდ ფორმალური აღიარება, არამედ დასავლეთის გვარიანი მხარდაჭერაც მოუპოვა. გამსახურდიას პოპულისტური ავტორიტარიზმის ნაცვლად შევარდნაძემ უფრო რბილი, ნახევრად-ავტორიტარული სისტემა, ერთგვარი ლიბერალური ოლიგარქია შექმნა (ცნობისათვის, სიტყვა "ოლიგარქია" მცირე ჯგუფის ბატონობას ნიშნავს და არა ბიზნესმენთა ბატონობას, როგორც ჩვენთან ჰგონიათ). მისი რეჟიმის ფარგლებში მეტნაკლებად განვითარდა სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ფორმა - დამოუკიდებელი მედია, ოპოზიციური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები. მაგრამ შევარდნაძისთვის ყოველივე ეს მხოლოდ ერთი პირობით იყო მისაღები: ხელისუფლებაზე მის კონტროლს პრობლემები არ უნდა შექმნოდა. ეს არ იყო ერთპიროვნული დიქტატურა - სახელისუფლებო გადაწყვეტილებებზე სხვადასხვა ასე თუ ისე ავტონომიურ მოთამაშეს შეეძლო გავლენის მოხდენა. ოღონდ ისევ ერთი პირობით: საბოლოო არბიტრი თუ ბროკერი თავად შევარდნაძე უნდა ყოფილიყო.

მალე აღმოჩნდა, რომ მინიმალური წესრიგის ("სტაბილურობის") დამყარებით შევარდნაძემ თავისი შესაძლებლობები ამოწურა, ამის შემდეგ ის ქვეყანას ვეღარაფერს სთავაზობდა, სტატუს კვოს შენარჩუნების გარდა. საქართველო რაღაც გაურკვეველ მდგომარეობაში გაეჭედა - სრულ ქაოსსა და ნორმალურ სახელმწიფოებრივ წესრიგს, ავტოკრატიასა და დემოკრატიას შორის. სტაბილიზაცია სტაგნაციად იქცა. სახელმწიფო ინსტიტუტების განმტკიცების ტენდენცია 1998-99 წლებიდან მათი დასუსტებით შეიცვალა (ამას "კორუფცია" დაერქვა). დაცემა იწყო შევარდნაძის და საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟმაც. საქართველოს სულ უფრო ხშირად ახსენებდნენ "არშემდგარ" სახელმწიფოთა რიგში. არამდგრადი აღმოჩნდა ლიბერალური ოლიგარქიის შევარდნაძისეული მოდელიც: სამოქალაქო საზოგადოების მომძლავრებულმა ინსტიტუტებმა აღარ მოინდომეს შემოთავაზებული წესებით თამაში და ხელისუფლების ციტადელზეც მიიტანეს იერიში. შევარდნაძემ ერთ დროს მისი თანამებრძოლის, მიხეილ გორბაჩოვის შეცდომა გაიმეორა - ზედმეტი დემოკრატია "დაუშვა" და მერე ვეღარ გააკონტროლა. როცა ჯინის ბოთლში ჩაბრუნება მოინდომა (ვთქვათ, 2001 წელს "რუსთავი-2-ის" წინააღმდეგ აქციით), გვიანი აღმოჩნდა. შევარდნაძის ხელისუფლების აშკარა უუნარობამ მას ხალხის მხარდაჭერა სრულიად გამოაცალა, ხოლო წინააღმდეგობა ლიბერალურ ოლიგარქიასა და საზოგადოების დემოკრატიულ იმპულსს შორის 2003 წლის ნოემბერში ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა.

## ახალი მთავრობის პრიორიტეტები, მიღწევები და წარუმატებლობები

რა საზოგადოებრივი დაკვეთა აქვს ახალ ხელისუფლებას?

პირველ რიგში, მან უნდა შექმნას არა უბრალოდ "სტაბილური", არამედ ძლიერი, ანუ ფუნქციური სახელმწიფო. ასეთმა სახელმწიფომ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თავისი კონტროლის ტერიტორიული საზღვრები, შეინახოს და გააკონტროლოს საკუთარი აპარატი და, რაც მთავარია, სამსახური გაუწიოს საზოგადოებას: დაიცვას მოქალაქეები კრიმინალებისაგან და გარე საფრთხისაგან, დააგოს გზები, უზრუნველყოს ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ფუნქციონირება და განათლების თანამედროვე დონე, შექმნას პირობები ეკონომიკური განვითარებისთვის და ა. შ. საქართველოს უნდა მოსცილდეს "არშემდგარი", ქრონიკულად დისფუნქციური სახელმწიფოს იარლიყი.

მეორე მხრივ, ეს სახელმწიფო დემოკრატიული უნდა ყოფილიყო, თუმცა საქართველოს ნაკლებად აქვს დემოკრატიის გამოცდილება და შესაბამისი პოლიტიკური კულტურა. სამი მეტად განსხვავებული ჯანყის (კომუნისტების, გამსახურდიას და შევარდნაძის წინააღმდეგ), განსაკუთრებით კი "ვარდების რევოლუციის" გამოცდილება მიგვანიშნებს, რომ დემოკრატიული იმპულსი საქართველოში საკმარისად ძლიერია საიმისოდ, რომ ხელისუფლების ავტორიტარულ მისწრაფებებს გარკვეული საზღვარი დაუდოს. ამავე დროს, საქართველოს, როგორც სტრატეგიულად სუსტ ქვეყანას, სჭირდება მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობისგან ანუ დასავლეთისგან. ხოლო ეს – საქართველოს შემთხვევაში – შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს დემოკრატიისკენ რეალურად მიმავალ ქვეყნად ჩათვლიან.

> რა თქმა უნდა, ხალხი ხელისუფლებას ეკონომიკურ კეთილდღეობასაც უკვეთავს. ზოგიერთის აზრით, პირველ ყოვლისა მას სწორედ ეს აინტერესებს. მაგრამ ობიექტურად, ხელისუფლების საქმეა არა უშუალოდ ეკონომიკის განვითარება, არამედ მისთვის პირობების შექმნა.

რა თქმა უნდა, ხალხი ხელისუფლებას ეკონომიკურ კეთილდღეობასაც უკვეთავს. ზოგიერთის აზრით, პირველ ყოვლისა მას სწორედ ეს აინტერესებს. მაგრამ ობიექტურად, ხელისუფლების საქმეა არა უშუალოდ ეკონომიკის განვითარება, არამედ მისთვის პირობების შექმნა. თუ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები შესრულდა, დიდი ალბათობაა, რომ ეკონომიკაც განვითარდება. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ხელისუფლებას თავისი ამოცანა, როგორც ჩანს, ასე ესმის, და თუ ეს ასეა, მე მას ამაში ვეთანხმები.

ერთი წლის შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელისუფლებამ უპირატესობა მიანიჭა პირველ ამოცანას - საქართველოს "არშემდგარი სახელმწიფოდან" ქმედითუნარიან სახელმწიფოდ ქცევას. ყველაზე მეტი წარმატებაც მას სწორედ ამ სფეროში აქვს. ყველაზე სტრატეგიული – შეიძლება ითქვას, ისტორიული – გამარჯვება იყო აჭარის საქართველოს იურისდიქციაში რეალური შემოყვანა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მასშტაბის წარმატებისთვის ალბათ არ მიგვიღწევია. შთამბეჭდავი წარმატებების რიცხვს განეკუთვნება გადასახადების ამოღების მკვეთრი ზრდა და სახელმწიფოს მიერ თავისი ფინანსური ვალდებულებების (მათ შორის ნაწილობრივ ძველის) დროული გასტუმრება, კონტრაბანდის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებები (მათ შორის ერგნეთის ბაზრის დახურვა, თუმცა საზოგადოდ სამხრეთ-ოსურ კამპანიაში ხელისუფლებამ თავისი ყველაზე სერიოზული შეცდომებიც დაუშვა), საპატრულო პოლიციის შემოღება, რის შემდეგაც პოლიცია, პირველად მრავალი წლის შემდეგ, შედარებით პოპულარულ სახელმწიფო ინსტიტუტად იქცა (თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ის თავის პირდაპირ ფუნქციას, ანუ კრიმინალების დაჭერას, უკეთ ასრულებს). ათი ათასზე მეტმა (თუმცა არა ყველა) სახელმწიფო მოხელემ მიიღო ხელფასი, რითაც ოჯახის შენახვა შეიძლება (თუნდაც არცთუ მაღალ დონეზე) – ამაზე ორი წლის წინ ოცნება თუ შეიძლებოდა. შემცირდა გაბერილი შტატები სახელმწიფო დაწესებულებებში (თუმცა შემცირებულთა მიმართ რაიმე კომპენსაციის გარეშე). მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჯარის მშენებლობის გზაზე (თუმცა ბოლო ხანს დანიშნულმა მინისტრმა ოქრუაშვილმა თავის წინამორბედებს და, არაპირდაპირ, პრეზიდენტსაც, ამაგი ლამის წყალში ჩაუყარა). დაიგო გზები (თუმცა ხშირ შემთხვევაში ცუდად), გზაჯვარედინებზე დაიდგა ახალი შუქნიშნები ან ამუშავდა ძველი (თუმცა ხანდახან საკმარისი გააზრების გარეშე) და ასე შემდეგ.

რომ შევაჯამოთ, დღეს საქართველოს ფაქტობრივი იურისდიქცია უფრო დიდ ტერიტორიაზე ვრცელდება, სახელმწიფო უკეთ აკონტროლებს საკუთარ აპარატს და უფრო ეფექტურად ახდენს საზოგადოების მომსახურებას, ვიდრე ეს წელიწადნახევრის წინ იყო. პრობლემები რომ ბევრია, ეს ცხადია: არსებითად არც კორუფციაა დამარცხებული და არც კონტრაბანდა; ხელისუფლებას აშკარად არ ყოფნის კადრები მმართველობის ყველა დონეზე (რაც ნაწილობრივ კვალიფიცირებული კადრების რეალური ნაკლებობით, ნაწილობრივ კი ამ კადრების ძიების სისტემის არქონით აიხსნება); პენსიონერი გაორმაგებული პენსიით მაინც ვერ შეინარჩუნებს არსებობას და ა. შ. უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილების მიღების სისტემაში სშირად ქაოტურობა და იმპულსურობა გამოსჭვივის, რაც არასტაბილურობის განცდას ბადებს.

პრობლემები და ნაკლოვანებები ხელისუფლებას არ აკლია. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს დასუსტების ტენდენცია შეიცვალა სახელმწიფოს გაძლიერების ტენდენციით, ამის არშემჩნევა საკმაოდ ძნელია.

მეორე მხრივ, ხელისუფლებას აკრიტიკებენ, შინაც და გარეთაც, დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისით და ხშირად ეს კრიტიკა სამართლიანია. 6 თებერვლის კონსტიტუციურმა ცვლილებებმა დაარღვია ბალანსი პარლამენტისა და პრეზიდენტის ძალაუფლებას შორის, პირველის შესუსტების ხარჯზე (თუმცა პრეზიდენტის ძალაუფლება მანამდეც საკმაოდ ძლიერი იყო). ამან საქართველოს კონსტიტუციური სისტემა დაუახლოვა არა ევროპულ პარლამენტარიზმს, როგორც მთავრობა აცხადებდა, არამედ პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის (რუსეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის და ა. შ.) დამახასიათებელ სუპერპრეზიდენციალიზმს. შევარდნაძის ეპოქის ჩინოვნიკთა გახმაურებული დაპატიმრებები და შემდეგ მათი "გაშვებები" მეტად საეჭვო სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობოდა. არც ერთი მსხვილი ანტიკორუფციული საქმე სასამართლოში არ დადასტურებულა: იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამა თუ იმ ჩინოვნიკის ბრალეულობის განსაზღვრისას, ხელისუფლება ძირითადად გივი თარგამაძის ჟურნალისტურ გამოკვლევებს ეყრდნობოდა და არა სანდო სამხილებს. რეალური სამხილების ვერმოპოვების პირობებში, სამართალდამცავი ორგანოები აგრძელებდნენ ეჭვმიტანილთათვის ნარკოტიკების და იარაღის "ჩადების" და წამების პრაქტიკას. სასამართლო, რომელიც არც მანამდე გამოირჩეოდა დამოუკიდებლობით, ახლა სულ ვეღარ ბედავდა პროკურატურისათვის არმოსაწონი გადაწყვეტილების მიღებას. ტელევიზიებიდან – რამდენიმე თვით მაინც – გაქრა დისკუსიები და მათთან ერთად აზრის პლურალიზმიც.

> ხელისუფლებას აშკარად არ ყოფნის კადრები მმართველობის ყველა დონეზე (რაც ნაწილობრივ კვალიფიცირებული კადრების რეალური ნაკლებობით, ნაწილობრივ კი ამ კადრების ძიების სისტემის არქონით აიხსნება).

ყველა ამ პრობლემას ცალსახად ხელისუფლებას ვერ დააბრალებ: ბევრ მოსამართლეს ეშინოდა, ხელისუფლებას მათი ძველი ცოდვები არ მოეკითხა და თავად ცდილობდა მისი გულის მოგებას; ტელევიზიების მფლობელებს სხვა ეკონომიკური ინტერესები ჰქონდათ და ხელისუფლების ზედმეტ გაღიზიანებას ერიდებოდნენ. არც ისინი იყვნენ თავისუფალი ძველი ცოდვებისგან და დღესაც არ იკლავენ თავს გადასახადების პირუთვნელი გადახდით. დემოკრატიული დეფიციტის, შესაძლოა, ყველაზე მწვავე გამოხატულება – ოპოზიციის უკიდურესი სისუსტე – ყველაზე ნაკლებადაა ხელისუფლების დანაშაული. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ის ინსტიტუტები, რისი ფუნქციაცაა გააწონასწოროს აღმასრულებელი ხელისუფლება, დასუსტდა, ხოლო ეს გარდუვალად იწვევს დემოკრატიის დასუსტებასაც.

მე სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ დღეს საქართველო ნაკლებ დემოკრატიული ქვეყანაა, ვიდრე შევარდნაძის დროს იყო. აქ კამათის საფუძველი არსებობს. "ფრიდომ ჰაუსის" მიერ საქართველოსთვის "ნიშნის მომატება" ძირითადად 2003 წლის კატასტროფულ არჩევნებთან შედარებით უკეთესი არჩევნების ჩატარებამ გამოიწვია, მაგრამ ზოგიერთ სხვა საერთაშორისო რეიტინგში საქართველოს მაჩვენებლები დაეცა. მასობრივი რელიგიური ძალადობის შეწყვეტა და საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში, აჭარაში, ღია დიქტატურის დამხობა სერიოზული მიღწევებია სწორედ დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ბოლო თვეებში სატელევიზიო დისკუსიებიც აღდგა და, ზოგიერთი ცნობით, პატიმართა წამების ფაქტებიც შემცირდა. მაგრამ უდავოა, რომ დემოკრატიის ანუ პლურალისტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის და ანგარიშვალდებული ხელისუფლების განვითარება სახელმწიფოობის გაძლიერებას ჩამორჩება.

რაც შეეხება მესამე მიმართულებას – დასავლეთთან ურთიერთობას – ამ მხრივ წარმატებები უდავოა, მაგრამ ვითარება მთლად ცალსახა აქაც არაა. პრეზიდენტი სააკაშვილი მართალია, როცა ამბობს, რომ საქართველოს არასოდეს ჰქონია ისეთი საერთაშორისო მხარდაჭერა, როგორც დღეს. ეს, უპირველეს ყოვლისა, თვით "ვარდების რევოლუციის" ფაქტით აიხსნება: ამ დროს ქართველები ისე მოიქცნენ, როგორც ევროპულ ერს შეეფერება. მაგრამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სააკაშვილის ენერგიულმა დიპლომატიამაც. მან შეძლო დაერწმუნებინა დასავლეთის პოლიტიკოსები, რომ მათგან მხოლოდ რუსეთისგან დაცვა, ნავთობსადენი და გრანტ-კრედიტები კი არ უნდა, როგორც შევარდნაძეს, არამედ მართლა აპირებს, საქართველო დასავლური ტიპის დემოკრატიად აქციოს. სამხრეთ კავკასიის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში შეყვანა (ცხადია, საქართველოს ხათრით) და ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის ხელმოწერა ძალიან სერიოზული მიღწევებია. ამავე დროს, დასავლეთი ერთგვარი სიფრთხილითაც უყურებს სააკაშვილს, როგორც იმპულსურ და არაპროგნოზებად ლიდერს. ეს შიშები განსაკუთრებით გააძლიერა სამხრეთ ოსეთის კამპანიამ, რომელიც დასავლეთში სახიფათო ავანტიურად შეფასდა. ცნობები სააკაშვილის ავტორიტარული ტენდენციების შესახებ დასავლეთის პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს შორისაც ტრიალებს.

ევროსაბჭოს ბოლო დასკვნები სერიოზული გამაფრთხილებელი სიგნალია. საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის შრომის განაწილების მიხედვით, სწორედ ევროსაბჭოს აკისრია ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე ზედამხედველობის ფუნქცია. ცალკე აღებულ ევროსაბჭოს შეიძლება ზემოქმედების ძლიერი ბერკეტები არც გააჩნდეს, მაგრამ ის დიდ გავლენას ახდენს ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო მოთამაშეების განწყობებზე. ევროსაბჭოს რეკომენდაციები, რა თქმა უნდა, ბიბლია არაა, მაგრამ ის აზრი, რომ საქართველოს შეუძლია მათი დაუსჯელად იგნორირება, გულუბრყვილოა. თუ საქართველო სერიოზულად ლაპარაკობს ნატოსთან და ევროსაბჭოსთან ახალ პარტნიორობაზე, ევროსაბჭოს ის ვერ უგულვებელყოფს. მას შემდეგ, რაც სააკაშვილმა საქართველოს დროშის გვერდით ევროკავშირის დროშაც აღმართა, საქართველოს უფრო მაღალი სტანდარტებით განსჯიან.

## სახელმწიფოობა და/თუ დემოკრატია

სახელმწიფოობასა და დემოკრატიას შორის მიმართება მწვავე ეგზისტენციალური პრობლემაა საქართველოსთვის. გამსახურდიას იდეოლოგებმა თავის დროზე ჩამოაყალიბეს ლოზუნგი - "ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია", რაც, ფაქტობრივად, ძლიერი სახელმწიფოს დემოკრატიული თავისუფლებების მიმართ პრიმატს ნიშნავდა. შევარდნაძეს არაფერზე არ უყვარდა ნათლად ლაპარაკი, მაგრამ გადადგომის შემდეგ გამოთქვა, რომ მისი იდეალი "მართული დემოკრატიაა", რაც სინამდვილეში ლიბერალურ ავტორიტარიზმს ნიშნავს. სააკაშვილის მმართველობის პირველი წელიც გვაჩვენებს, რომ, როგორიც გინდა იყოს მთავრობის რიტორიკა ან თუნდაც სუბიექტური განწყობა, ფაქტობრივად მან ისევ ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაზე გააკეთა აქცენტი.

> დასავლეთი ერთგვარი სიფრთხილითაც უყურებს სააკაშვილს, როგორც იმპულსურ და არაპროგნოზებად ლიდერს. ეს შიშები განსაკუთრებით გააძლიერა სამხრეთ ოსეთის კამპანიამ, რომელიც დასავლეთში სახიფათო ავანტიურად შეფასდა. ცნობები სააკაშვილის ავტორიტარული ტენდენციების შესახებ დასავლეთის პოლიტიკოსებსა და ბიუროკრატებს შორისაც ტრიალებს.

ძნელია სოციალური გამოცდილებით, პოლიტიკური პრიორიტეტებით და პიროვნული ნიშნებით უფრო განსხვავებული ლიდერების მონახვა, ვიდრე გამსახურდია, შევარდნაძე და სააკაშვილი არიან. მაგრამ სახელმწიფოობისა და დემოკრატიის მიმართ დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად მსგავსი აღმოჩნდა. ყველა შემთხვევაში გვაქვს ერთ უალტერნატივო ლიდერზე აგებული პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფოსთან შეზრდილი მმართველი ერთადერთი პარტია, რომელთაც სუსტი და მკაფიო პრინციპების არმქონე ოპოზიციური პარტიები უპირისპირდება და ა. შ.

რატომ? არსებობს ამის ობიექტური საფუძველიც.

ლოგიკურად, სახელმწიფოობა მართლაც წინ უსწრებს დემოკრატიას იმ აზრით, რომ არადემოკრატიულ სახელმწიფოსაც შეუძლია სასარგებლო საზოგადოებრივი ფუნქციები შეასრულოს (ისევ და ისევ: წესრიგი უზრუნველყოს, ხელფასები და პენსიები დაარიგოს, გზები დააგოს...), მაგრამ შეუძლებელია დემოკრატია, რომელიც მდგრად და ეფექტურ სახელმწიფო ინსტიტუტებს არ დაეყრდნობა. ბევრი დემოკრატიულად განწყობილი ადამიანი ჩვენში სათანადოდ ვერ აფასებს ამ ვითარებას. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ჩვენში ძლიერია პოსტკომუნისტური დისიდენტობის ინტელექტუალური ტრადიცია, რომელიც ნებისმიერ სახელმწიფოს მტრულ, რეპრესიულ ძალად განიხილავს, ნებისმიერ პოლიტიკას კი – "ბინძურ საქმედ". დასავლელი უფლებადაცვითი ორგანიზაციების უკრიტიკო მიმდევრობაც, შეიძლება, არ იყოს პროდუქტიული. ისინი თავისთავად ცხადად მიიჩნევენ ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობას. ამიტომ მათთვის დემოკრატიული აქტივისტი იგივეა, რაც ადამიანის უფლებათა დამცველი და მათთვის გაუგებარია, რატომ უნდა იზრუნოს ასეთმა ადამიანმა სახელმწიფო ინსტიტუტების სიძლიერეზე. საქართველო კი, მიუხედავად ბოლო წლის გარკვეული პროგრესისა, სუსტ, არაკონსოლიდირებულ სახელმწიფოდ რჩება. ამიტომ მდგრად დემოკრატიას საქართველოში შანსი არ ექნება მანამ, სანამ ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების ჩონჩხი არ ჩამოყალიბდება.

მეტიც, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენს პირობებში სახელმწიფოს გაძლიერება გარდუვალად გამოიწვევს სამოქალაქო ინსტიტუტების და მასთან ერთად დემოკრატიის გარკვეული კომპონენტების შესუსტებას. თუ მდგრადი და ფესვგადგმული დემოკრატია გვინდა, მისი მყარი საფუძველი სამოქალაქო საზოგადოებაა – ოღონდ არა ვიწროდ გაგებული, როგორც დასავლეთის მიერ დაფინანსებული "ენჯიოების" კრებული, არამედ - მედიაც, პოლიტიკური პარტიებიც, პროფკავშირებიც (ოღონდ ნამდვილი), რელიგიური ორგანიზაციებიც, ფართო წევრობის მქონე საზოგადოებრივი გაერთიანებებიც. სამოქალაქო საზოგადოების შედარებითი სიძლიერე გვიანშევარდნაძისეულ ეპოქაში ნაწილობრივ მოჩვენებითი იყო, რადგან ის ხელისუფლების სისუსტეს და არაპოპულარულობას ეყრდნობოდა. როგორც კი უფრო ძლიერი და პოპულარული ხელისუფლება მოვიდა, სამოქალაქო საზოგადოების სისუსტეც გამოაშკარავდა: ისევ გაგვახსენდა, რომ პოლიტიკურ პარტიებს საზოგადოებაში მყარი დასაყრდენი არა აქვს, "მესამე სექტორი" პატარა ელიტური ჯგუფების ქსელია, დამოუკიდებელი მედიის ეკონომიკური ბაზა ერთობ არამყარია და ა. შ. თუ მთლიანად საზოგადოება არ არის სამოქალაქო, მაშინ მცირე და ელიტური "სამოქალაქო საზოგადოება" გარე ძალების (ხელისუფლების, უცხოელი დონორების) კეთილ ნებაზე იქნება დამოკიდებული და ფეხზე მყარად ვერ იდგება – ესე იგი, დემოკრატიის ბედიც სათუო დარჩება.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ამის თქმა ხელისუფლების გამართლებას, თუ ის დემოკრატიული სტანდარტების შეუსაბამოდ მოიქცევა? რა თქმა უნდა, არა. მაგრამ მისი მოქმედების შეფასება არსებული ვითარებიდან გამომდინარე უნდა მოვახდინოთ და არა მხოლოდ ზოგადი ნორმატიული სქემებიდან. ეს ხელისუფლება სრულიად სწორი იყო, როცა მან სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას მიანიჭა უპირატესობა, რადგან "არშემგარი სახელმწიფოს" პირობებში დემოკრატიის მხოლოდ ცალკეულ ელემენტებზე შეიძლება საუბარი.

შეიძლება სხვაგვარადაც დავსვათ კითხვა: შესაძლებელია თუ არა თანამედროვე საქართველოში მყარი, კონსოლიდირებული სახელმწიფოებრიობა, რომელიც დემოკრატიული თამაშის წესებს არ დაეფუძნება? დემოკრატიის გულშემატკივარნი ხშირად ამბობენ, რომ საქართველო ან შედგება როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, ან საერთოდ ვერ შედგება, როგორც სახელმწიფო. მეც აქეთკენ ვიხრები, მაგრამ ეს აზრი სულაც არ არის თავისთავად ცხადი. ბევრმა საქართველოს მსგავსმა ქვეყანამ, რომელმაც დააგვიანა მოდერნიზაცია და დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება არ ჰქონია (მათ ხანდახან "დაგვიანებულ ერებსაც" უწოდებენ), თავდაპირველად ავტორიტარული მოდერნიზაციის პერიოდი გამოიარა, რომლის დროსაც შეიქმნა სახელმწიფო სტრუქტურები, ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ცნობიერება, შეიქმნა თანამედროვე ეკონომიკის ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ინტერესთა ჯგუფები, სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ინსტიტუტები, და მხოლოდ შემდეგ მოხდა გადასვლა დემოკრატიაზე. ბევრის აზრით, ასეთი "მომზადების" გარეშე არსებობს საფრთხე, რომ დემოკრატიული არჩევნების შედეგად უპასუხიმგებლო, ულტრამემარჯვენე ან ულტრამემარცხენე პოპულისტები ან ექსტრემისტები ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას. ასეთი გზით მივიდა დემოკრატიამდე სამხრეთ ევროპის, ლათინური ამერიკის, შორეული აღმოსავლეთის ბევრი ქვეყანა, ჩვენი მეზობელი თურქეთიც. 1990-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში პოპულარული იყო ჩილელი დიქტატორი პინოჩეტი, სწორედ იმიტომ, რომ ის ასეთ ავტორიტარულ მოდერნიზაციას განასახიერებდა.

თეორიულად, ასეთი ტრაექტორიის წარმოდგენა საქართველოსთვისაც შეიძლება. არა მგონია, ქართველებს გვქონდეს განსაკუთრებული დემოკრატიული გენი, რომელიც ჩვენთან დიქტატურის შესაძლებლობას პრინციპულად გამორიცხავს. მაგრამ ეს თეორიულად. პრაქტიკულ შესაძლებლობათა სიმრავლეს კონკრეტული კონტექსტი განსაზღვრავს. ის, რაც ლოგიკური იყო 1950-იან წლებში, 21-ე საუკუნის ევროპის სამეზობლოში შეიძლება აღარ გამოვიდეს. დღევანდელ მსოფლიოში დემოკრატიული იდეა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ათათურქის, ჩან-კაი-შის, ფრანკოს ან თუნდაც პინოჩეტის დროს იყო. საერთაშორისო საზოგადოება სულ უფრო შეურიგებელია არადემოკრატიული რეჟიმებისადმი, განსაკუთრებით - თუ ისინი ევროპის სამეზობლოში არიან და ქრისტიანობაზე დებენ თავს. უზბეკეთს აქვს უფლება, დიქტატურა ჰქონდეს და თან ამერიკის მოკავშირე იყოს, მაგრამ ბელორუსს ამის შანსი არა აქვს. საქართველოც უკვე იმ ქვეყნების რიგშია, ვისაც ვერ ექნება დასავლეთის მხარდაჭერა, თუ დემოკრატიისკენ ნაბიჯები არ გადადგა. მაგრამ რუსეთსა და ისლამურ სამყაროს შორის გაჭეჭყილ და "ბუნებრივი" მოკავშირეების არმქონე საქართველოს მცირე შანსი აქვს სრულფასოვანი სახელმწიფოებრიობისა დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე.

ამის შესაფერისია თვით საქართველოს შიგნით განწყობათა განვითარება. პოპულისტური თუ ლიბერალური ავტოკრატიების შექმნის მცდელობათა კრახი მიგვანიშნებს, რომ: თუმცა საქართველოს ჯერ არა აქვს საკმარისი დემოკრატიული რესურსები საიმისოდ, რათა მყარი და კონსოლიდირებული დემოკრატია შექმნას, იმდენად ძლიერი დემოკრატიული იმპულსი კი აქვს, რომ ავტორიტარიზმი ადვილად არ გაახაროს. "ვარდების რევოლუციამ" ეს შეგრძნება კიდევ უფრო გააძლიერა.

დღევანდელ ხელისუფლებას თეორიულად კარგად ესმის, რომ დემოკრატია საქართველოსთვის ერთადერთი გზაა, მაგრამ, რევოლუციური ენთუზიაზმის ტალღაზე, ხშირად დაყვება ხოლმე ავტორიტარულ ინსტინქტს. დემოკრატიული პროცედურები ართულებს და ანელებს ბევრი ამოცანის შესრულებას და ზედმეტ თავის ტკივილებს აჩენს. ამიტომ ავტორიტარული ცდუნება ყოველთვის არსებობს, მითუმეტეს, როცა სერიოზული ოპოზიცია არა გყავს და სუბიექტურად დარწმუნებული ხარ, რომ კარგი გინდა. მაგრამ ხელისუფლება თუ ამ ცდუნებას აჰყვა, ეს ქვეყნისთვისაც ცუდი იქნება და მისთვისაც.

ამ ხელისუფლების სტრატეგიული ამოცანაა, და მისი წარმატების ისტორიულად მთავარი მაჩვენებელი იქნება, ისე არ დაამთავროს, როგორც წინა ორმა. ვარდების რევოლუციის განსხვავება 1991-92 წლის სისხლიანი აჯანყება-გადატრიალებისგან საუკეთესო ინდიკატორი იყო იმისა, თუ რამდენად ბევრს მიაღწია შევარდნაძის ხელისუფლებამ გამსახურდიასთან შედარებით. ახალი ხელისუფლება უკეთ დაამთავრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მყარ დემოკრატიულ ინსტიტუტებს დატოვებს.

როგორ ვისარგებლოთ აზარტული თამაშებით



B2

დეტროიტის ავტოსალონის სიახლეები



B6

"ჯადო" ავტორის ხელში



B8




## ნოდარ ანდღულაძე:

# მთავარია, მუსიკა არ დაიჩაგროს

*ცოტას მოვემზადებოდი და იტალიის რომელიმე უნივერსიტეტში მეც წავიკითხავდი ლექციებს. თუ ძალიან ვეცდებოდი, ამერიკასაც გავქაჩავდი. ღვთის მადლით, ამ შესაძლებლობის მქონენი საკმაოდ არიან ჩვენში. მარტო ჩემს ნაცნობ-მეგობრებში ხუთი-ექვსი ასეთი მეგულება. მაგრამ დღეს სულ სხვა დონეზე ვსაუბრობთ — ადამიანთან, რომელიც სრულიად არ იგრძნობს გადასვლის სიძნელეს და მსოფლიოს ნებისმიერი კონსერვატორიის, ნებისმიერი საოპერო თეატრის კარს ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე ისე შეაღებს, როგორც ათეული წლების განმავლობაში აკეთებს ამას თბილისში. ამისთვის მხოლოდ ის ეყოფა, რომ ნოდარ ანდღულაძეა. ეს სახელი კარგა ხანია გასცდა იმ შეზღუდვებს, რომლებსაც ყველა უბრალო მოკვდავი ექვემდებარება, მისთვის არ არსებობს კულტურული, ენობრივი ან სხვა რომელიმე ბარიერი. და ტყუილად როდი თქვა მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ვოკალისტმა და პედაგოგმა, სახელგანთქმულმა ესპანელმა ტენორმა, ალფრედო კრაუსმა: "დღეს იტალია საქართველოშია". ვოკალური კოორდინატების ამ დიდი წანაცვლების ავტორი მაესტრო ნოდარია...*

**ნოდარ ლადარია** - იანვრის ბოლოს თბილისის ოპერა ჯუზეპე ვერდის "აიდას" შეგვპირდა. ეს რევოლუციის შემდგომ პირველი პრემიერა იქნება და თეატრში ჩატარებული რეფორმების შემდეგ ერთგვარი განსჯისკენ გვიბიძგებს. მე კონკრეტული სპექტაკლის განხილვას კი არ ვგულისხმობ, არამედ უფრო ღრმა ანალიზს. თბილისში ოპერის თეატრი პირველად 1851 წელს გაიხსნა და ამ მოვლენის უკან რუსეთის იმპერია იდგა. შემდეგ, როცა დროება შეიცვალა — საბჭოთა კავშირი. მართალია, იყო 1918-1921 წლების ხანმოკლე პერიოდი, რომელიც ქართული საოპერო ხელოვნებისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. დღეს კი ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ ამ საქმის გასაგრძელებლად არც შემოქმედებითი პოტენციალია და არც მატერიალური სახსრები. იქნებ დღევანდელი საქართველოსთვის ოპერა მხოლოდ გაუსაძლის ტვირთად ქცეული რელიქტია?

**ნოდარ ანდღულაძე** - რა გითხრა? როგორც ამ საქმისთვის თავდადებულ ადამიანს, ძალიან დამენანება, საქართველოში ოპერა რომ არ იყოს. ეს არა მარტო ჩემი სურვილია, არამედ ცხოვრებისეული რწმენაც. თუ ეს შედარება ხელოვნურად არ მოგეჩვენება, ფრანგი ისტორიკოსების დაარსებულ, ე. წ. "ანალების" სკოლას გავიხსენებ. მაგალითად, ფერნან ბროდელი ამბობს, რომ არსებობს, ასე ვთქვათ, "ხანგრძლივი" სპეციალობები, მაგალითად, ბრინჯსა და ხორბალს ისევე თესავენ, როგორც საუკუნეების წინათ. ასევეა სიმღერაც. ადამიანს არაფერი გააჩუმებს.

**ნ. ლ.** - შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველი ერი დღესაც მომღერალია?

**ნ. ა.** - როგორ არა: ხალხი მაინც მღერის, თუმცა ეს დროთა განმავლობაში, თუ შეიძლება ითქვას, ცივილიზებულ ფორმებს იღებს...

**ნ. ლ.** - არა, მე აქ თქვენს შარშანწინდელ მონათხრობს ვგულისხმობ. მაშინ კახეთში ვიყავით და თქვენ ბრძანეთ, რომ ალაზნის ველზე ღამით ხანდახან ისეთი სიმღერა ისმოდა, რომ მამათქვენისა და კარუზოს ხმები გაგონდებოდათ. ახლაც ასეა?

**ნ. ა.** - უსათუოდ. ნამდვილად ასეა. მით უმეტეს, რომ განვლილ წლებში მუსიკალურმა განათლებამ საკმაოდ მოიკიდა ფეხი ხალხში და ახლა ამ ტრადიციის შენარჩუნებაა საჭირო.

**ნ. ლ.** - მგონი, დროა, დავაკონკრეტოთ საუბარი...

**ნ. ა.** - დაკონკრეტებას არაფერი უდგას წინ. მით უმეტეს, რომ მე ოპერის თეატრში ოთხ გადატრიალებას მოვესწარი.

**ნ. ლ.** - აი, ეს კი საინტერესოა. პირველი როდის იყო?

**ნ. ა.** - 1960-იანი წლების დასაწყისში. მაშინ ამ რევოლუციის სათავეებთან ვიდექით **თენგიზ მუშკუდიანი** (ბანი), **შოთა კიკნაძე** (ბარიტონი), **ლეილა გოცირიძე** (მეცო-სოპრანო) და მე.

**ნ. ლ.** - ალბათ მხატვრული დონე არ გაკმაყოფილებდათ...

**ნ. ა.** - დონე ადვილი სათქმელია და უკვე აღარაფერს ნიშნავს. უფრო ზუსტად, მხატვრული მდგომარეობა. რაღაცნაირი გაყინული, სტატიკური, ტრაფარეტული ვითარება იყო. მაძიებლობა და შესრულების ენერგია კი, მსუბუქად რომ ვთქვათ, ჩამორჩებოდა. იმას, რის წინააღმდეგაც გავილაშქრეთ, დავარქმევდი **პროვინციულ რეალიზმს**.

**ნ. ლ.** - მეორე რომელი იყო?

**ნ. ა.** - ეს 60-იანი წლების ბოლოს დაიწყო და შეიძლება კონტრრევოლუცია ვუწოდოთ. მაშინ რესტავრაციის ინიციატორებად მოგვევლინენ ზურაბ ანჯაფარიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი (რეჟისორი), დიმიტრი მჭედლიძე (თეატრის დირექტორი). მაშინ ნოვატორული სულისკვეთება ისეთი წნეხის ქვეშ მოექცა, რომ **ჯანსუღ კახიძეს** თეატრიდან წასვლაც კი მოუწია. ჩვენზე ამბობდნენ, იტალიიდან გიჟები დაბრუნდნენო.

**ნ. ლ.** - მაინც რა იყო ამის საფუძველი? ნუთუ ყბადაღებული "ზასტოის" პერიოდის მარაზმი ასე აისახა ოპერის შინაგან მდგომარეობაზე?

**ნ. ა.** - ბორის ასაფიევის არ იყოს, ოპერის თეატრი საზოგადოებრივი კლიმატის ბარომეტრია. ჩვენში კი ამ მდგომარეობას გაცილებით უფრო ტრაგიკომიკური ელფერი დაჰკრავდა. მახსოვს, ასეთი ჭორი დადიოდა იმხანად თბილისში: ვასილ მჟავანაძეს რაღაც საშინელი დანაშაულის შესახებ მოახსენეს და შეიცხადა, როდის ეყოლება ამ ქვეყანას პატრონიო! რახან ბრეჟნევის ხანა ბიუროკრატიის აყვავებით იყო გამორჩეული, ოპერის თეატრშიც იგივე ურთიერთობები გაბატონდა.

აი, მესამე გადატრიალების ისტორია კი 1970-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და ორ ქართველ კომპოზიტორს - **ალექსი მაჭავარიანსა** და **ოთარ თაქთაქიშვილს** შორის დაპირისპირების გარშემო განვითარდა.

**ნ. ლ.** - პიროვნული ინტერესების პრიმატი ჩვეული მოვლენაა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ორ ხელოვანს შორის ეს დაპირისპირება თავისი არსებით შემოქმედებითი არ ყოფილა.

**ნ. ა.** - თანაც საკმაოდ ძველი წინაისტორია ჰქონდა. 1958 წელს სპექტაკლი "ოტელო" და ბალეტის ავტორი, ალექსი მაჭავარიანი წარადგინეს ლენინურ პრემიაზე. ოთარ თაქთაქიშვილი იმ დროს პრემიების მიმნიჭებელ კომისიაში იყო.

**ნ. ლ.** - როგორც ახლა იტყვიან, ბორდში, არა?

**ნ. ა.** - ასე იტყვიან? ყოველ შემთხვევაში, ოთარ თაქთაქიშვილმა კომისიის სხდომაზე განაცხადა, რომ ბალეტის ავტორი ნამდვილად ალექსი მაჭავარიანია, მაგრამ პარტიტურა მას არ ეკუთვნის, რადგან მან მხოლოდ კლავირის სახით წარმოადგინა თავისი ნაწარმოები. ეს მართალი იყო, თუმცა არგანცხადებისთვის პასუხს არავინ მოსთხოვდა. ასე თუ ისე, პრემია მხოლოდ სპექტაკლს მიანიჭეს, ავტორს კი არა.

ამის შემდეგ, 70-იან წლებში ალექსი მაჭავარიანის სახელი ჩვენ, ანუ, ასე ვთქვათ, "მემარცხენე" ძალებს დაგვიკავშირდა. სწორედ მისი მეცადინეობის შედეგად დაბრუნდა თეატრში ჯანსუღ კახიძე...

**ნ. ლ.** - შეიძლება ეს თვალსაზრისი ძალიან გამარტივებულია, მაგრამ "მემარცხენეობის" გარდა ალექსი მაჭავარიანი ოთარ თაქთაქიშვილზე უფრო საინტერესო კომპოზიტორად მიმაჩნია.

**ნ. ა.** - ოთარმა საავტორო ნაწარმოებებში ქართული ხალხური მუსიკის თითქმის პირდაპირი ციტირების ტრადიცია დაამკვიდრა. საერთოდ, ქართველი კომპოზიტორები ეს ცალკე ისტორიაა. მახსოვს, რეპეტიციებზე როგორ აძლევდა შენიშვნებს **ვახტანგ ჭაბუკიანი** ბალეტების ავტორებს. გენიალურად გრძნობდა მუსიკას. არა მარტო მელოდიას ან ჰარმონიას, არამედ ორკესტრულ გადაწყვეტასაც. მოულოდნელად წყვეტდა ცეკვას და ავტორს უყვიროდა: "აქ ბოროტი ძალების წინააღმდეგ გადამწყვეტი შეტევაა, შენ კი რა გიჟღერს ორკესტრში!".

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ამ მესამე კონფლიქტის ნეგატიური რესურსები მაშინ ამოიწურა, როცა ვადა გაუვიდა თაქთაქიშვილის დანიშნულ ადმინისტრაციას. რა თქმა უნდა, კულუარული ბატალიები დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა და ყოველივე ამას დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს თბილისის საზოგადოება.

**ნ. ლ.** - საოპერო ხელოვნებით თუ არა, ამგვარი სანახაობით საზოგადოების დატკბობის რესურსი ნამდვილად ამოუწურავია!

**ნ. ა.** - აი, 80-იანი წლების დასაწყისში კი კვლავ დაიწყო აღმავლობა. 1984 წელს შევარდნაძემ კიდევ ერთხელ დააბრუნა თეატრში ჯანსუღ კახიძე. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ეს აღმავლობაც ამოიწურა. 90-იანი წლებიდან ყველაფერი უკან წავიდა. ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა ამას უფულობას აბრალებდა, შემოქმედებითი ხელმძღვანელობა კი ადმინისტრაციას. ამასთანაა დაკავშირებული მეოთხე კონფლიქტი, რომელმაც თეატრი არა თუ დეკადანსამდე, არამედ შემოქმედებით კატასტროფამდე მიიყვანა.

**ნ. ლ.** - ამ ბოლო კონფლიქტის არსი როგორ შეიძლება გამოვხატოთ?

**ნ. ა.** - ზემოხსენებული პროვინციული რეალიზმი გადაიზარდა პროვინციულ ავანგარდიზმად.

**ნ. ლ.** - საინტერესოა. კონკრეტულად?

**ნ. ა.** - ამ პროვინციული ავანგარდიზმის ყველაზე აშკარა მაგალითები იყო 1997 წელს დადგმული "პიკის ქალი" და 1999 წელს დადგმული "კარმენი".

**ნ. ლ.** - ორივე სპექტაკლი დაიდგა ჯანსუღ კახიძის დროს. ეს მეტად ნიშანდობლივია: პიროვნებამ, რომელიც ერთ პერიოდში შემოქმედებითი წინსვლის სიმბოლო იყო, მოგვიანებით შემოქმედებით კატასტროფას ვერაფრით შეუშალა ხელი. ჩვენში ერთხელ მიღწეული წარმატება რატომღაც მომავალი ცდომილებების ინდულგენციად აღიქმება. იშვიათად ან თითქმის არასოდეს ხდება პიროვნების ბიოგრაფიაში წინააღმდეგობების გაშუქება. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჯანსუღ კახიძის შეცდომები მის წარმატებებზე ნაკლებად ძვირფასია ჩვენი ისტორიისთვის? ან რაიმე ჩრდილს აყენებს მის შემოქმედებით მიღწევებს?

მაგრამ ახლა სულ სხვა რამეს მინდა მივაქციო ყურადღება. აქვს თუ არა ამ და სხვა შეცდომებს რაღაც ენერგია, რომლის გათვალისწინებით შესაძლებელია საქმის გამოსწორება?

**ნ. ა.** - როდესაც ჩვენ სიახლის დამკვიდრებას ვაპირებდით ოპერის თეატრში, უნდა ითქვას, რომ კონცეპტუალური თეატრი გვსურდა. რეფორმების საზრისი ის იყო, რომ ოპერის თეატრი ყველანაირ გემოვნებას უნდა პასუხობდეს. იტალიური საოპერო თეატრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოღვაწე, პაოლო გრასი ამბობდა: "დრამატულისაგან განსხვავებით, საოპერო თეატრის რეპერტუარი არ უნდა იგებოდეს ხელმძღვანელი პიროვნების გემოვნებით, არამედ ანთოლოგიის პრინციპით". აქ წარმოდგენილი უნდა იყოს ლირიკული, ლირიკულ-დრამატული, დრამატული, კომიკური ოპერები. შესაძლებლად ყველა სტილისა და ეპოქის ნიმუშები.

ჯანსუღ კახიძის სარეპერტუარო პოლიტიკა ძალიან იყო დამოკიდებული მის პირად გემოვნებაზე. სწორედ ეს იყო შემოქმედებითი დაცემის ძირითადი მიზეზი. საოპერო თეატრს არ აკლდა ძალები. სწორედ იმ ძნელბედობის ჟამს გაემგზავრნენ უცხოეთში ჩვენი ახალგაზრდა მომღერლები და იმწამსვე ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწიეს იქ.

**ნ. ლ.** - სწორედ ამ მომენტს უნდა შევეხო. ახლა ძალიან ხშირად ისმის ერთი ფრაზა: "მამლუქობის" ეპოქა დამთავრდა. ამბობენ, რომ უცხოეთში მოღვაწე ყველა სპორტსმენი თუ შემოქმედი სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. მაგრამ ეს ასე მარტივი არაა. მე მჯერა, რომ ენრიკო კარუზოს თვალზე ცრემლი ადგებოდა ნეაპოლის ხსენებაზე, მაგრამ ამის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მიზეზი მისი სოლიდური საბანკო ანგარიში იყო. იმავე დროს ათასობით იტალიელ ემიგრანტს სულაც არ ეცალა სამშობლოს სიყვარულისთვის. პიროვნების ინტერესები, როგორც შემოქმედებითი, ისევე მატერიალური, უპირველესი უნდა იყოს.

**ნ. ა.** - გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში დაბრუნება არაფერს წყვეტს. გარემო უფრო ადვილად გააფუჭებს პიროვნებას, ვიდრე პიროვნება გამოასწორებს გარემოს. გავიხსენოთ სტენდალი, ვოკალის დიდი მცოდნე და ოპერის დიდი მოტრფიალე. რა თქვა სტენდალმა? - ლა სკალა იმიტომაა მსოფლიოში საუკეთესო თეატრი, რომ იქ მუსიკის მოსმენაა კარგიო. არ უთქვამს, იმიტომ რომ იქ ყველაზე კარგი მომღერლები არიანო, თუმცა ეს მართალი იქნებოდა. არ უთქვამს, იმიტომ რომ იქ ყველაზე კარგი დეკორაციებიაო, თუმცა ესეც არ იქნებოდა ჭეშმარიტებისგან შორს. თუ თეატრში არ შეიძლება კარგი მუსიკის მოსმენა, იქ ამას ვერც გენიალური ხმა გამოასწორებს და ვერც მშვენიერი ვიზუალური მხარე თუ ნიჭიერული რეჟისურა მიჩქმალავს.

**ნ. ლ.** - ერთხელ **ალექსანდრე კორსანტიას** კონცერტზე, ანტრაქტში ნაცნობ მუსიკათმცოდნეს ვუთხარი, როდის გახდება ქართველი მსმენელი მარცხენა პედალის ღირსი-მეთქი. ეს ალბათ გაზეთში დასაწერი ფრაზა არაა, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მე თვითონ არ დამიმსახურებია მარცხენა პედალის მოსმენა, მაგრამ ხშირად საკუთარ თავზე მძიმე ტვირთის აღებაა საჭირო. წარმოვიდგინოთ ასეთი, შესაძლოა, ოდნავ პრიმიტიულად წარმოდგენილი ვითარება: საოპერო თეატრს გამოეყო რაღაც ნაწილი და სადმე სარდაფში დაიწყეს ოპერების დადგმა. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინათ ვნახე, ბოლონიაში როგორ წარმოადგინეს ვერდის "რიგოლეტო" ძალიან კამერულ ვითარებაში...

**ნ. ა.** - მგონი, ბარში იყო წარმოდგენილი, არა?

**ნ. ლ.** - დიახ, დიახ. მაგრამ ჩემი შეკითხვა სხვაა: ეყოლება თუ არა ამ "რასკოლში" წასულ თეატრს ისეთივე რესპექტაბელური მსმენელი, როგორიც ძირითადს ჰყავს?

**ნ. ა.** - სხვაზე ვერაფერს ვიტყვი, მე კი ის უფრო დამაინტერესებდა, რადგან უფრო მწვავე იქნებოდა. მთავარია, მუსიკა არ დაიჩაგროს. თუ არსებობს მუსიკალური კონცეფცია, თუ არის შემოქმედებითი ენერგია, თუ არის განვითარების აზრი და შეგნება, მაშინ შეიძლება ბარშიც წარმოადგინო და სარდაფშიც, ეს მაინც საინტერესო იქნება.

სამწუხაროდ, დღეს დიდი რევოლუციური წარმატების იმედი არა მაქვს. ამ ბოლო დროს მხოლოდ ორი რამ მახსოვს, რაშიც იგრძნობოდა შემოქმედებითი ენერგია და მხატვრული იდეის განვითარება: ერთი იყო თოჯინური სპექტაკლი "ფაუსტი" თეატრალურ სარდაფში, მეორე კი სუხიშვილების მიერ **ჯემალ აჯიაშვილის** შემოქმედებით საღამოზე შესრულებული ებრაული ცეკვა.





# აფიშა

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლალი როსება
"პრემიერა"
რეჟისორი: დიმიტრი ღვთისიაშვილი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
ფედერიკო გარსია ლორკა
"ბერნარდა ალბას სახლი"
რეჟისორი: გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
პრემიერა
"პატარა უფლისწული"
მ. სურმავას სპექტაკლი
დას: 18:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"ოცნება და სინამდვილე"
რეჟისორი: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"წვიმის წვეთები გავარვარებულ ქვაზე"
(რეჟისორი: ფრანსუა ოზონი)
ფასი: 1 ლარი
დას: 17:00 სთ.

**რუსთაველი**
"ნიუ იორკის ტაქსი"
დას: 13:00; 18:00; 20:00; 22:00 სთ.

"განრისხებული"
დას: 15:00 სთ.

**ამირანი**
"ბრიჯიტ ჯონსი 2"
დას: 15:00; 17:30; 20:00; 22:00 სთ.
ფასი: 7-დან 10 ლარამდე.

## გალერეები

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონატთა გამოფენა

**ჰობი**
ელდარ ქავშბაიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა
"დახურული ქოლგები"
I დარბაზი

თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების
გამოფენა (ფერწერა)
II დარბაზი

**სურათების ეროვნული გალერეა**
სამხატვრო აკადემიის ქსოვილების კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა (გობელენი, თექა, ბატიკა)

## პრეზენტაციები

**პარნასი**
ნუგზარ შატაიძის წიგნის - "ევროპაში რა მინდოდა" პრეზენტაცია
დას: 17:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ეროვნული მუზეუმი საერთაშორისო კონტაქტებით იწყებს

დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი პირველ საერთაშორისო კონტრაქტს ბარსელონას უნივერსიტეტთან გააფორმებს.

ახლად დაარსებული, ფართო პროფილის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების - ეროვნული მუზეუმის ეს კონტრაქტი საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის 2004 წელს განათლებისა და კულტურის სფეროში გაფორმებულ ჩარჩო-ხელშეკრულებას ეფუძნება. შეთანხმება საქართველოს ეროვნულ-მუზეუმსა და ბარსელონას უნივერსიტეტს შორის ითვალისწინებს თანამშრომლობას კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევაში, ასევე სპეციალისტების მომზადებას სამუზეუმო და კულტურული ტურიზმის სფეროში. ეროვნული მუზეუმი კოორდინაციას გაუწევს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისა და ასპირანტების სწავლასა და სტაჟირებას ბარსელონას უნივერსიტეტში.

ხელმოწერის ცერემონიალი დღეს სასტუმრო "მარიოტ-თბილისში" გაიმართება. ბარსელონას უნივერსიტეტს მისი პრორექტორი - ჯორდი მარტინელი წარმოადგენს, ეროვნულ მუზეუმს კი - გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე. ცერემონიალს მინისტრები: გიორგი გაბაშვილი და ალექსანდრე ლომაია, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ქალაქის მერი დაესწრებიან.

# როგორ ვისარგებლოთ აზარტული თამაშებით

## ევროპა ეროვნული ლატარიის გამოცდილებას გვიზიარებს

ვერა ნეფარიძე

*"ევროპის გამოცდილებიდან გამომდინარე, აზარტული თამაშების აკრძალვა, დადებით შედეგამდე არ მიგვიყვანს", - გვითხრა ევროსაბჭოს კიდევ ერთმა ექსპერტმა, ამჯერად ბრიტანეთის ეროვნული ლატარიის მცოდნემ, ბატონმა მოს კუპერმა. მაგრამ სხვა საქმეა, თუკი ამგვარი გასართობი დიადი მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. თუ როგორ - ამის მრავალწლიანი გამოცდილება არსებობს მთელ მსოფლიოში. სწორედ ამასთან დაკავშირებით ისაუბრეს გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"თუკი მოგება დიდია, საქართველოში ლატარიას თამაშობენ. ეროვნულ ლატარიაში კი, მოგება დიდია", - მინისტრის ეს სიტყვები მოჰყვა შეკითხვას: რამდენად მიიღებს ჩვენი საზოგადოება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ინოვაციას - ჩამოყალიბდეს და ამუშავდეს საქართველოში ეროვნული ლატარია. ანუ, სახელმწიფო გახდეს აზარტული თამაშის ერთ-ერთი სახეობის - ტირაჟული და მომენტალური ლატარიის გათამაშების მონოპოლისტი, რაც იმისათვისაა საჭირო, რომ ლატარიის მოგებიდან გარკვეული რაოდენობა (თუ რამდენი, ჯერ არ არის დაზუსტებული) მოხმარდეს საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის მოვლას, კულტურისა და სპორტის განვითარება-ხელშეწყობას. გუშინდელ პრესკონფერენციაზე, რომელსაც მინისტრი და ამ ინიციატივაში სამინისტროს დამხმარე ბრიტანელი ექსპერტი ატარებდნენ, ძირითადად ეროვნული ლატარიის დადებით მხარეებზე საუბრობდნენ.

უარყოფითი კი, ალბათ, ეროვნული ლატარიის იდეას არც აქვს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუკი ის სწორად გამართული და გააზრებული იქნება. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი იდეა ამართლებს ევროპაში, სადაც, თუკი გიორგი გაბაშვილის მონაცემებს დავეყრდნობით, სახელმწიფოთა 95 პროცენტში ეროვნული ლატარია წარმატებულად მუშაობს. სხვადასხვა ქვეყანაში ლატარიიდან შემოსული თანხა სხვადასხვა სფეროში ნაწილდება; საქართველოში ეროვნული ლატარია კულტურისა და სპორტის სფეროებისთვის დამატებითი ფინანსური წყარო იქნება. ასეა ბრიტანეთშიც, რომლის ეროვნული ლატარიის მოდელთანაც მიახლოებული იქნება ქართული ვარიანტი.

"მინისტრს გავაცანი არა მხოლოდ ბრიტანეთის, არამედ ესპანეთის, იტალიის მაგალითები, მაგრამ ბრიტანული ეროვნული ლატარია უნიკალურია", - მოს კუპერი ბრიტანული ვარიანტის უნიკალურობას ციფრებით ადასტურებს: "ჩვენს შემთხვევაში, ხუთი პროცენტია ოპერატორის ხარჯი, ხოლო 28 მიემართება კარგი მიზნებისთვის. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ქართულ ვარიანტშიც იგივე პროცენტული მაჩვენებლები იქნება. უბრალოდ, ბრიტანული ლატარიის უნიკალურობა იმაშიც გამოიხატება, რომ დიდ ბრიტანეთში მთელი მოსახლეობის 70 პროცენტი თამაშობს ეროვნულ ლატარიას კვირაში ორჯერ. ეროვნულმა ლატარიამ ბოლო ათი წლის განმავლობაში დადებითად შეცვალა საზოგადოებრივი და სოციალური მდგომარეობა. ვფიქრობ, ეს გამოცდილება თქვენთვის მეტად საინტერესოა". თავის მხრივ, ქართულ მხარესაც აქვს არგუმენტები, თუ რატომ შეირჩა ბრიტანული მოდელი ჩვენი ეროვნული ლატარიისთვის. ბრიტანეთში ის 1993 წლიდან მუშაობს, ანუ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, გამოცდილება მცირეა. "ანუ გამოცდილება ახლად შექმნილი ლატარიის, სწორედ იქაა. ბევრ ქვეყანაში ეროვნული ლატარია ბევრად ადრე შეიქმნა. ასევე, მისაბაძია ჩვენთვის ბრიტანულ ლატარიაში თანხების განაწილების პრინციპი, ეფექტურია თანხების გენერირება, ძლიერია ოპერატორი. თუ რა მოდელი ჩამოყალიბდება საქართველოში, ამაზე ვმუშაობთ", - განაცხადა მინისტრმა.

გუშინდელ შეხვედრაზე ბრიტანელმა სტუმარმა ერთადერთი ხმამაღალი რჩევა მისცა ეროვნული ლატარიის ქართველ ინიციატორებს: "რაც შეიძლება მეტ ოპერატორს შეხვდით; მათ, ვინც ევროპაში მოქმედებენ, მათთან ერთად შევაჯეროთ პოტენციალი და შესაძლებლობები, რომელიც საქართველოსთვის რეალური იქნება. საქართველო პატარა ქვეყანაა და შესაბამისად ბაზარიც პატარაა, ამიტომაც მაქსიმალურად უნდა იყოს შესაძლებლობები გამოყენებული".

ეროვნული ლატარიის ინიციატორები და ორგანიზატორები ვარაუდობენ, რომ გაზაფხულისთვის შემუშავდება შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ასევე, საგადასახადო და თანხების განაწილების ოპტიმალური ვარიანტი, განისაზღვრება ოპერატორის მოგება, ხარჯები და გამოვლინდება ოპერატორი. ამ უკანასკნელს საერთაშორისო ტენდერი გამოავლენს. ამ ყველაფერთან დაკავშირებით, ჩნდება ლოგიკური შეკითხვა, - რა ბედი ელის დღეს საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებს, რომლებიც სხვადასხვა ლატარიებს (ტელელოტო, მომენტალური და ა.შ) ატარებენ. "თუკი ტენდერში გაიმარჯვებს კომპანია, რომელიც ჩათვლის საჭიროდ, რომ ეს თამაშები არსებობდეს, მაშინ იქნება. ჩვენ გვექნება პირობები, რომელიც აუცილებლად უნდა დაკმაყოფილდეს; გავაკონტროლებთ, რომ ეს თანხა მოხმარდეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პროექტებს. დანარჩენი თამაშის ორგანიზატორებმა, კონკრეტულმა ოპერატორმა უნდა გააკეთონ", - განაცხადა მინისტრმა. რაც შეეხება ოპერატორს, თუ ქართული კომპანიები არ იქნებიან საამისოდ მზად, მაშინ საქართველოში ეროვნული ლატარიის ჩატარების ათწლიან ექსკლუზიურ უფლებას უცხოური კომპანია მიიღებს; დაშვებულია ადგილობრივ-უცხოური ფირმების გაერთიანებაც. უფლება კი მიენიჭება იმას, ვინც სახელმწიფოს მიერ წამოყენებულ პირობებს დააკმაყოფილებს: "მოთხოვნები ამგვარი იქნება: თამაშის ინფრასტრუქტურა უნდა იყოს გამართული და თანამედროვე, ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით იყოს შეკრული, ლატარია ფარავდეს ქვეყნის მთელ ტერიტორიას, უნდა პასუხობდეს ლატარიის იმ ტექნოლოგიას, რაც ევროპაშია", - განაცხადა გიორგი გაბაშვილმა.

დაბოლოს, მოს კუპერმა დაგვაიმედა, რომ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საქართველოში საინვესტიციო სივრცის შეცვლა და ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებები იძლევა საფუძველს, რომ საქართველოში ეოვნული ლატარიის ჩატარების ექსკლუზიური უფლების მოსაპოვებლად ბევრმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვას სურვილი. "მე მჯერა, რომ ლატარიიდან შემოსული თანხები, რომელიც მოხმარდება ძალიან დადებით მიზნებს, გაზრდის ეროვნული ლატარიის მნიშვნელობას მთელ საზოგადოებაში. თავისთავად აზარტული თამაშები, საზოგადოებისთვის არც ისე დადებითი ფაქტორია, მაგრამ აზარტული თამაშები, რომელიც მოიტანს დადებით შედეგებს, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ევროპის გამოცდილებიდან გამომდინარე, აზარტული თამაშების აკრძალვა, დადებით შედეგამდე არ მიგვიყვანს", - გამოცდილება გაგვიზიარა ბრიტანელმა ექსპერტმა. რაც შეეხება ქართულ მხარეს, სამინისტროს ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეროვნული ლატარიის იდეა საქართველოში წარმატებულად განხორციელდება.

# პრემიერა ახლოვდება

## ქართველი სოპრანოს პორტრეტი

სოფო კილასონია



*სცენა პუჩინის ოპერიდან "ტოსკა".*

იმის მიუხედავად, რომ ვერდის "აიდას" პრემიერა 4 თებერვლისთვის გადაიდო, ფაქტია, რომ ოპერის თეატრის ცხოვრებისთვის (და არა მარტო მისთვის) ეს მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მაინც ახლოვდება და ჩვენც ვაგრძელებთ საუბარს და ჩვენი მკითხველისთვის იმ ქართველ ვოკალისტ-შემსრულებელთა გაცნობას, რომლებიც სამშობლოში გასტროლებზე ჩამოვიდნენ და ვისი ხილვა-მოსმენაც არა მარტო "აიდაში", არამედ მასკანის "სოფლის პატიოსნებაშიც" სულ მალე შეგვეძლება. ამჯერად ჩვენი სტუმარია მრავალი ჯილდოსა და პრემიის, დიდი საერთაშორისო მიღწევების მქონე ქართველი სოპრანო ირინე რატიანი.

**"პროფესიით ბიოლოგი ვარ"** - ეს იყო პირველი, რაც მითხრა ჩემმა მოსაუბრემ და მივხვდი, რომ იგი იმ მომღერალთა რიგს ეკუთვნის, ვისაც იმთავითვე არ დაუგეგმავს კარიერა სახელოვნებო სივრცეში და ნიჭისა და უმშვენიერესი ხმის აღმოჩენა მისთვის და მისი ახლობლებისთვის მოულოდნელი სიახლე იყო. მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, იგი სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა. შიგადაშიგ მღეროდა კიდეც, თუმცა, ხუმრობით. მეოთხე კურსზე იყო, როდესაც ნოდარ ანდღულაძემ მოისმინა. ორი წელი მასთან მუშაობდა. მერე კონსერვატორიაში ჩააბარა. მედეა ამირანაშვილის კლასში მოხვდა. **"ბატონ ნოდართან პირველი ნაბიჯები გადავდგი, სერიოზული მუშაობა კი ქალბატონ მედეასთან დავიწყე. მას ახალი დაწყებული ჰქონდა პედაგოგობა. ორივემ ძალიან მოვინდომეთ, სამ წელიწადს არანორმალურად ვიმუშავეთ",** - იხსენებს ირინე. სამი წლის შემდეგ მან პირველი განაცხადი გააკეთა სცენაზე. ეს მოხდა ვოკალისტთა პირველ რესპუბლიკურ კონკურსზე, სადაც ის ფინალისტი, დიპლომანტი გახდა.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ოზიმოს აკადემიაში გაემგზავრა. თავდაპირველად მხოლოდ მოსასმენად, თუმცა, მაშინვე აიყვანეს და სტიპენდიაც დაუნიშნეს. **"მე დიდი ბაზა მქონდა, აქედან უკვე ჩამოყალიბებული მომღერალი წავედი. ოზიმოს აკადემია დახელოვნების სკოლაა, ისინი უკვე მზა მომღერალს იყვანენ. საერთოდ, ქართული სკოლა, ბაზა ბრწყინვალეა..."** - მითხრა ირინემ. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. ამ ბოლო დროს ხომ საზღვარგარეთ მოღვაწე თითქმის ყველა ადამიანი საკუთარ წარმატებას ევროპულ განათლებას უმადლის და მის უპირატესობას ყოველ წამს აფიქსირებს. **"იტალიაში ბევრი რამ ვისწავლე - ენა, სტილი. იქ ბელკანტოს სტილია. ჩვენთან ხმაზე აკეთებენ აქცენტს, ფრაზირება მეორე პლანზეა. ხმის სიყვარულით ფრაზა უკან გვრჩება. შესაძლოა, ეს იტალიური ენის უცოდინრობის გამო ხდება. ქალბატონ მედეასთან ეს პრობლემა არ მქონია. ის ბრწყინვალე მომღერალია, მასწავლა ფრაზის მნიშვნელობა სიმღერისას. დღეს ევროპაში ბევრი მომღერალია, რომლებსაც, შესაძლოა, არა აქვთ არაჩვეულებრივი ხმები, მაგრამ აქვთ არაჩვეულებრივი ფრაზირება, არიან არაჩვეულებრივი მსახიობები, მოკლედ ჭკვიანი მომღერლები. დღეს ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სცენაზე. ეს ყველაფერი ოზიმოს აკადემიაში ვისწავლე. თუმცა, ის, რომ 1995 წლის ნოემბერში ჩასულს, 1996 წლის ზაფხულში უკვე დებიუტი მქონდა (სამხრეთ იტალიაში, ფესტივალზე, სამი სოლო კონცერტი ვიმღერე), იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოში კარგი სკოლა მქონდა გავლილი."**

დებიუტის შემდეგ კონკურსები დაიწყო. ირინე რატიანი 1997 წელს ქალაქ ბუსეტოში გამართული კონკურსის საუკეთესო სოპრანოდ აღიარეს და როზა პონსელეს ამერიკული ფონდის პრიზით დააჯილდოვეს. 1998 წელს მომღერალმა ერთდროულად ორ საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა - მაიოლატი სპონტინის II საერთაშორისო და რომში გამართულ საოპერო მომღერლების IV საერთაშორისო კონკურსში. ამავე წელს Opera-CD Classica-ს პრიზით დაჯილდოვდა. სხვადასხვა წლებში მონაწილეობას იღებდა მარტინა ფრანკას სახელობის ფესტივალში. როგორც თავად ამბობს, კონკურსი ყველაზე მნიშვნელოვანია მომღერლის ჩამოყალიბებაში და აუცილებელია მისი კარიერისთვის: **"ყველამ უნდა განიცადოს ის მღელვარება, რაც კონკურსს ახლავს, უნდა დაინახო, რა დონეზე არიან შენი თაობის მომღერლები და თავად შენ. სპექტაკლს არ ახლავს ასეთი მღელვარება, ის უკვე შემოქმედებაა. კონკურსი აუცილებლად უნდა გამოცადოს მომღერალმა. ამის გარეშე, უბრალოდ, ვერ დაიწყებ კარიერას. სწორედ იქ გისმენენ ცნობილი აგენტები და თეატრის დირექტორები."**

რაც შეეხება სადებიუტო სპექტაკლს, ეს იყო მასკანის "სოფლის პატიოსნება" 1998 წელს რომის თეატრში. ამ დებიუტისა და კონკურსების ფონზე თანდათან დაიწყო ქართველი სოპრანოს მრავალფეროვანი კონტრაქტები. იგი წარდგა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის მსმენელთა წინაშე, მათ შორის: რუსეთის, ლიტვის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიის, იაპონიის, ავსტრიის საოპერო თუ საკონცერტო სცენებზე.

მოცარტის "ასე იქცევა ყველა ქალი", "დონ ჯოვანი", ქერუბინის "მედეა", ჩაიკოვსკის "ევგენი ონეგინი", მეიერბერის "ჰუგენოტი", პუჩინის "ბოჰემა", "მადამ ბატერფლაი", "ტოსკა", "მანონ ლესკო", ვერდის "აიდა", "ტრავიატა", "მაკბეტი", "ბალ-მასკარადი", "ოტელო"... ეს არასრული ჩამონათვალია ირინე რატიანის რეპერტუარიდან, თუმცა გამოვტოვე ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი, როსინის "ოტელო", რომელშიც 2002 წელს, მარტინა ფრანკას ფესტივალზე, ოტელოს პარტია შეასრულა. **"როსინის ჰქონია ასეთი ჩანაფიქრი, რომ ოტელოს პარტია სოპრანოს შეესრულებინა. XIX საუკუნეში უმღერია კიდეც ორ ვარსკვლავს: მარია მალიბრანისა და ჟუდიტა პასტას, ორ უდიდეს სოპრანოს. მათი ჩანაწერები არ არსებობს, მხოლოდ მონაყოლით იციან. ამ ფესტივალმა გადაწყვიტა, როსინის ჩანაფიქრი განეხორციელებინათ. დამიძახეს. პროქტი მომეწონა და მაშინვე დავთანხმდი. დიდი მუშაობა დამჭირდა. საბოლოოდ კი სცენაზე ნამდვილი ოტელო ვიყავი, სუფთა მამაკაცი."** - პრესა, როგორც ხშირად ხდება, შუაზე გაიყო, თუმცა, პროექტმა მომღერალს დიდი წარმატება მოუტანა.

ამჟამად ირინე რატიანი იტალიაში ცხოვრობს. მის გასტროლებთან, მიწვევებთან და კონტრაქტებთან დაკავშირებულ საქმეებს ერთ-ერთი იქაური სააგენტო და მისი იტალიელი აგენტი აგვარებს. **"ბუნებით მაქსიმალისტი ვარ. რასაც ვაკეთებ, მინდა, რომ ყოველთვის სრულყოფილად და კარგად გავაკეთო",** - ჩემი მოსაუბრის ეს სიტყვები, რომელიც მის კრედოდაც შეიძლება მივიღოთ, გასაგებს ხდის ახალგაზრდა მომღერლის დიდ წარმატებებს.

იმის მიუხედავად, რომ საუბრისას დროში შეზღუდული ვიყავით, ჩემ წინ სრულყოფილად დაიხატა პორტრეტი ხელოვანისა, შემოქმედისა, რომელმაც ყოველთვის ზუსტად იცის რა სურს, ნიჭითა და შრომით კი მიზანს ყოველთვის აღწევს.

# ბიზნესს + არტი

თეონა ჯაფარიძე

*გუშინდლამდე ყველა საინფორმაციო სააგენტო აცხადებდა, რომ 27 იანვარს ცნობილი ავსტრალიელი მხატვარი უილიამ კელი თავის ნამუშევარს "Anthem" ("ჰიმნი") გადასცემს "ხელოვნების ნაციონალურ ცენტრს".*
*როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, ავსტრალიელ მხატვარს ჯერ კიდევ 1999 წელს მელბურნის საკუთარ სტუდიაში სერიგრაფიული ტექნიკით შეუსრულებია "ჰიმნი", რომელზეც გამოსახულია, თუ როგორ გარდაიქმნება ვარდითა და იარაღით შეიარაღებულ ადამიანთა დაპირისპირება სიყვარულში. 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ კელის გადაუწყვეტია, რომ ახდა მისი "სახვითი წინასწარმეტყველება", ამიტომაც "ჰიმნის" სახლი საქართველოშია. ეჰ, როგორც ჩანს, დედამიწის მეორე წერტილში ჯერ კიდევ შემორჩენილა ქართული რევოლუციის რომანტიკის სურნელი....*



იური ლობოდინის ფოტო

*კაკაბაძე-რთველიაშვილის დუეტი კი ჰუმანიზმის მანიფესტის კითხვას განაგრძობს.*

თუ რუსთაველის პროსპექტიდან ქაშუეთთან ჩაუხვევ, თავს ამოყოფ გუდიაშვილის ქუჩაზე, სადაც ყოფილი "მხატვრის სახლის" დაცარიელებული სივრცე, სახელმწიფო მუზეუმის ეზო და კორპუსები და ეროვნული ბიბლიოთეკაა განთავსებული. სწორედ ამ ბუნებრივ **სახელოვნებო-საგანმანათლებლო სივრცეში**, უფრო კონკრეტულად კი, გუდიაშვილის №20-ში არსებულ შენობასა თუ შენობის წინ, გუშინ ქართველი ART-ისტების, ბიზნესის წარმომადგენლებისა და სამთავრობო, ოფიციალური პირების უცნაურ "ნაზავს" გადაეყრებოდით.

ყოფილი "მხატვრის სახლი", ბიბლიოთეკა, მუზეუმი - ლოგიკური და დროულია, ეს სივრცე **"ხელოვნების ნაციონალურმა ცენტრმა"** გააერთიანოს. ისიც დროული და აუცილებელია, რომ ქართულმა ბიზნესმა და არტმა ითანამშრომლონ. დიახ, გუდიაშვილის №20-ში გუშინ "ხელოვნების ნაციონალური ცენტრის " პეზენტაცია გაიმართა.

- რატომ **ნაციონალური?** - გაიძახოდნენ გუშინ გლობალისტი კონცეპტუალისტები.

**- ნაციონალური არ გულისხმობს ნაციონალურ ხელოვნებას,** ეს კარგად აპრობირებული **ხელოვნების ნაციონალური ცენტრია,** - მიხსნის იდეის ერთ-ერთი ავტორი და არანაკლებ გლობალისტი კონცეპტუალისტი **მხატვარი ილიკო ზაუტაშვილი**. სწორედ ამ დროს პრეზენტაციის არტ-ნაწილიც დაიწყო და ისტერიულ-ექსცენტრიკული პათოსით გაჯერებული ლოზუნგების ტალღა წამოვიდა პერფორმანსის ფორმით:

- "გვიყვარდეს სიცოცხლე იმაზე მეტად, ვიდრე ტერორისტს უყვარს სიკვდილი!

- გვიყვარდეს სიცოცხლე ყველა აღმსარებლობისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანთან ერთად!

- დავამკვიდროთ ჰუმანიზმი აღმატებული კორპორაციულ, ნაციონალისტურ და სექტანტურ ინტერესებზე!

- "მრავალჟამიერი" მრავალი ხმაა ერთ ჰარმონიაში" - **ირაკლი კაკაბაძისა** და პოეტ **ზურა რთველაშვილის** ორენოვანმა, ინგლისურ-ქათულმა დუეტმა ორ ხმაში პრეზენტაციაზე მისულებს "21-ე საუკუნის ქართული ჰუმანიზმის მანიფესტი" ჩაგვიკითხა.

ილიკო ზაუტაშვილმა კი ისევ ჩემთან გააგრძელა საუბარი: "ასეა თუ ისე, ხომ დავდივართ კინოში, ხომ დაგვყავს ბავშვები და ხომ ვტოვებთ ხოლმე 20, 30 ლარს მაინც. წარმოიდგინე, თუ მომავალში ამ ადგილზე შეიქმნება სამუზეუმო ქუჩა და სახელოვნებო უბანი, თუ ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა ან თანამედროვე ხელოვნება შეიფუთება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და მნახველს საინტერესოდ (არტ-კაფეებისა თუ არტ-შოპების) სახით მიეწოდება. შესაძლოა, ეს ორი ახალი და ცარიელი სასტუმროც აივსოს უცხოელი სტუმრებით."

პრესრელიზში" კი ვკითხულობთ, რომ გუშინდელი აქციის ორგანიზატორი "ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი" და აქციის მხრდამჭერი ორგანზაციები: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია, თბილისის სახელმწიფო სამხტვრო აკადემია და GMT ჯგუფი აფუძნებენ ცენტრს, "რომლის მიზანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების კონკურენტუნარიანი და ძლიერი "ბრენდის" შექმნა მსოფლიო მასშტაბით.

გუდიაშვილის ქუჩაზე, ყოფილი მხატვრის სახლის ტერიტორიაზე, დაგეგმილია მრავალფუნქციური კომპლექსის აშენება. კომპლექსში ბიზნესცენტრთან ერთად განთავსდება ხელონების ნაციონალური ცენტრის სათავო ოფისი, რომელშიც საფუძველი ჩაეყრება თანამედროვე ხელოვნების მუზეუმს, შეიქმნება სამუზეუმო ქუჩა და სახელოვნებო უბანი. შენობა (გუდიაშვილის №20) GMT ჯგუფმა გადასცა ხელოვნების ნაციონალურ ცენტრს. "ხელოვნების ნაციონალურმა ცენტრმა" კი წარმოადგინა ცენტრის კონცეფცია, პრიორიტეტები და სამომავლო გეგმები.

**P.S.** უილიამ კელის "ჰიმნი" გუშინ უკვე ხელოვნების ნაციონალური ცენტრის ოფისის კედელს ამშვენებდა. კაკაბაძე-რთველიაშვილის დუეტი კი ჰუმანიზმის მანიფესტის კითხვას განაგრძობდა: "დევალვირებული ჰუმანისტური იდეალები ვერ პასუხობენ დროის გამოწვევას..."

# სანდენსი ახალ მაიკლ მურს შობს

A1 გვერდიდან

აქედან გამომდინარე, არც მაიკლ მურის საქმე მომკვდარა. მართალია, ამერიკული კინოს ოფიციალური რეალობიდან მური უბოდიშოდ გააძევეს, მაგრამ მის ფილმებში გაჟღერებულმა მთავარმა აზრმა "ოსკარების" მიღმაც მშვენივრად განაგრძო ცხოვრება.

ასპარეზი ამ აზრმა სანდენსზე პოვა. რობერტ რედფორდის პატრონაჟით ყოველი წლის იანვარში გამართულ ფესტივალზე, რომელიც დამოუკიდებელ კინოპროექტებს, მცირებიუჯეტიან ფილმებს მფარველობს და ჰოლივუდის ფაბრიკაში დამზადებული მსხვილბიუჯეტიანი ბლოკბასტერების საწინააღმდეგო რეალობას ასახავს.

სანდენში დიდი თოვლი იცის - ამიტომ ეს ადგილი ალტერნატიული აზრის მოყვარულებთან ერთად მოთხილამურეებსაც იზიდავს. პარკ სიტის კიდევ ერთი პლუსი აქვს. ის თითქმის ერთადერთი ქალაქია მთელ იუტას შტატში, სადაც ლუდი იყიდება.

მოკლედ, სანდენსი ჰოლივუდისა და იდეალიზებული ამერიკული ფასეულობების მარწუხებიდან გათავისუფლებაა. ამ სიმართლის თვალსაჩინოებისთვის მრავალი ოქროს მაგალითი არსებობს. მათ შორის 1989 წელი და ახალბედა სტივენ სოდერბერგი ფილმით "სექსი, ტყუილი და ვიდეოკასეტა". მშვენიერი მაგალითია ქუენტინ ტარანტინოც და მისი სარეჟისორო დებიუტი "რეზერვუარის ძაღლები". ფილმი ტარანტინომ არა მხოლოდ სანდენსზე უჩვენა პირველად, არამედ სანდენსის ინსტიტუტისგან მიღებული ფორმალური მითითებებითაც გადაიღო ის.

წელს კი სანდენსი საერთოდაც ახალი "ფარენჰეიტების" სამშობლოდ იქცა. გარდა იმისა, რომ მხატვრული ფილმების პროგრამა - ამერიკულიც და მსოფლიოც - ძალიან საინტერესო იყო, მთავარი ალტერნატიული აზრი მაინც დოკუმენტური სურათების კონკურსში გამოვლინდა.

ერთ-ერთი მთავარი თემა, მაიკლ მურის "ფარენჰეიტის" მსგავსად, ერაყი იყო - როგორც დოკუმენტური ფილმების სექციაში, ისე საერთაშორისო კინოკონკურსში.

მაგალითად, იუჯინ იარეცკის სურათი "რატომ ვიბრძვით", რომელშიც რეჟისორი იკვლევს ამერიკის სამხედრო, პოლიტიკური და ინდუსტრიული ინტერესების სფეროს, ამ ინტერესების მასშტაბებსა და გავლენას. კვლევის პროცესში კი იკვეთება აზრი, რომ ამერიკას ომის გარეშე არ შეუძლია; რომ ეს სისტემა მთლიანად ქრონიკული ომის საჭიროებაზეა აგებული...



*პარკ სიტი*



*რობერტ რედფორდი*

ალბათ, სწორედ ასე აზროვნების ბრალია, რომ კრიტიკოსები იარეცკის ფილმს მაიკლ მურის "ფარენჰეიტ 9/11"-ს ადარებენ. იარეცკი ამბობს:

"ჩვენს დროში მცხოვრებ ალბათ ყველა ხელოვანს უჩნდება ეს კითხვა: მაინც რატომ ვიბრძვით? რა იზიდავს ამერიკას ასე სულმოუთქმელად ომისკენ? მეც ამ თემით დავინტერესდი. თუმცა, გამოგიტყდებით, ჩემთვის უფრო მთავარი იყო კითხვის დასმა, ვიდრე პასუხის გაცემა".

ერაყის თემას აგრძელებს მსოფლიო დოკუმენტალისტიკის განყოფილებაში წარმოდგენილი ფილმიც "ბაღდადის გათავისუფლება". ბრიტანელი რეჟისორი შონ მაქკალისტერი რიგითი ერაყელების ცხოვრებას აღწერს ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ. ბრიტანელი რეჟისორი პიანისტის სამირ პიტერის ცხოვრების წარმოჩენით ქმნის ერაყულ რეალობას. ომი მუსიკის გავლით - ეს პრობლემისადმი მართლაც საინტერესო მიდგომაა.

მაქკალისტერი განმარტავს: "სამირი ერაყის ყველაზე ცნობილი პიანისტი იყო. კარგ დროში ის ყოველთვიურად 10 ათას დოლარს იღებდა. დღეს კი ღამეში რამდენიმე დოლარს უხდიან. ის სასტუმროს შენობაში, სარდაფის ნესტიან ოთახში ცხოვრობს".

ცხადია, სანდენსზე წარმოდგენილი ყველა ფილმი "ფარენჰეიტი" არ არის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ყველა ფილმი გამორჩეულია თემატიკით, რეალიზმით, სიმწვავით, იუმორით და, საერთოდ, ცხოვრების ხედვით. ალბათ, ამიტომაც ბოლო წლებში ერთი ტენდენცია ჩამოყალიბდა - სანდენსის დამოუკიდებელი და ალტერნატიული ფილმების ფესტივალი განათლებული საშუალო კლასის ამერიკელებისთვის ერთგვარ თავშესაფრადაც იქცა. იქ სიმართლეს ამბობენ, შოუს ყალბი ელემენტებით არ მეტყველებენ და სიტყვა "ალტერნატიულიც" ძალიან იზიდავთ.

უბრალოდ, ამ ალტერნატიულობის ფონზე ჩნდება კითხვა - პარკ სიტიში წარმოდგენილი კინორეალობა მიაღწევს თუ არა ოდესმე მასობრივ აუდიტორიამდე? ეს, რეჟისორ იარეცკისა არ იყოს, ისეთი კითხვაა, ამ ეტაპზე მისი დასმაც რომ საკმარისია, პასუხი კი - ჯერ მეორეხარისხოვანი. ჩვენც ვიკითხეთ, ისე, უბრალოდ.

*ნინია კაკაბაძის სვეტი*

# "ნაციანალიზმი" სამშობლოში



დღეს (და არა მხოლოდ დღეს) ამაღლებულ გუნებაზე ვარ - თურმე რა ცოტა და, ამავე დროს, ბევრი უნდა ადამიანს, რომ ბედნიერად იგრძნოს თავი. მახსოვს, როდესაც ასლან აბაშიძემ საქართველო დატოვა (ეს შუაღამისას, ჯერ ტელეფონით, შემდეგ კი ტელევიზიით შევიტყვე), სიხარული და ბედნიერების განცდა დამეუფლა. ბედნიერება ფართო ცნებაა; ბედნიერება შეიძლება მოგიტანოს ერთმა სიტყვამ, ერთმა მოქმედებამ, ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც ან მხოლოდ შენ, ერთ ადამიანს გიკავშირდება, ან ყველა ჩვენგანს (როდესაც ბედნიერების მოქმედების არეალი უფრო ფართოა). ეს უკანასკნელი - აჭარის გათავისუფლების აქტი - უფრო პატრიოტულ-ეროვნული იყო, მიხაროდა მე და უხაროდა ყველას: მშვიდობიანი გზით კიდევ ერთ ბოროტებას მოეღო ბოლო. რა ხდება დღეს და რა მდგომარეობაა აჭარაში, ეს მომავლის თემაა და ოდესმე აუცილებლად ვისაუბრებთ. დღეს კი არ მინდა, ჩემი საზეიმო განწყობა, რომელიც აგერ უკვე რამდენიმე დღეა გრძელდება, არასასიამოვნო ასოციაციებით დავტვირთო. ამიტომ, რადგან დღეს პოზიტიური ენერგია ჭარბობს, სვეტიც მსუბუქი და ჰაეროვანი იქნება.

ისევე როგორც ვარდების რევოლუციის დღე (23 ნოემბერი), აჭარის გათავისუფლების დღე (6 მაისი) და ეს უკანასკნელი დღეებიც უხარია მთელ საქართველოს და მიხარია მეც. რამდენიმე დღეა ბედნიერების ამ უცნაურ გრძნობას თან დავატარებ და სულ მინდა, სხვასაც გავუზიარო. მაგრამ ვიდრე მე ჩავატარებ გაზიარების ამ საუცხოო რიტუალს, შემხვედრი მასწრებს და ერთად, ამაღლებული გრძნობით ვსაუბრობთ დიად მომავალზე. რა კარგია, კიდევ ერთი ქართული გენია ცოცხლობს და ის ჩვენთან არის. როდესაც საქართველოს პრეზიდენტს ჰკითხეს - რომელ ქართველ მუსიკოსებს უსმენ და მოგწონსო, მან რამდენიმე თვალსაჩინო "მარგალიტი" ჩამოთვალა: ლელა წურწუმია, დათო გომართელი, აჩი მეფარიძე და სხვა. აჩის ის ვიდეორგოლიც გაიხსენა, ჰოლანდიაში რომ არის გადაღებული. მე ამაყი ვარ, როდესაც ამ ქართულ "შედევრს" სახელმწიფოს პირველი პირიც აფასებს - როგორი ოსტატობა, მოქმედი გმირების ხატოვანი სახეები, ფაბულა, რომელიც თავისი შიდა არსით ისეთ მარადიულ თემებზე გვესაუბრება, როგორიც სიყვარულია - სიყვარულის გამარჯვება თავად ჰოლანდიურ ნარკოტიკებზეც კი - და, რაც ყველაზე მთავარია, აჩი მეფარიძის დაუვიწყარი მელოდია და "ნარნარი ხმა".

ყველაფერი არაჩვეულებრივია. კიდევ რამდენიმე მარგალიტი არსებობს ქართულ მუსიკალურ სივრცეში, მაგრამ, როგორც ეტყობა, პრეზიდენტს სიჩქარეში გამორჩა. არის კიდევ რამდენიმე, მაგრამ მათი რიცხვი მაინც არ არის შთამბეჭდავი, მაინც ცოტაა ისეთი ნიჭიერი ერისათვის, როგორიც საქართველოა. მაგრამ, განა ტყუილად ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა?! კონკრეტულად რომელი მონაწილეობდა ამ საქმეში, არ ვიცი; მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ ღმერთმა კიდევ ერთი გენია გამოგვიგზავნა. მტრები გვაშინებდნენ, გვეუბნებოდნენ, არ ჩამოვაო, ნაწყენიაო, აქეთ გამოხედვა არ უნდაო, მაგრამ სიკეთემ ისევ სძლია ბოროტებას, რადგან არსება მისი გრძელია. როდესაც ეს ინფორმაცია მოვისმინე (არ ჩამოვაო, რომ ამბობდნენ), ვიფიქრე, ისიც ჩვენნაირად წუხს, გული შესტკივა და ამიტომაც გვესაუბრება ცრემლმორეული თვალებითა და აკანკალებული ხმით. განა სირცხვილი არ არის, ტელეარხმა, რომელსაც "იმედი" ჰქვია, ადამიანებს ბოლო იმედი მოუკლა და სრულ სასოწარკვეთაში დატოვო?! მაგრამ ბიზნესი ბიზნესია, დაანონსებული თემა "ის აქ აღარ დაბრუნდება" მაყურებელს მეტხანს გააჩერებს ეკრანთან და რეიტინგიც აიწევა. ამის საფასურად ადამიანები ყველაფერს სჩადიან, სხვის უბედურებაზე საკუთარ ბედნიერებას თუ კარიერას აგებენ.

მაგრამ, ამის მიუხედავად, **იბერია მაინც გაბრწყინდა, ის ჩვენთან იყო, არის და იქნება.** და რა არის ჩემი ბედნიერების საბაბი - ირაკლი ფირცხალავა ისევ საქართველოშია და მარტში მოსკოველი ქართველი, აგერ, ჩვენთან ერთად, ჩვენს ქუჩებში გაზრდილი ყმაწვილი გვიმღერებს: ლოონდოონ, პარიიჟ... და ჩვენ მასთან ერთად თავს ისე ვიგრძნობთ, როგორც ნამდვილი ლონდონელები თუ პარიზელები.

იმედი მაქვს, ჩემს ბედნიერებას საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იზიარებს. ამას კი ყველა იმ ჟურნალს, რადიოს თუ ტელეარხს უნდა ვუმადლოდეთ, რომელთაც ნამდვილი ირაკლის მოსმენის საშუალება მოგვცეს და ის ქართულ სინამდვილეში ქართულად ამეტყველებული დაგვანახეს. ტონი ისევე აღმატებული იყო, როგორც მაშინ, როდესაც მის ჩამოუსვლელობაზე გვატყობინებდნენ. "თქვენ საქართველოში ხართ, არ გეშინიათ?" ეკითხებოდა ერთი. "არა", - პასუხობდა ის. "მე განსაკუთრებული "ატვეტსვენასტით" ვეკიდები კონცერტს საქართველოში", "არ გეგონოთ, მე რომელიმეზე ნაკლები "ნაციანალისტი ვარ, მე მიყვარს ჩემი სამშობლო". ასეთი სულისკვეთების იყო ირაკლის ინტერვიუები ყველა არხზე, ყველა გაზეთში და ყველა ჟურნალში. იგი ყურადღების გარეშე თითქმის არავის დარჩენია. სწორედ მაშინ მივხვდი, თურმე რა ცოტა უნდა ადამიანს იმისთვის, რომ საქმე იშოვოს, გაიხაროს და ბედნიერად იგრძნოს თავი. საქართველო დიდი კულტურის მემკვიდრეა, ისტორიას ბევრი ამდიდრებს, ზოგი ისტორიის და აღიარების გარეშე ხვდება და არა იმიტომ, რომ ირაკლი ფირცხალავასნაირი ხელოვანები მათ სახელს თუ საქმიანობას ჩრდილავენ, არამედ იმიტომ, რომ მათ შესახებ "მედიატორებმა" არ იცოდნენ, არ იციან და ალბათ ვერც გაიგებენ. მედიატორები კი შუამავლები უნდა იყვნენ, თუნდაც ხელოვან ადამიანებსა და ხალხს შორის და მათი საქმიანობაც არა მხოლოდ ინფორმაციული, არამედ საგანმანათლებლოც უნდა იყოს.

ხშირად გამიგონია, როგორი ქვეყანაც ვართ, ისეთ მთავრობას ვიმსახურებთ, რა ხალხიც ვართ, ის კულტურაც გვაქვს და ის ხელოვნებაცო. ჰოდა, ამ შემთხვევაში ზუსტად ეს უკანასკნელი გამონათქვამები მინდა ამ კონკრეტული არგუმენტით გავამართლო. თუ უკანასკნელი კვირა ქართულ სახელოვნებო სივრცეში მხოლოდ ირაკლი ფირცხალავას "დაბრუნებით" იყო ღირსშესანიშნავი და მთელი კვირის მანძილზე კულტურის სიახლეები მხოლოდ მისი მომავალი კონცერტის და კონცერტამდე განვლილი გზის აღწერა იყო, ე.ი. ჩვენც ეს გვაინტერესებს და ამას ვიმსახურებთ. ეს ჩვენი "ნაციანალნი" კულტურის საუკეთესო მაჩვენებელია.

ფეხბურთი

# "დინამოს" პირველი კვიპროსული გამარჯვება

მიხეილ აბაიშვილი

კვიპროსზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ მეოთხე საკონტროლო სპარინგმატჩი გამართა. ლიმასოლში ის შეხვდა ადგილობრივ "აელს". ამ გუნდის სახელი თითქმის არაფერს ეუბნება ქართველ გულშემატკივარს. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ახლა მას სათავეში უდგას წარსულში ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი ოლეგ პროტასოვი.

როგორც იქნა, "დინამომ" ნავსი გატეხა და გაიმარჯვა. თუმცა, შეხვედრის მსვლელობაში მარცხდებოდა.

**აელი - დინამო 1:2 (0:1)**

**დინამო: მამალაძე, შაშიაშვილი, სალუქვაძე, ჭიჭვეიშვილი, კვირკველია, კანკავა, კანდელაკი, ნემსაძე, კაკალაძე, მელქაძე, რომერო (ბაბუნაშვილი, 65`). მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე.**

**"დინამომ" 4-3-3 ტაქტიკური განლაგებით ითამაშა.**

პირველ სამ ტესტმატჩში "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა არაერთ ექსპერიმენტს მიმართა, რაც, უპირველესად, შემადგენლობის როტაციაში - ბევრი ფეხბურთელის შეცვლაში გამოიხატა. იმ მატჩებიდან ორში "დინამო" დამარცხდა, ერთი თამაში კი ფრედ დაასრულა. ამ შედეგებს გეგუჩაძის უკმაყოფილება არ გამოუწვევია. თქვა კიდეც, რომ ამ ეტაპზე შედეგს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. როგორც ჩანს, გუშინდლიდან მოყოლებული, "დინამოს" თავკაცი შედეგსაც დაუთმობს ყურადღებას, რაზეც თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ასეთი ტიპის თამაშისთვის მან მინიმალური, მხოლოდ ერთი შეცვლა განახორციელა. თანაც, თუ "დინამოს" შემადგენლობას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მაქსიმალურად საბრძოლო და დღეისთვის საუკეთესოა.

საქმისადმი ასეთმა მიდგომამ სათანადო შედეგი გამოიღო. მატჩის პირველივე წუთებიდან სტუმრები დაეუფლნენ საგრძნობ უპირატესობას. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს (მათი იშვიათი კონტრშეტევა 25-ე წუთზე გუტუს გოლით დასრულდა), ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ მატჩი "დინამოს" გამარჯვებით დასრულდებოდა. თუმცა, მასპინძლებმა იმდენი მოახერხეს, რომ პირველ ტაიმში "დინამოს" გამუდმებული იერიშები მოიგერიეს.

მეორე ტაიმში ნათლად გამოჩნდა, რომ ფიზიკური თვალსაზრისითაც "დინამო" მეტოქეზე უკეთ არის მომზადებული, მიუხედავად იმისა, რომ კვიპროსში ჩემპიონატი ახლაც მიმდინარეობს, ხოლო გეგუჩაძის გუნდი სულ ერთი კვირაა, რაც სერიოზულად ემზადება. მატჩის მეორე ნახევრის დებიუტშივე, კერძოდ, 48-ე წუთზე, კვირკველიას მოზომილ პასს ჭიჭვეიშვილი გამოეხმაურა და თავური დარტყმით ანგარიში გაათანაბრა. ათი წუთის შემდეგ მელქაძემ მასპინძელთა საჯარიმო მოედნის მისადგომებთან მიიღო ბურთი, მეორე შეხებით კი გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. ამის შემდეგაც "დინამოს" არაერთხელ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ფორტუნამ დაინდო მასპინძლები და მატჩი სტუმართა მინიმალური უპირატესობით დასრულდა.

ოლეგ პროტასოვი: "როდესაც პოსტსაბჭოური სივრცის გუნდებს ვეთამაშებით, ძალიან მსიამოვნებს, ჩემიანებად მიმაჩნია. ეს ასმაგად ეხება თბილისის "დინამოს", რომლის მიმართაც ყველა უკრაინელს განსაკუთრებით თბილი გრძნობები აქვს. ასეთი დონის გუნდთან თამაში სასარგებლოა ჩემი ფეხბურთელებისთვის, რომლებსაც იშვიათად უწევთ მაღალი კლასის მეტოქეებთან დაპირისპირება. თანამედროვე "დინამო" ძალიან მომეწონა. თქვენმა გუნდმა ტაქტიკურად გამართული, ტექნიკური ფეხბურთი ითამაშა."

ხვალ "დინამო" დასკვნით ტესტმატჩს გამართავს. მისი მეტოქე იქნება რუმინეთის უმაღლესი დივიზიონის გუნდი "არჯეშ რომანია".

# "ინტერი" მტკიცედ დგას, ადრიანო კი მერყეობს

ნინო ტიკარაძე

*უკვე რამდენიმე ხანია, მილანის "ინტერის" ბრაზილიელი ფეხბურთელის ადრიანოს მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ ისეთი ძლიერი კლუბები, როგორიც ლონდონის "ჩელსი" და მადრიდის "რეალია". ესპანური მასობრივი საინფორმაციო წყაროები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ ფეხბურთელის სიმპათიები უფრო ესპანური გუნდისკენ იხრება, თავად ფორვარდს კი ჯერჯერობით არც ერთ სხვა კლუბში თამაში არ უნდა, თუმცა, არც "ინტერი" აპირებს მის გაშვებას.*

ესპანური და ინგლისური კლუბების დაინტერესება მტკივნეულად ნამდვილად არ აღიქვა მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობამ, მაგრამ აურზაური მას შემდეგ ატყდა, რაც თავად ფეხბურთელმა ესპანურ გადაცემაში 'El Dia Despues' განაცხადა, რომ მომავალში სიამოვნებით ითამაშებდა მადრიდის "რეალში": "ამ ეტაპზე მცირე შანსი არსებობს იმისა, რომ ესპანეთში გადმოვიდე, რადგან, ვფიქრობ, რომ "ინტერისთვის" მნიშვნელოვანი ფეხურთელი ვარ. მინდა, კარიერა აქ გავაგრძელო და "ინტერის" შემადგენლობაში რომელიმე ტურნირი მოვიგო. შეიძლება მომავალში "რეალშიც" ვითამაშო. კარს ვერავის დავუკეტავ. ვიცი, რომ პერესი ჩემით დაინტერესებულია. ეს ყურადღება ძალიან მსიამოვნებს. "რეალის" პრეზიდენტი მუდამ თვალს ადევნებს ჩემს თამაშს. იმედი მაქვს, მომავალში ჩემი და მისი ოცნება ახდება."

ფეხბურთელის განცხადებიდან ნათლად ჩანს, რომ მას "ინტერიდან" წასვლა არ უნდა. მისი სიმპათია "რეალის" მიმართ კონკრეტულს არაფერს ნიშნავს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ესპანურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ფეხბურთელმა სამეფო გუნდთან კონტრაქტს უკვე მოაწერა ხელი. ასეთი ჭორის (მოდი, მას ჭორის დავარქვათ!) შემდეგ ადრიანო იძულებული გახდა, არათუ თავი დაეცვა, არამედ თავის მართლებაც დაეწყო: "არც მე და არც ჩემს აგენტებს სხვა კლუბებთან საქმიანი საუბარი არ გაგვიმართავს. მით უმეტეს, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ, მაგალითად, "რეალთან" კონტრაქტი გავაფორმე. მე "ინტერს" ვეკუთვნი და ბედნიერი ვარ, რომ ამ კლუბში ვთამაშობ. ჯერჯერობით აქ დავრჩები. მომავალ თვეს ესპანეთში მივდივარ, მაგრამ ჩემი ვიზიტის ერთადერთი მიზეზი მეგობრის ქორწილია".

ამ განცხადებების შემდეგ, ინგლისურმა ბულვარულმა პრესამ გადაწყვიტა, ესპანური კლუბისთვის კონკურენცია გაეწია და ხმა გაავრცელა, "ჩელსის" მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ადრიანოსთვის 50 მილიონი გირვანქა სტერლინგის გადახდას აპირებსო. მართალია, თავად მწვრთნელმა ბრაზილიელის მიმართ აღფრთოვანება ვერ დამალა, თუმცა, ზემოხსენებულ თანხაზე არაფერი უთქვამს (როგორც ჩანს, ესეც ჟურნალისტების მორიგი ხრიკი იყო!): "ადრიანო რამდენიმე წლის წინათ ტულონის ტურნირზე ვნახე. მისი სახელიც მაშინვე ჩამრჩა გონებაში... საოცარია მისი ტექნიკური მომზადება, ზეადამიანური ფიზიკური სიძლიერე. ცოტა დრო გავა და ადრიანო მსოფლიო ფეხბურთის უდიდესი თავდამსხმელი იქნება."

საკუთარი ფეხბურთელის ირგვლივ ატეხილმა ასეთმა ხმაურმა გააღიზიანა მილანის "ინტერის" ხელმძღვანელობა. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა პრეზიდენტ ფრაჩეტის განცხადება სათაურით "ადრიანო არსად არ მიდის": "ესპანურ პრესაში გახშირდა ადრიანოს შესახებ საუბარი. მერწმუნეთ, მათში სიმართლის ნატამალს ვერ იპოვით. ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში თავად დაადასტურა, რომ მას "ინტერში" დარჩენა სურს, რომ თავისი მაისურა მოსწონს და კარგი ურთიერთობა აქვს გულშემატკივრებთან. ვერ გეტყვით, კარიერის დასასრულს, ათი წლის შემდეგ მოუნდება თუ არა მას ახალ გუნდში თამაში, მაგრამ ახლა ადრიანოს "ინტერთან" ერთად მოგება და ჩვენს კლუბში თამაში კიდევ დიდი ხნით გადაუწყვეტია. ამას გარდა, აუცილებლად უნდა ვაღიარო, რომ ესპანურმა პრესამ, ცოტა არ იყოს, თავი მომაბეზრა. ველაპარაკე თუ არა ფლორენტიო პერესს? დიახ, ველაპარაკე, შობის წინა დღეებში. მან ადრიანოსთან დაკავშირებით იხუმრა კიდეც, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ მივანიჭე."

მოკლედ, ადრიანომ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია ფეხბურთის სამყაროში. ბრძოლა სერიოზულია, თუმცა, გამარჯვებულის ვინაობაც არ უნდა იყოს ძნელი გამოსაცნობი.

# გულახდილი საუბარი ლუიშ ფიგუსთან

*მადრიდის "რეალის" პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ ვრცელი ინტერვიუ მისცა გაზეთ Marca-ს, რომელშიც მან პრაქტიკულად ყველა თემაზე ისაუბრა. თუმცა, მთავარი თემა მაინც "რეალთან" მისი კონტრაქტი იყო, რომელიც 2006 წლის ზაფხულში იწურება და რომლის გაგრძელებაც თავად ფეხბურთელს ძალიან უნდა. ამ ინტერვიუს წაკითხვისას თქვენ ბევრად უფრო ახლოს გაიცნობთ ლუიშ ფიგუს.*

**- კარიერას მადრიდის "რეალში" დაასრულებ?**

- არ ვიცი. აქ მანამდე მინდა თამაში, სანამ "რეალში" სურთ ჩემი ხილვა. მომავალის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. სანამ გუნდისთვის სასარგებლო ვიქნები, აქ ვითამაშებ. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერ გადაწყვეტილებას ლოგიკური ახსნა ექნება.

**- კლუბთან კონტრაქტის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ალბათ მხოლოდ მის სპორტულ მხარეს არ მიაქცევ ყურადღებას. შენ და შენი ოჯახი ხომ ძალიან ბედნიერად გრძნობთ თავს მადრიდში...**

- მინდა, რომ ფეხბურთის თამაში აქ გავაგრძელო. თუ ხალხი ჩემით კმაყოფილია, ესე იგი, სასარგებლო ვარ, ესე იგი, აქ დავრჩები. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი ადამიანის გადასაწყვეტი არ არის. მე კარგად ვიცი, რა არის ფეხბურთი, როგორია ის. როდესაც შენ სარგებლობა მოგაქვს, ცხადია, კონტრაქტს გაგიგრძელებენ, თუ არა და, გუნდის მიტოვება მოგიწევს.

**- როგორ ფიქრობ, ახლა კლუბი გაკვირდება და ელოდება, თუ სადამდე დაეშვება ლუიშ ფიგუ?**

- არ ვიცი. მე მხოლოდ საკუთარ თავზე ვაგებ პასუხს. ერთადერთი, რასაც ვითხოვ, ის არის, რომ გამაგებინონ, რას აპირებენ. ყოველთვის მხოლოდ ამას მოვითხოვდი. მეტს არაფერს. მესმის, რომ უნდა დაველოდო, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე, რას მიპირებენ. ეს იმისთვის მინდა, რომ მომავლის გარკვევის შემთხვევაში უფრო მშვიდად ვიგრძნო თავი. თუ მათი გეგმები მეცოდინება, თუ ისინი ჩემთან დამშვიდობებას გადაწყვეტენ, მაშინ მე მეტი საშუალება მექნება, ალტერნატივა ვიპოვო. მაგრამ ახლა მსგავსზე არაფერზე ვფიქრობ. ამაზე მხოლოდ მაშინ დავიწყებ ფიქრს, როდესაც კლუბი გადაწყვეტილებას მიიღებს.

**- ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს განაცხადე, რომ გინდოდა, 2004 წლის ბოლომდე გაგეგო კლუბის აზრი შენი მომავლის შესახებ.**

- მე არასოდეს არაფერი მომითხოვია. მხოლოდ ის მინდა, რომ კლუბმა რამე მითხრას. ვითხოვ, რომ სამართლიანები იყვნენ, რადგან მე ყოველთვის ასე ვიქცეოდი. თუ კლუბი ჩემს სამსახურზე უარს იტყვის, ამით არაფერი შეიცვლება. ცხოვრება გაგრძელდება. თუმცა, უამრავი სხვა თემაა, რომელზეც გვმართებს ფიქრი. მართალი გითხრათ, კონტრაქტის საკითხზე ჯერ ძალიან არ ვღელავ.

**- პრეზიდენტს ესაუბრე?**

- გუნდში არიან მოთამაშეები, რომლებიც მსგავს ან უარეს დღეში არიან, რადგან მათი კონტრაქტები ჩემსაზე ადრე იწურება. აქვე მინდა ვთქვა, რომ არავისზე ზეწოლას არ ვაპირებ. ვიცი, რომ კლუბს ამაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვს გადასაწყვეტი.

**- მათ ადგილზე რომ იყო, სოლარის გაუგრძელებდი კონტრაქტს?**

- რასაკვირველია.

**- სოლარი "ბარსელონას" მაისურაში წარმოგიდგენია?**

- ის ძალიან კარგად შეეწყო ამ კლუბს და ამ ქალაქს, მაგრამ ფეხბურთში ძნელია იწინასწარმეტყველო, რა მოხდება მომავალში. თუ ის გუნდიდან წავა, ეს დიდი დანაკარგი იქნება. კლუბს დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა სოლარის მსგავსი ფეხბურთელი იპოვოს.

**- ფიგუ პირველი ფეხბურთელი იყო, რომელიც ფლორენტინო პერესმა მოიყვანა გუნდში. 2000 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, შენ მუდამ იბრძოდი მადრიდის "რეალის" ღირსებისთვის. თუ კონტრაქტს არ გაგიგრძელებენ, გული დაგწყდება და კლუბზე განაწყენდები?**

- არა. მე კარგად ვიცი, როგორია საფეხბურთო სამყარო. ადრე თუ გვიან დგება დრო, როცა შენ სასარგებლო აღარ ხარ, შენი სამსახური აღარავის სჭირდება. ეს ფეხბურთის კანონია. მე არ გავბრაზდები. მხოლოდ ის მინდა, რომ პატიოსნად მომექცნენ, რადგან ვიცი, რომ ფეხბურთის სამყაროში პატიოსნება იშვიათობაა. მე მუდამ დავიცავ ამ კლუბის ღირსებას.

**- ხუთი წელი "ბარსელონაში" და ხუთი "რეალში". შვიდი ტიტული "ბარსელონას" შემადგენლობაში და შვიდი "რეალში". შენი კარიერის რომელი ეტაპი გაგახსენდება ყველაზე კარგად?**

- გამარჯვებებს ბედნიერება მოაქვს. მე ვმუშაობ იმისთვის, რათა მოვიგო, ესე იგი, ბედნიერი ვიყო. რომ გითხრათ, "ბარსელონაში" ბედნიერი არ ვიყავი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. პირიქით. იქ მე ცხოვრების უმშვენიერესი წლები გავატარე. ესპანეთში ძალიან ახალგაზრდა ჩავედი და სწორედ "ბარსელონაში" გავიგე გამარჯვების გემო. მადრიდის "რეალში" კი იმისთვის მოვედი, რომ უფრო მეტი ტიტული მომეგო, უფრო დიდი სახელი მომეპოვებინა. მგონი, მივაღწიე. მე ბედნიერი და ამაყი ვარ ჩემი ამ ნაბიჯის გამო. აქ გადმოსვლა სწორი გადაწყვეტილება იყო. აქ გატარებული ხუთი წელი ფანტასტიკური იყო. მადრიდის "რეალმა" საშუალება მომცა, უდიდესი ავტორიტეტი მომეპოვებინა მთელ მსოფლიოში. მე ბედნიერი ვიყავი და ვარ ორივე კლუბში, რადგან მათ გამარჯვების საშუალება მომცეს.

**- რა სჭირდა "რეალს" ამ სეზონში? რამდენად დამნაშავეა ყველაფერ ამაში კამაჩო?**

- არ ვიცი. არა მგონია, რომ ეს მისი ბრალია. მან დაიწყო ეს სეზონი და შემდეგ წასვლა გადაწყვიტა. მიზეზები მან უნდა ახსნას და არა მე.

**- გუნდი უკმაყოფილო იყო მისი ამ გადაწყვეტილებით, არა? შენი ზოგიერთი პარტნიორის თქმით, მწვრთნელმა ზურგი გაქციათ და ბედის ანაბარა დაგტოვათ...**

- არავინ იცოდა, რა მოხდა. არავის ესმოდა, თუ რატომ წავიდა მწვრთნელი. კამაჩოს წასვლაში ხალხი ჩვენ გვადანაშაულებდა.

**- ხომ არ მიგაჩნია, რომ პრესა უსამართლო იყო, რომ მან ფეხბურთელები და გულშემატკივრები ერთმანეთს დაუპირისპირა?**

- გულშემატკივართა დიდი ნაწილის აზრი საგაზეთო პუბლიკაციებით ყალიბდება, ხოლო ეს პუბლიკაციები ზოგჯერ უსამართლოა.

**- გარსია რემონის გათავისუფლებას ელოდით?**

- არა. ამ ფაქტმა ძალიან გამაკვირვა. სწორედ ამ დროს შვებულებიდან ვბრუნდებოდი და გუნდში უამრავი ცვლილება დამხვდა. თუმცა, წარუმატებლობის შემთხვევაში მწვრთნელის შეცვლა ნორმალური მოვლენაა.

**- არ ფიქრობ, რომ კეირუშს უსამართლოდ მოექცნენ?**

- კეირუში ჩემთვის ისევ შესანიშნავი მწვრთნელია. მისი გათავისუფლება უსამართლობა იყო, რადგან შესანიშნავად ჩაატარა პირველი რვა თვე და ყველაფერი გააკეთა, რათა ამ გუნდთან ერთად ტრიუმფისთვის მიეღწია.

**- გრავესენი სწორედ ის საყრდენი ნახევარმცველია, რომელსაც ასე ძალიან მოითხოვდნენ კრიტიკოსები და გულშემატკივრები...**

- კი, მაგრამ მის შესახებ ვერაფერს გეტყვით. მე მხოლოდ ვარჯიში და თამაში მევალება და არა ლაპარაკი. ფეხბურთს არც ისე ხშირად ვუყურებ, გრავესენს კი აქამდე კარგად არ ვიცნობდი.

**- გრავესენი მოვიდა. ვინ ამოვარდება შემადგენლობიდან?**

- არ ვიცი. ეს მწვრთნელს უნდა ჰკითხოთ.

**- ბევრი გუტიზე მიუთითებს...**

- გუტი ბრწყინვალე სეზონს ატარებს, თუმცა, საბოლოოდ ყველაფერი მაინც მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**- ჩემპიონობის შანსი კიდევ დაგრჩათ?**

- ცხადია. მანამ, სანამ თეორიული შანსი მაინც გვაქვს, ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. მადრიდის "რეალს" ვერასოდეს ვერ ჩამოწერ.

**- არადა, ზოგი ამბობს, რომ თქვენ უკვე ამოწურეთ საკუთარი შესაძლებლობები...**

- არა. უბრალოდ, გაზეთებმა რაღაც ხომ უნდა დაწერონ, რომ გაიყიდონ.

**- როგორ შეეგუა გუნდი ლუშემბურგოს ახალ მეთოდებს?**

- პირადად მე ყველაფერი ნორმალურად აღვიქვი. ფულს იმიტომ გვიხდიან, რომ ვიმუშაოთ.

**- როდესაც დღეში ორჯერ ვარჯიშობთ, რას აკეთებთ ვარჯიშებს შორის დარჩენილ თავისუფალ დროს?**

- არაფერს... ერთმანეთში ვსაუბრობთ, ან კიდევ ჩვენს ოთახებში განვმარტოვდებით ხოლმე. ზოგი იძინებს. ცხადია, უკეთესი იქნებოდა, რომ ამ დროს საკუთარ სახლებში ვიყოთ, მაგრამ...

**- მალე "იუვენტუსთან" მოგიწევთ შეხვედრა. იტალიელები ფავორიტები იქნებიან?**

- არა. მადრიდის "რეალი" ყოველთვის ფავორიტია, თუმცა, ასეთი დიდი კლუბების დაპირისპირებისას ძნელია ფავორიტის დასახელება. "რეალი" მუდამ მოსაგებად გადის მოედანზე.

**- თუ "დელე ალპიზე" თქვენს სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა, ისევ შენ დაარტყამ?**

- კი, რატომაც არა? პენალტს მხოლოდ ის აფუჭებს, ვინც მას ურტყამს. ხოლო თუ კონკრეტულ შემთხვევაში საკუთარი ძალების რწმენა არ მექნება, არ დავარტყამ.

**- იმ უცხოელ ფეხბურთელებს შორის, რომელთაც "რეალის" შემადგენლობაში ყველაზე მეტი მატჩი აქვთ ჩატარებული, შენ მერვე პოზიციას იკავებ. ისეთი პირი უჩანს, რომ მალე მეოთხე ადგილზე გადაინაცვლებ.**

- ცუდი არ არის. მე ამ კლუბის ისტორიის ნაწილი ვარ და ეს სასიამოვნოა.

**- რას ფიქრობ, როდესაც მარადონას ხედავ?**

- როდესაც ფეხბურთის თამაშს ვიწყებდი, მარადონა ჩემი კერპი იყო. მირჩევნია, რომ მასზე კარგი მოგონებები შევინარჩუნო. არ ვიცი, რა ბედი ეწევა მას, მაგრამ უკანასკნელი ინფორმაციები არცთუ ისე სასიამოვნოა. იმ ცხოვრებიდან თავის დაღწევა, რომელიც მარადონამ აირჩია, ძალიან ძნელია.

**- პორტუგალიის ნაკრებთან გამოთხოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდა?**

- ძალიან. იქ მე 15 არაჩვეულებრივი წელი გავატარე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ძალიან ბევრს ვფიქრობდი და ჩავთვალე, რომ ნაკრებში უკვე ამოვწურე თავი.

**- ტიროდი, როდესაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდი?**

- არ მიტირია, მაგრამ ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. თუმცა, ევროპის ჩემპიონატმა მხოლოდ საუკეთესო მოგონებები დამიტოვა, რადგან ჩვენ ხალხი გავაბედნიერეთ. უაღრესად ემოციური იყო იმის შეგრძნება, რომ მთელი ქვეყანა შენს გვერდით დგას.

**- მომავალში საკუთარ თავს მწვრთნელის ამპლუაში ხედავ?**

- არა. თუმცა, ზუსტად არ ვიცი.

**- როდესაც კარიერას დაასრულებ, სად იცხოვრებ?**

- ალბათ, თვითმფრინავში, რომელიც პორტუგალიასა და ესპანეთს შორის დაფრინავს.

**- მაგრამ შენს ცოლს მადრიდში უნდა ცხოვრება...**

- რა გასაკვირია... ხომ იცით, რომ ყველაფერს ქალები განაგებენ.

**- გასაგებია. შენს ოჯახში ხომ უკვე ოთხი ქალბატონია...**

- ჩემი აზრი სახლში აღარავის აინტერესებს, სიტყვასაც ვერ ჩავაგდებ. ვხუმრობ. იმედი მაქვს, ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში იზრუნებენ ჩემზე.

**- ბოლოს და ბოლოს, როდის გეყოლება ვაჟი?**

- სანამ პირველი შვილი შემეძინებოდა, ბიჭი მინდოდა. ხომ იცით ტრადიციული ისტორია - მამა ფეხბურთს ეთამაშება შვილს. მაგრამ მე სამი ქალიშვილი მყავს და ძალიან ბედნიერი ვარ. არა მგონია, რომ ოდესმე ბიჭი მეყოლება. თანაც, იმის გამო, რომ კარგად ვიცნობ ფეხბურთის სამყაროს, დიდად არც მინდა, რომ ჩემმა შვილმა სპორტის ამ სახეობას მიუძღვნას თავი.

**- ნუთუ მართლა ასეთი ბოროტია საფეხბურთო სამყარო?**

- თუ სიმართლე გინდათ, კი.

**- კმაყოფილი ხარ იმით, რასაც ცხოვრებაში მიაღწიე?**

- დიახ, მაგრამ ამ ცხოვრებაში ჩემთვის არავის არაფერი უჩუქებია. ბევრი ვიმუშავე ყველაფერ ამის მისაღწევად.

**- სახლში რას საქმიანობ?**

- პირად საკითხებზე გადავდივართ? გაზქურასთან არ ვდგავარ, მაგრამ, თუ საჭირო იქნება, რამეს მოვამზადებ.

**- ტორტილიოს** *(ესპანური ნაციონალური კერძია.-რედ.)***?**

- ო, არა. ცხოვრებას ნუ მირთულებთ. მაკარონი, ხორცი... შიმშილით არ მოვკვდები.

**- ღვინო?**

- ნელ-ნელა ვსწავლობ ღვინის გარჩევას. მომწონს ესპანური და პორტუგალიური ღვინო.

**- რისი კითხვა გიყვარს?**

- წიგნების და რომელიმე გაზეთის, ზოგადი ინფორმაციებით. კიდევ რომელიმე სპორტული გაზეთის, რომელსაც გასახდელიდან გამოვაყოლებ ხოლმე ხელს.

**- სპორტული პრესა გაღიზიანებს?**

- ადრე ძალიან მაღიზიანებდა, მაგრამ ახლა უკვე არა.

**- რა იფიქრე, როდესაც აზიაში მომხდარი ტრაგედიის ამსახველი კადრები ნახე?**

- ეს საშინელება იყო. ჩვენ იქ არ ვყოფილვართ, თუმცა, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა დაზარალებულებს დავეხმაროთ.

**- ითამაშებ საქველმოქმედო მატჩში, რომელიც "ნოუ კამპზე" გაიმართება?**

- სჯობს, იქ არ ჩავიდე, რათა თამაში არ გავაფუჭო.



ინფოთეკა

## რაიკონენს მაკლარენი ახარებს

"მაკლარენ-მერსედესის" ახალი ბოლიდის - MP4-20 პირველი ტესტებით კმაყოფილია საჯინიბოს ფინელი მრბოლი კიმი რაიკონენი. მაკლარენელები კი იმით არიან კმაყოფილნი, რომ 2005 წლის სეზონისთვის შემზადებულმა ბოლიდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა მათ პილოტზე. თანაგუნდელის დადებითმა შეფასებამ არც კოლუმბიელი ხუან პაბლო-მონტოია დატოვა უკმაყოფილო.

"ჯერ ნაადრევია რაიმე კონკრეტულზე ლაპარაკი. ახლა მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ახალი მანქანა მომეწონა, -შთაბეჭდილებებს გვიზიარებს რაიკონენი. - პირველ ტესტებზე რიგი ცვლილებები განვახორციელეთ. წრეზე რბოლის შედეგი კი დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება. როგორც წესი, პირველ ორ დღეს წარმოქმნილი პატარ-პატარა პრობლემების აღმოფხვრაზე ვხარჯავთ, მერე კი მანქანის სისწრაფეზე ვამახვილებთ ყურადღებას".

რაც შეეხება ფინელის თანამშრომლობას მონტოიასთან, ირკვევა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა: "ვფიქრობ, ერთმანეთს გავუგებთ. ვნახოთ, ჩვენ შორის ვინ უფრო სწრაფი აღმოჩნდება. დარწმუნებული ვარ, საინტერესო დუელი გვექნება."

## გოლფმა, მეც მინდაო...

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტს ვიტალი სმირნოვს მიაჩნია, რომ გოლფს შესწევს უნარი, გახდეს ოლიმპიური სახეობა.

"ეჭვი არ მეპარება, რომ წლეულს, ივლისში, სინგაპურში, სოკ-ის სესიაზე, გოლფს ოლიმპიურ პროგრამაში ჩართავენ. სმირნოვის აზრით, გოლფი, შესაძლოა, უკვე 2012 წლის ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილი გახდეს. სმირნოვისვე თქმით, ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის სახეობათა რაოდენობა უცვლელი დარჩება. თუმცა, განმარტა, რომ სოკ-ის ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, რიგი დისციპლინები ამოიღოს ოლიმპიური პროგრამიდან და მათ ახალი სახეობები ჩაანაცვლოს. ამ მხრივ გოლფი ნომერ პირველი პრეტენდენტია, რომელიც უსწრებს რაგბის, გორგოლაჭებიან დისციპლინებს და ბოულინგსო.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 2004 წლის შემოდგომაზე სპორტის ის ხუთი სახეობა განსაზღვრა, რომლებიც, შესაძლოა, 2012 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამის ნაწილად მოგვევლინოს. მაშინ ასეთებად სახელდებოდა გოლფი, რაგბი, სკვოში, კარატე და გორგოლაჭებიანი დისციპლინები, რომელიც მოიცავს რბენას, ჩქაროსნულ დაშვებას, ფიგურულ სრიალს და გორგოლაჭებიანი ჰოკეის ორ სახეობას.

საგულისხმოა ისიც, რომ 2002 წელს სოკ-ის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა გამოთქვა სურვილი, ოლიმპიური პროგრამიდან ამოეღოთ ბეისბოლი, სოფტბოლი და თანამედროვე ხუთჭიდი. როგის წინადადებით, მათი ადგილი უნდა დაეკავებინათ რაგბისა და გოლფს, მაგრამ სოკ-ის პრეზიდენტის მოსაზრებამ კომიტეტის დანარჩენ წევრთა მხარდაჭერა ვერ პოვა. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ რაგბი ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილი იყო 1900-24, ხოლო გოლფი - 1900-04 წლებში.

## "ბეშიქთაშმა" დელ ბოსკეს გუდა-ნაბადი აუკრა

თურქეთის "ბეშიქთაშის" ხელმძღვანელობამ მწვრთნელის თანამდებობიდან გაათავისუფლა ესპანელი ვინსენტე დელ ბოსკე. "როიტერის" ცნობით, ბეშიქთაშელები დელ ბოსკეს გათავისუფლების მიზეზად გუნდის არადამაკმაყოფილებელ გამოსვლას ასახელებენ. ესპანელი მწვრთნელის ადგილს კი "რიზესფორის" მწვრთნელი რიზა კალიმბაი დაიკავებს.

ამასობაში ეროვნულ პირველობაში "ბეშიქთაში" მე-15 ადგილზეა და ლიდერ "ფენერბახჩეს" 14 ქულით ჩამორჩება. გარდა ამისა, "ბეშიქთაშმა" უეფას თასზე ასპარეზობა "პარმასთან" მარცხის შემდეგ ჯგუფურ ეტაპზევე შეწყვიტა. ბეშიქთაშელებს მოთმინების ფიალა მაშინ აევსოთ, როდესაც თურქეთის თასიდანაც გამოვარდნენ - უქმეებზე "ბეშიქთაში" "კონიასფორთან" 1:3 დამარცხდა.

შეგახსენებთ, რომ "ბეშიქთაშსა" და დელ ბოსკეს შორის ხელშეკრულება შარშან ზაფხულში გაფორმდა. მაშინ ესპანელმა შეცვალა რუმინელი მირჩა ლუჩესკუ, რომელიც მოგვიანებით დონეცკის "შახტიორს" ჩაუდგა სათავეში.

ჩოგბურთი

# ავსტრალიას ახალი ჩემპიონი ეყოლება

რუსი მარატ საფინი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში გავიდა. ნახევარფინალურ შეხვედრაში მან მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვეიცარიელი როჟე ფედერერი დაამარცხა. ფედერერი ჩემპიონის ტიტულს ატარებდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავსტრალიას ახალი ჩემპიონი ეყოლება. საფინის მეტოქე ენდი როდიკისა და ლეიტონ ჰიუიტის შეხვედრაში გაირკვევა.

საფინს ძალიან უნდოდა, მესამედ გასულიყო ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში, მაგრამ ამისთვის როჟე ფედერერი უნდა დაემარცხებინა. აღსანიშნავია, რომ ფინალში გასვლა საფინმა თავის დაბადების დღეზე მოახერხა. გუშინ მას 25 წელი შეუსრულდა.

საფინმა თავისი შარშანდელი დაბადების დღეც კორტზე გაატარა. მაშინ მისი მეტოქე ენდი როდიკი იყო, იმ დროისთვის მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ყველასთვის მოულოდნელად, მაშინ რუსმა მრისხანე მეტოქე დაამარცხა. ახლაც კარგი შანსი მიეცა, დაბადების დღის აღსანიშნავად საკუთარი თავისთვის კარგი საჩუქარი მიეძღვნა.

სპორტული კარიერის განმავლობაში საფინი მსოფლიოს პირველ ნომრებს 10-ჯერ შეხვედრია. ამათგან სამი მოიგო, შვიდჯერ კი დამარცხდა. საფინი და ფედერერი ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე შარშანაც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ფინალურ მატჩში შვეიცარიელმა გაიმარჯვა. სტატისტიკის მიხედვით რუსი აშკარად ჩამორჩება შვეიცარიელს. ისინი 7-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. აქედან 6-ჯერ შვეიცარიელმა გაიმარჯვა.

თუმცა, ამჯერად, ფინალამდე ერთი ნაბიჯით ადრე, გადამწყვეტი იყო არა სტატისტიკა, არამედ ნერვების სიმტკიცე. სწორედ ამაში მდგომარეობდა საფინის შანსი. პირველ სეტში რუსი დარტყმებს უძლებდა. მეტოქეებმა თავიანთი მოწოდებები რიგრიგობით აიღეს. ასე გახდა ანგარიში - 5:5. თუმცა, პირველად საფინმა გამოავლინა სისუსტე. მან ჯერ ფედერერის მოწოდებაზე ვერ გამოიყენა შანსი და გეიმი მეტოქეს დაუთმო. შემდეგ კი თავისი მოწოდებაც წააგო და მასთან სეტიც. საბოლოოდ - 7:5 მსოფლიოს პირველი ჩოგნის სასარგებლოდ.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ფედერერი ამჯერადაც ძლიერია თავის ამბიციურ მეტოქეზე. შვეიცარიელმა მეორე სეტის პირველი გეიმიც უაღრესად იოლად აიღო. თუმცა, შემდგომში საფინმა დაადასტურა, რომ პირველი პარტიის ბოლოს განცდილი წარუმატებლობა დაივიწყა. მან დამაჯერებლად მოიგო საკუთარი მოწოდება და შემდეგ ბრეიკი გაახერხა. ეს



მარატ საფინი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში მესამედ გავიდა.

**ვაჟები:**

მარატ საფინი (რუსეთი, 4) - როჟე ფედერერი (შვეიცარია, 1) 5:7, 6:4, 5:7, 7:6 (8:6), 9:7

**ქალები:**

| | |
|---|---|
| სერენა უილიამსი (აშშ, 7) - მარია შარაპოვა (რუსეთი, 4) | 2:6, 7:5, 8:6 |
| ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) - ნატალი დეში (საფრანგეთი, 19) | 2:6, 7:6, 6:4 |

იყო საფინის მიერ მოგებული პირველი ბრეიკი ამ მატჩში.

ამის შემდეგ საფინმა თავისი მოწოდებაც მოიგო და ანგარიშში სხვაობა ორ გეიმამდე გაიზარდა. მან ეს უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა. მეორე სეტის ანგარიშია - 6:4 რუსი ჩოგბურთელის სასარგებლოდ.

ეს უკვე შვეიცარიელისთვის უნდა ყოფილიყო დამაფიქრებელი, რომელიც მანამდე ოთხჯერ გავიდა "დიდი სლემის" ტურნირების ნახევარფინალში და ოთხჯერვე მოახერხა ფინალში გასვლა. საფინის კარიერაში ხუთი ნახევარფინალი იყო. მან სამჯერ მოიპოვა ფინალის საგზური.

მეორე სეტის მოგების შემდეგ საფინი ოდნავ დამშვიდდა და ამან მისთვის ცუდი შედეგი გამოიღო. ფედერერმა მესამე სეტის დებიუტი უაღრესად ძლიერად ჩაატარა და უკვე რამდენიმე წუთში ანგარიში - 3:0 იყო მის სასარგებლოდ. ამის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება ურთულესი საქმე იყო, მაგრამ იუბილარმა ეს მოახერხა. აიღო რა საკუთარი მოწოდება, საფინმა მატჩში მეორე ბრეიკი გაახერხა და შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრა - 3:3.

სეტის დასასრულისკენ დაძაბულობამ იმატა. ყოველი გეიმის მოგება სულ უფრო ძნელდებოდა. საფინს ორჯერ ჰქონდა შვეიცარიელის მოწოდების მოგების შანსი, მაგრამ ფედერერმა თავისი მოწოდება ორჯერვე შეინარჩუნა. სამაგიეროდ, გადამწყვეტ მომენტში საფინი შეცდა. ანგარიში - 6:5 იყო ფედერერის სასარგებლოდ, როცა სფინს ნერვიულობა დაეტყო. რუსმა თავისი მოწოდება და მასთან სეტიც მეტოქეს დაუთმო. საფინმა ჩოგნის სროლაც კი დაიწყო... მესამე პარტია ფედერერმა მოიგო - 7:5.

ნერვულ ატმოსფეროში დაიწყო მეოთხე სეტიც, მაგრამ მეტოქეები თავიანთ მოწოდებებს ინარჩუნებდნენ. ასე მივიდა საქმე - 5:5-მდე. ამის შემდეგ, წესით, საფინს ნერვიულობა უნდა დაეწყო. ის ორჯერ იყო ანალოგიურ მდგომარეობაში და ორჯერვე წააგო. თუმცა, ამჯერად მეტოქეები ტაი-ბრეიკამდე მივიდნენ. ეს იყო ალბათ ყველაზე ხანგრძლივი ტაი-ბრეიკი ჩოგბურთის ისტორიაში, რომელიც საფინმა თავის სასარგებლოდ - 7:5 დაასრულა.

ამის შემდეგ, როგორც წესი, რომელიმე მეტოქე გატყდება ხოლმე და მომდევნო სეტში გამანადგურებელი ანგარიში ფიქსირდება. საფინმა პირველი გეიმი მშრალი ანგარიშით მოიგო, მაგრამ ფედერერს გატყდომის არაფერი ეტყობოდა. თუმცა, მეექვსე გეიმში საფინი ფედერერის მოწოდებას იგებს და შემდეგ უპირატესობას ამყარებს. ანგარიშის - 5:2 რუსის სასარგებლოდ. თითქოს ეს გამარჯვებაა. თუმცა, 5:3-ზე მან რამდენიმე მატჩბოლი ვერ გამოიყენა. 5:4-ზე, ფედერერის მოწოდებაზე, კიდევ ერთი და საბოლოოდ ისევ - 5:5.

7:6-ზე საფინმა კიდევ ერთი შანსი გაუშვა ხელიდან. უფრო სწორად, ორი, რადგან ორმაგი მატჩბოლი ჰქონდა, მაგრამ შვეიცარიელს რკინის ნერვები აქვს. მან ისევ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება - 7:7. თუმცა, მომდევნო ჯერზე საფინმა თავისი შანსი გამოიყენა - 9:7.

საფინი მესამედ გავიდა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში. მთავარ მატჩში კი მას ერთხელაც არ გაუმარჯვნია. ფედერერმა კი ვერ მოახერხა, წაუგებელი სერია 27-მდე აეყვანა და 26 მოგებით ანდრე აგასისთან მესამე ადგილს იყოფს.

ქალთა ნაწილში კი ფინალისტები გამოვლინდნენ. აქ ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკელები - ლინდსი დევენპორტი და სერენა უილიამსი.

სათხილამურო სპორტი

# როდესაც ტომბა ბომბივით სკდებოდა

გიგა გურასაშვილი

ალბერტო ტომბას, დამრეცების სულთნის (ასე მოიხსენიებენ მას სამთოსათხილამურო სამყაროში) ოლიმპიური დებიუტი 1988 წლის კალგარის ოლიმპიურ თამაშებზე შედგა. დებიუტიცაა და დებიუტიც - იტალიელი მოთხილამურე გიგანტურ სლალომსა და სლალომში ჩემპიონი გახდა. ოლიმპიური ციკლის ოთხწლიანი მონაკვეთის შემდეგ ალბერვილის ოლიმპიური თამაშების ჯერიც დადგა.

